საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№27 (356)
20 – 26 ივლისი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



3 «კლინტონი ტერორიზმისგან ვერ დაგვიცავს, მისი ადგილი არ არის თეთრ სახლში»

## ვის და რატომ აძლევდა ქრთამს საქართველოში ფეთჰულაჰ გიულენი?! 2



«ვაფინანსებდით ყველას, ვინც კი რამეში გამოგვადგებოდა იმ ქვეყანაში. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საქართველოში გიულენმა ეკლესიის დაფინანსებაც კი დაგვავალა. დიახ, ქართულ ეკლესიას გადავუხადეთ ფული... უკან არ ვიხევდით ქრთამზეც. საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს, 165 000 დოლარის ჩეკი გადავეცით ქრთამის სახით თავის კაბინეტში. ამ ფაქტს თურქეთის ელჩიც ესწრებოდა...»

## ახალი სახეები ძველი ცოდვები 7







უშიშროების გენერალ-მაიორი: 4

## გადატრიალების მცდელობა თურქეთში აშშ-ის სპეცსამსახურების ორგანიზებულია



«ოპოზიციონერი იმამი აშშ-ს აფარებს თავს... მიხეილ სააკაშვილი გიულენის ასლია და, როგორც გიულენი, თავს უშიშრად გრძნობს ამერიკელების ფრთებქვეშ... იმამი ფეთჰულაჰ გიულენი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტია. შეიძლება დავაზუსტოთ — გავლენის აგენტი»



## «ის მართლმადიდებლობის უდიდესი მტერია, ისლამზე დიდი მტერი» 9

„ისლამი პირდაპირ გეუბნება, — შენი მტერი ვარო. ის კიდევ თავს მოყვარად გაჩვენებს და სამარეს გითხრის. ის არის ცხვრის ტყავში გახვეული მგელი და მის აქ შემოსვლას სიკეთე არ მოჰყვება“

## სოზარის მონანიება

«ღმერთო, დამიფარე ამერიკელი მეგობრებისგან, მტერს თვითონ გავუმკლავდები!» 6



## «ჩამოშლილი რუსეთი» და «დალაგებული თურქეთი» 10

## ჯორჯ ბუში დალასში დაღუპული პოლიციელების სამგლოვიარო ცერემონიაზე აცეკვდა 21

## ნატოში უკრაინას პორნოვარსკვლავი და პოროშენკოს საყვარელი წარმოადგენს 21

## «ნაცმოძრაობა», არჩევნებისთვის კი არა, აჯანყებისთვის ემზადება»

«ორი სახელმწიფო გადატრიალების უკან იდგა ამერიკა და, ვფიქრობ, მათ არც დღეს გაუჭირდებათ ანალოგიური რამის გაკეთება. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუკი, კიდევ ვიმეორებ, საქართველოს ხელისუფლება არ იქნება დამჯერი და ზედმიწევნით არ შეასრულებს ამერიკის დირექტივებს» 5

## ავღანელმა ლტოლვილმა გერმანიაში მატარებლის მგზავრები ნაჯახით დაჩეხა 3

## შესაძლოა, აშშ-ის კონგრესში სპეციალური კომისია შეიქმნას, რომელიც საქართველოში გამოგზავნილი თანხების ხარჯვას შეისწავლის 8

დედა ნახე...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაცების ბუღას“ უანგაროდ არ დაურიგებია ათასობით თურქისთვის საქართველოს მოქალაქეობა. ამ ყველაფრის უკან კონკრეტული გარიგება და დიდი ფინანსური ინტერესები იდგა. ამიტომ იყო დედამისიც, გიული ალასანია, გიულენთან კუდით გადანასკვული, ამიტომ უწყობდა ის ხელს სწორედ გიულენის სასწავლებლების გაფართოებასა და პოპულარიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. საბოლოო ჯამში, ამ მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად საქართველომ მიიღო ათიათასობით თურქი ქართული პასპორტით.**

# ვის და რატომ აძლევდა ქრთამს საქართველოში ფეთჰულაჰ გიულენი?!

**წინა კვირას თურქულ ტელეარხ „A-Haber“-ის პირდაპირ ეთერში თურქი სამართალდამცავების მიერ ფეთჰულაჰ გიულენის დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრობისთვის ძებნილმა ჰაიატი ქუჩუკმა, რომელიც თავის დროზე გიულენის სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების დამფუძნებელი იყო საქართველოში, სკანდალური განცხადება გააკეთა. მან ვრცელ სატელევიზიო ინტერვიუში დეტალურად მოყვა, როგორ და როდის გაიცნო ფეთჰულაჰ გიულენი, კონკრეტულად რა დავალებებს იღებდა მისგან და რა საქმიანობას ეწეოდა საქართველოში: „თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში სკოლები და სასწავლებლები გავხსენით. რასაც მე ვხედავდი, ამ სასწავლებლების გახსნის მიზანი იყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესება და თურქეთის იმიჯის მაღალ დონეზე შენარჩუნება ამ ქვეყანაში“.**

იმავე ინტერვიუში **ჰაიატი ქუჩუკმა** აღნიშნა, რომ მოგვიანებით შეიტყო გიულენის მიერ უმაღლესი სასწავლებლების გახსნის რეალური მიზეზი, რაც მისთვის მოულოდნელი და მიუღებელი აღმოჩნდა: **„2002 წლიდან, ხელისუფლებაში ერდოღანის მოსვლის შემდეგ, ჩემთვის თანდათან ნათელი შეიქნა, რომ გიულენი, რომლის დოქტრინასაც ვავრცელებდით მსოფლიოში, არა რომელიმე რელიგიურ-პოლიტიკური ჯამაათის ხელმძღვანელი იყო, არამედ აშშ-ის, ისრაელისა და სხვა დასავლურ სპეცსამსახურებთან დაახლოებული პირი. გიულენს ისევე არ უყვარდა ერდოღანი, როგორც დასავლეთის ზოგიერთ ლიდერს და ისრაელს. ჩვენ მიერ შუა აზიასა და ჩეჩნეთში სასწავლებლების გახსნა ნიადაგის მომზადება იყო ამ ქვეყნებში ამერიკული სპეცსამსახურების შესასვლელად...“**

ქუჩუკის განცხადებით, გიულენის ორგანიზაციას ყველა ქვეყნის ხელისუფლებაში ჰყავს თანამოაზრე, რომელიც გარკვეული გასამრჯელოს ფასად მისთვის მუშაობს: **„ვაფინანსებდით ყველას, ვინც კი რამეში გამოგვადგებოდა იმ ქვეყანაში. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საქართველოში გიულენმა ეკლესიის დაფინანსებაც კი დაგვავალა. დიახ, ქართულ ეკლესიას გადავუხადეთ ფული... უკან არ ვიხევდით ქრთამზეც. საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს, 165 000 დოლარის ჩეკი გადავეცით ქრთამის სახით თავის კაბინეტში. ამ ფაქტს თურქეთის ელჩიც ესწრებოდა...“**

ინტერვიუს დასასრულს ქუჩუკმა განაცხადა, რომ მას საქართველოსთვის ბოდიში აქვს მოსახდელი, რადგან გიულენის ორგანიზაციის საქმიანობა, საბოლოო ჯამში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაფუჭებისა და მტრობისკენ იყო მიმართული.

ქუჩუკის გაცხადებიდან ჩანს, რომ არათუ თურქეთის დაზვერვას, არამედ გიულენის ორგანიზაციასაც კი საქართველოში ჯაშუშების ეშელონირებული ქსელი ჰყავს. აი რას წერს ამ ე.წ. სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის სპეციფიკაზე სოციალური ქსელების ერთ-ერთი აქტიური წევრი:

„აჭარის პანსიონები, მედრესეები ზრდიან აგენტებს, რომლებსაც 5-10 წლის შემდეგ გამოიყენებენ საქართველოში პროთურქული ელიტის ფორმირებისთვის. ეს არის აგენტურული სახლები რომლებიც ეწევიან გადაბირებას ახალგაზრდობის... 2 წელი ვსწავლობდი დემირელის კოლეჯში, სანამ გამომაგდებდნენ. ამ კოლეჯის იდეოლოგია მუშაობს შემდეგნაირად: ჩემ დროს ღირდა 800 დოლარი, იმ დროს ამ ფასად მანქანს იყიდიდი, ანუ დადიოდნენ მხოლოდ შეძლებული ოჯახების შვილები: ბიზნესმენების, სახელმწიფო მოხელეების შვილები და, უბრალოდ, ძალიან შეძლებული ოჯახების შვილები. სკოლის ხელმძღვანელობა შედიოდა და ახლაც შედის ძალიან ახლო კონტაქტში მშობლებთან, განსაკუთრებით მათთან, ვინც არის სახელმწიფო დონეზე მნიშვნელოვან სტრუქტურებში: საგარეო საქმეთა სამინისტრო, შსს, უშიშროება და ა.შ. რატომ შედის მათთან ახლო კონტაქტში? იმიტომ, რომ ჰქონდეთ „ხოდი“ და დაბალი დონიდან ავიდნენ მაღალ დონეზე, მოიპოვონ ნდობა და ჰყავდეთ დავალებულები. არის ვიზიტები, თურქეთში პატიჟებენ, „აგულავაებენ“ და ჩამოჰყავთ უკან, ჩამოჰყავთ უკან უკვე „დავალებულები“ და „დამეგობრებულები“. ეს არის ჯაჭვი, შემდეგ მიდის ლაპრაკი: მოდი, ბიზნესი ერთად გავაკეთოთ, მოდი, რამე შემოვიტანოთ, გავიტანოთ და პროცესები მიდის უფრო სიღრმეში“.

ცხადია, ქუჩუკის ზემოაღნიშნულ განცხადებას ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში რეაგირება მოჰყვებოდა და შესაბამისი სტურქტურები მყისვე დაიწყებდნენ გამოძიებას — შეესაბამება თუ არა ეს განცხადება სიმართლეს და ვინ იყვნენ კონკრეტულად ის ქართველი მაღალჩინოსნები, რომლებიც ქვეყანაში გზას უხსნიდნენ უცხო სახელმწიფოს რეაქციულ ძალებს, მაგრამ არაფერი მსგავსი. **საქართველოს ხელისუფლებამ არათუ გამოძიება დაიწყო, ექსტრემიზმში ბრალდებულ თურქ ტერორისტს კალთა გადააფარა და განათლების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას პირით გვაუწყა, რომ თურმე გიულენის მიერ დაფინანსებულ სკოლებში კანონდარღვევის ფაქტები არ ყოფილა.** ეს, ალბათ, გასაკვირი არც არის — როგორც ჩანს, გიულენი დღევანდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებსაც ისევე ყიდულობს, როგორც თავის დროზე შევარდნაძეს ყიდულობდა კაბინეტში ხონჩით მირთმეული ათასებით. როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებაშიც ბევრია ოცდაათ ვერცხლზე დახამებული იუდები და ფარსადანები, რომლებსაც სახელმწიფო საძოვარი ჰგონიათ და უცხოურ გრანტზე ნერწყვი მოსდით...

რაც შეეხება სააკაშვილის პერიოდს, ცხადია, **„ნაცების ბუღას“ უანგაროდ არ დაურიგებია ათასობით თურქისთვის საქართველოს მოქალაქეობა. ამ ყველაფრის უკან კონკრეტული გარიგება და დიდი ფინანსური ინტერესები იდგა. ამიტომ იყო დედამისიც, გიული ალასანია, გიულენთან კუდით გადანასკვული, ამიტომ უწყობდა ის ხელს სწორედ გიულენის სასწავლებლების გაფართოებასა და პოპულარიზაციას ქვეყნის მასშტაბით. საბოლოო ჯამში, ამ მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად საქართველომ მიიღო ათიათასობით თურქი ქართული პასპორტით, ამ პოლიტიკის შედეგად საქართველომ მიიღო ენ რაოდენობის თურქული კომპანია, რომლებიც ისედაც ეკონომიკური კატასტროფის ზღვარზე მყოფ საქართველოში იმთავითვე ახორციელებდნენ და დღემდე განაგრძობენ ეკონომიკურ ექსპანსიას.** თუმცა ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც წინ გველოდება: **შორს არ არის ის დრო, როცა თურქეთი დე იურედ მიიერთებს აჭარას. თანაც ამას დემოკრატიის სახელით გააკეთებს და საქმეს ისე დაასვამენ ბეჭედს, რომ „ცივილიზებულ მსოფლიოს“ სინდისი „სუფთა“ ექნება.** მერე არც იმის თქმა გაუჭირდებათ, რომ „თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია“, ისტორიული მოკეთე და არა მტერი, რომელიც საქართველოს თავის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.



ედუარდ შევარდნაძე და სულეიმან დემირელი

**«ვაფინანსებდით ყველას, ვინც კი რამეში გამოგვადგებოდა იმ ქვეყანაში. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საქართველოში გიულენმა ეკლესიის დაფინანსებაც კი დაგვავალა. დიახ, ქართულ ეკლესიას გადავუხადეთ ფული... უკან არ ვიხევდით ქრთამზეც. საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს, 165 000 დოლარის ჩეკი გადავეცით ქრთამის სახით თავის კაბინეტში. ამ ფაქტს თურქეთის ელჩიც ესწრებოდა...»**



**«აჭარის პანსიონები, მედრესეები ზრდიან აგენტებს, რომლებსაც 5-10 წლის შემდეგ გამოიყენებენ საქართველოში პროთურქული ელიტის ფორმირებისთვის»**

**რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის გიულენის სასწავლებლები, უნდა დაიწყონ თუ არა შესაბამისმა უწყებებმა მათი საქმიანობის შესწავლა და უნდა გაუქმდეს თუ არა ისინი? — ამ და სხვა მნისვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი.**

**— ბატონო ჰამლეტ, ფეთჰულაჰ გიულენთან დაახლოებულმა პირმა ჰაიატი ქუჩუკმა ერთ-ერთ თურქულ ტელეარხთან ინტერვიუში ერთობ სკანდალური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ გიულენი ამერიკის სპეცსამსახურების მითითებით მოქმედებდა და მისი საქმიანობა საქართველოში ოფიციალურ თბილისსა და ანკარას შორის დაძაბულობისკენ იყო მიმართული. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება ჩვენს ქვეყანაში გიულენის სასწავლებლები?**

— საქართველოში გიულენის სასწავლებლების უკან არა მხოლოდ ეს პიროვნება — ჰაიატი ქუჩუკი, არამედ ბევრი ქართველიც იდგა, მათ შორის, სააკაშვილის დედაც, რომელიც თავის დროზე იყო (არ ვიცი, დღეს არის თუ არა) შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი. ჩვენი **ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადება, რომ ამ სასწავლებლებში ქართული პროგრამებით ხდება სწავლება, აბსურდია. გიულენი არ იყო მომართული იმისთვის, რომ ქართველებს აქ ესწავლათ ქართული სულისკვეთებით, მისი მიზნები და ამოცანები სულ სხვა იყო...**

**— კონკრეტულად?**

— კონკრეტულად ის ხსნიდა რელიგიურ სასწავლებლებს და ეს რელიგიური სასწავლებლები მოდებულია აჭარას. მერე ამ სასწავლებლების მოსწავლეებს იწვევდა თურქეთში და იქ ნასწავლი ბავშვი უკვე ჭკუაგადაბრუნებული ბრუნდებოდა. მარტივად რომ ვთქვათ, **იმას, რასაც დღეს გიულენი აკეთებს, ჰქვია იდეოლოგიური ექსპანსია. ეს არის იდეოლოგიური ოკუპაცია და, ვფიქრობ, ამან არა-** ▶

„ჰილარი კლინტონს მხოლოდ ფული და ძალაუფლება ანაღვლებს. ეს ქალი აღარასოდეს უნდა მიუახლოვდეს თეთრ სახლს. ის არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია, აბსოლუტურად განსხვავებული იმისგან, ვინც ჩვენ გვჭირდება. კლინტონის პოლიტიკა ბევრ ჩვენგანს დაღუპავს.“

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ფეთჰულაჰ გიულენი

**«იმას, რასაც დღეს გიულენი აკეთებს, ჰქვია იდეოლოგიური ექსპანსია. ეს არის იდეოლოგიური ოკუპაცია და, ვფიქრობ, არანაკლები საფრთხეები შეიძლება შეუქმნას საქართველოს, ვიდრე სხვა სახის კონფრონტაციამ უცხო სახელმწიფოსთან. ამასთანავე, დიდი საფრთხის შემქმნელად მიმაჩნია ის ქართველებიც, რომლებიც გზას უხსნიან ამ რეაქციულ ძალას. ამ ყველაფერმა ძალიან მალე შეიძლება კატასტროფამდე მიგვიყვანოს. ყოველ შემთხვევაში, აჭარისთვის უკვე ტრაგედიადაა ქცეული თურქული ექსპანსია და ეს არის ფაქტი»**

**◀ნაკლები საფრთხე შეიძლება შეუქმნას საქართველოს, ვიდრე სხვა სახის კონფრონტაციამ უცხო სახელმწიფოსთან.** ამასთანავე, **დიდი საფრთხის შემქმნელად მიმაჩნია ის ქართველებიც, რომლებიც გზას უხსნიან ამ რეაქციულ ძალას. ამ ყველაფერმა ძალიან მალე შეიძლება კატასტროფამდე მიგვიყვანოს. ყოველ შემთხვევაში, აჭარისთვის უკვე ტრაგედიადაა ქცეული თურქული ექსპანსია და ეს არის ფაქტი...**

**— ჰაიატი ქუჩუკმა განაცხადა, რომ შევარდნაძის ხელისუფლებას ქრთამს აძლევდნენ, რათა სახელმწიფოსგან გარკვეული ხელშეწყობა მიეღოთ. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, სააკაშვილის ხელისუფლებასაც და დღევანდელსაც უხდიდნენ ქრთამს?**

— რა თქმა უნდა, ეს გამორიცხული არ არის. დღეს საქართველოს ხელისუფლება ქართული ხელისუფლება რომ არ არის, ფაქტია. საქართველოს ხელისუფლება არის მეხუთე კოლონა, რომელიც ფინანსდება უცხოეთიდან და, რა მნიშვნელობა აქვს მათთვის, საიდან მიიღებენ ფულს — თურქეთიდან თუ ამერიკიდან?!

აქვე გაგახსენებთ სააკაშვილის ერთ ცნობილ განცხადებას, რომელიც მან პრეზიდენტობის პერიოდში გააკეთა: **დედაჩემმა მითხრა, თურქეთი ჩვენი ისტორიული მტერი კი არ არის, არამედ საუკუნეების განმავლობაში ჩვენი მეგობარი ყოფილაო. ეს ხომ შემთხვევითი განცხადება არ იყო, ამის უკან იდგა სწორედ ის მოღალატეობრივი პოლიტიკა, რომელიც მერე ვნახეთ, როცა ერთი ხელის მოსმით დაურიგა თურქეთის მოქალაქეებს ქართული პასპორტები და მერე სიმბოლურ თანხად მიჰყიდა მათ მიწები...**

**— დღევანდელ ხელისუფლებას (და წინასაც) ერდოღანთან კარგი ურთიერთობა აქვს, ერდოღანის ხელისუფლება კი გიულენს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ადანაშაულებს. არის კი დღეს „ქართული ოცნების“ ინტერესებში გიულენის სასწავლებლების არსებობა საქართველოში?**

— გიულენსა და ერდოღანს შორის ურთიერთობა გამწვავდა ბოლო სამი წელიწადია, თორემ თავის დროზე ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. მეტსაც გეტყვით, სამი წლის წინათ გიულენი იყო ერდოღანის უმაღლესი მრჩეველი. ეს, იცით, რას ნიშნავს? — მთელი რიგი საკითხების გადასაწყვეტი ბერკეტები, განსაკუთრებით — იდეოლოგიის, სწორედ გიულენის ხელში იყო.

ახლა გიულენის იდეოლოგიაზეც ვთქვათ — რა უნდა ამ კაცს და რისთვის იბრძვის? ის ამბობს, რომ უნდა აღდგეს ოსმალეთის იმპერია, ანუ **ევროპიდან დაწყებული ცენტრალური აზიის ჩათვლით, ყველა მიწა და სახელმწიფო უნდა გაერთიანდეს ერთ სახელმწიფოში, რომელსაც ერქმევა ოსმალეთის იმპერია.** ცხადია, ამ იმპერიის შემადგენლობაში განიხილება საქართველოც. მეტიც, **საქართველო თურქულ პერიოდიკაში საერთოდ არ მოიხსენიება სახელმწიფოდ.** აი, ეს არის მათი ამოცანა და იცით, კიდევ რას ამბობს გიულენი? — გავშლი პატარა ნოხს, დავაგებ, დავიწყებ ლოცვას და, სადაც ეს ნოხი გაიშლება და მოხდება ლოცვა, ის სახელმწიფო იქნება ჩვენიო. ამაში, ცხადია, არ ცდება.

ერდოღანს რაც შეეხება, მისი ხედვა გულისხმობს ძალისმიერი ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით ძველი გავლენის აღდგენას. ისიც, თავის მხრივ, მართალია, მაგრამ, საერთო ჯამში, იმის თქმა, რომ ერდოღანი არის ძალიან თეთრი და ძალიან კარგი, ხოლო გიულენი — ძალიან შავი და ცუდი, არასწორი მგონია. ორივე ერთი ჩამოსხმის ხალხია. ორივეს ამოძრავებს ე.წ. დიდი თურანის შექმნის გეგმა და ამ საკითხზე მათ ერთნაირი თვალსაზრისი აქვთ. **ამ კატეგორიის პოლიტიკოსია კიდევ თურქეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი დავითოღლუ, რომელმაც წიგნიც გამოსცა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს თურქული გავლენის აღდგენა კავკასიის რეგიონზე, ცენტრალურ აზიაზე და ა.შ.** ასე რომ, ჩვენ ვერ დავიწყებთ ვერც ერდოღანის გათეთრებას და ვერც გიულენის გაშავებას, კიდევ ვიმეორებ: ჩემი აზრით, ორივე არის შავი, ორივე არის ძალიან ცუდის მომტანი საქართველოსთვის, ამიტომ ჩვენი ქვეყანა უნდა გამოფხიზლდეს და მიხედოს თავის საქმეს.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**«საქართველოს ხელისუფლება არის მეხუთე კოლონა, რომელიც ფინანსდება უცხოეთიდან და, რა მნიშვნელობა აქვს მათთვის, საიდან მიიღებენ ფულს — თურქეთიდან თუ ამერიკიდან?!»**

# თურქეთმა ოფიციალურად მოითხოვა გიულენის ექსტრადიცია

## თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს

**თურქული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თურქეთის პრემიერმინისტრმა ბინალი იილდირიმმა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც სამხედრო გადატრიალებაში ფეთჰულაჰ გიულენის მონაწილეობის მტკიცებულებები მოითხოვა.**



„ეს უკვე ნათელია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მათ მტკიცებულებების დასტას წარვუდგენთ“, — განაცხადა თურქეთის პრემიერმინისტრმა და დასძინა, რომ აშშ-თან მეგობრული ურთიერთობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი თურქეთისთვის ფეთჰულაჰ გიულენის გადაცემაზე უარს იტყვის, რადგან თურქეთი მტრად განიხილავს ყველა ქვეყანას, რომლებიც გიულენს უჭერს მხარს.

პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის თქმით, შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას მან ადრე სიტყვიერად სთხოვა გიულენის ექსტრადირება, ახლა კი თურქეთი ვაშინგტონს ოფიციალურად მიმართავს.

# «კლინტონი ტერორიზმისგან ვერ დაგვიცავს, მისი ადგილი არ არის თეთრ სახლში»

## «მსოფლიოში არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ამდენი ილაპარაკოს და, ამასთანავე, არაფერი თქვას»



**ამერიკულმა გამოცემა The American Thinker-მა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატს დემოკრატიული პარტიიდან — ჰილარი კლინტონს, უწოდა არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, რომელიც ამერიკელთა ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს.**

ჰილარი კლინტონის რეაქცია ნიცაში მოწყობილ ტერაქტზე, ჩვეულებისამებრ, ყბედობა იყო. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი თავისი გამოსვლის ყველა ფრაზას კლინტონი ობამას სტილში იწყებდა — სიტყვებს შორის ხანგრძლივი პაუზით, და ცდილობდა, იდეოლოგიური სპექტრის ნებისმიერ მხარეზე მდგარი არც ერთი ადამიანისთვის არ ეწყენინებინა.

რადგან ნიცაში ტერორისტს პისტოლეტი არ გამოუყენებია, კლინტონმა ვერ შეძლო, მიემართა თავისი ჩვეული რიტორიკისთვის აშშ-ში იარაღის მიმოქცევაზე კონტროლის გამკაცრების შესახებ. **მსოფლიოში არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ამდენი ილაპარაკოს და, ამასთანავე, არაფერი თქვას.**

ობამას მსგავსად, კლინტონმაც უარყო, რომ ისლამის რადიკალურ მიმდინარეობას კავშირი აქვს პარიზში, ბრიუსელში, სან-ბერნარდინოში, ორლანდოში, სტამბულსა და ნიცაში განხორციელებულ ტერაქტებთან.

**რა თქმა უნდა, მან ყველაფერი შესანიშნავად იცის, მაგრამ არ სურს, გაანაწყენოს ისინი, ვისგანაც სჭირდება ხმა ან ფული. ჰილარი სირიელ ლტოლვილებს ჰპირდება, რომ პირველი ასი დღის განმავლობაში მათ დიდ ნაწილს აშშ-ში ჩასვლის ნებას დართავს, აგრეთვე, ამნისტიას გამოაცხადებს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამერიკაში არალეგალურად იმყოფებიან.**

თუ კლინტონი კითხულობს ცნობებს იმ ძალადობაზე, რომელმაც მოიცვა გერმანია, საფრანგეთი, ნორვეგია, შვედეთი, იტალია და ა.შ., მაშინ არად აგდებს რეალობას: ამ ლტოლვილების უმრავლესობა, რომელთა გადმოსახლებასაც აპირებს ამერიკის მიწაზე, სასტიკი ბოროტმოქმედია და მათი ასიმილირება შეუძლებელია.

**ჰილარი კლინტონი მშვიდობისა და ეროვნული უსაფრთხოების მტერია.** მას არ სურს, ქალაქი რაკა გაათავისუფლოს „ისლამური სახელმწიფოსგან“. ის ცდება, აგრეთვე, როდესაც ლაპარაკობს თურქეთის მხრიდან დახმარებაზე. კლინტონი არაკომპეტენტურია და არც აპირებს რბოლას ტერორიზმთან. ის თავისი უახლესი თანაშემწის, ჰუმა აბედინის, წყალობით, „ძმები მუსლიმანების“ ლოგინში წევს.

ჰილარი კლინტონს მხოლოდ ფული და ძალაუფლება ანაღვლებს. ეს ქალი აღარასოდეს უნდა მიუახლოვდეს თეთრ სახლს. ის არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია, აბსოლუტურად განსხვავებული იმისგან, ვინც ჩვენ გვჭირდება. კლინტონის პოლიტიკა ბევრ ჩვენგანს დაღუპავს.

# ავღანელმა ლტოლვილმა გერმანიაში მატარებლის მგზავრები ნაჯახით დაჩეხა

**გამოცემა „ბილდის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 17 წლის ავღანელი ლტოლვილი შეძახილით „ალაჰ აქბარ!“ თავს დაესხა ოკსენფიურტიდან ვიურცბერგში მიმავალი მატარებლის მგზავრებს და 19 ადამიანი ნაჯახით დაჩეხა.** 4 ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია.



მატარებლის გაჩერების შემდეგ ბოროტმოქმედი მიმალვას შეეცადა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევისას პოლიციელებმა მოკლეს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოპოზიციონერი იმამი ფეთჰულაჰ გიულენი აშშ-ს აფარებს თავს, პენსილვანიაში ცხოვრობს, და წლების განმავლობაში აქტიურ პროპაგანდას ეწევა ერდოღანის წინააღმდეგ. მიხეილ სააკაშვილი გიულენის ასლია და როგორც გიულენი, თავს უშიშრად გრძნობს ამერიკელების ფრთებქვეშ“.**



ანზორ მაისურაძე:

# გადატრიალების მცდელობა თურქეთში აშშ-ის სპეცსამსახურების ორგანიზებულია

**„სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა თურქეთში აღკვეთილია“, — განაცხადა თურქეთის სადაზვერვო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნუხ იილმაზმა 16 ივნისის, ნაშუაღამევს, ერდოღანმა ხალხს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. გუშინდელი მონაცემებით, დაპატიმრებულია 6 ათასამდე სამხედრო, მათ შორის, 130 გენერალი და ადმირალი, ინჯირლიყის ავიაბაზის უფროსი. ეს ის ბაზაა, რომელსაც აშშ-ისა და ნატოს ავიაცია სირიაში ტერორისტების დასაბომბად იყენებდა. ციხეში აღმოჩნდა 9 ათასი საჯარო მოსამსახურე, მათ შორის, გუბერნატორები, ასევე, 426 მოსამართლე და პროკურორი. თურქეთში მოითხოვეს სიკვდილით დასჯის აღდგენა. უშიშროების გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძეს ეს ინტერვიუ „ცხელ კვალზე“ ჩამოვართვი.**

— გადატრიალების მცდელობა არც ისე მოულოდნელი იყო. ჯერ ერთი, ამ მოკლე დროში რამდენჯერმე მოვისმინეთ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცესპიკერის — **ვლადიმერ ჟირინოვსკის** განცხადებები, ადრე თუ გვიან ერდოღანს აუჯანყდებიან სამხედროები და თურქეთში წესრიგს დაამყარებენო.

**— ჟირინოვსკი ისეთი რა ანალიტიკოსია, მის ნათქვამს რომ ვენდოთ?!**

— ჟირინოვსკი რუსეთის სპეცსამსახურების პოზიციის გამხმოვანებლად არის აღიარებული, მათ კი ყოველთვის აქვთ სანდო ინფორმაცია. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი სხვა რამეა. ახლახან რუსეთის თავდაცვის მინისტრმა **შოიგუმ** განაცხადა, რომ გამორიცხული არ არის, სირიის ამბები გამეორდეს ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. აი, ეს იყო მიმანიშნებელი, რომ სახელმწიფო გადატრიალებების ვექტორი გადმოინაცვლებდა იმ რეგიონებისკენ, რომლებიც ისტორიულად და დღევანდელ ვითარებაშიც ფეთქებადსაშიშად არის მიჩნეული. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება თურქეთი, სადაც 1960 წლიდან ოთხჯერ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება.

**— და თითქოს გუშინ იყო, როცა თურქეთის ხელისუფლების განცხადებით, აღიკვეთა სამხედროების მიერ სახელმწიფო გადატრიალების ამასწინანდელი მცდელობა.**

— მაშინ განხორციელდა თურქეთის შეიარაღებული ძალების სერიოზული წმენდა. 300 სამხედრო ჩინოსანი დააპატიმრეს. ამ წმენდამ, როგორც ირკვევა, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, არმია მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო ერდოღანის პოლიტიკით, რომელმაც მათი კონსტიტუციური სტატუსი, რომელიც **ქემალ ათათურქის** მიერ იყო დაკანონებული *(არმია სამოქალაქო საზოგადოების მოწყობის ღერძად იყო წარმოდგენილი)*, საგრძნობლად შეკვეცა.

სამხედროების მიერ მოწყობილი გადატრიალება ყოველთვის ანტიკონსტიტუციურია. ანტიკონსტიტუციურ ქმედებას კი ყოველთვის ჩიხში შეჰყავს ქვეყანა. სწორედ ამიტომ გამოვიდა იმ ღამით ათიათასობით თურქი ქუჩებში და დაიცვა დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა არ იყო თურქი ხალხის მიერ პროვოცირებული.

**— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო გადატრიალება გარე ძალების მიერ იყო ორგანიზებული?**

— შეიძლება კი არა, ნამდვილად ასეა. გაგახსენებთ, რომ **„ისლამური სახელმწიფო“, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის უდიდესი ბუნაგია, ამერიკელების შექმნილია — შეიარაღებული, დაფინანსებული, სტრუქტურიზებული.** ეს „ისლამური სახელმწიფო“ აშშ-ს თავისი ინტერესების განსახორციელებლად უნდა გამოეყენებინა ახლო აღმოსავლეთში. ასეც დაიწყეს, მაგრამ ველარ გააკონტროლეს და მიიღეს 11 სექტემბრის ტრაგედია. შემდეგ — ევროპის გულში ტერაქტების სერია, და ორიოდე დღის წინათ — ცინიკური და ცივსისხლიანი ხოცვა-ჟლეტა ადამიანებისა ნიცაში, ინგლისის სახელობის სანაპიროზე — 84 შეწირული სიცოცხლე, მათ შორის, 11 ბავშვის, რომლებიც ბასტილიის აღების დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე გამოეყვანათ მშობლებს.

**იძახონ და აფრიალონ ახლა სტიკერები — „მე ვარ „შარლი ებდო!“ და „მე ვარ ნიცა!“**

მიკერძოება რომ არ დამაბრალოთ, გეტყვით, რომ მილიარდერ **დონალდ ტრამპის** განცხადებით, “ისლამური სახელმწიფოს” შექმნაში ბრალი მიუძღვის აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივან **ჰილარი კლინტონს**, მის სულელურ პოლიტიკას.

**8 წელიწადზე მეტ ხანს ვმუშაობდი არაბულ სამყაროში და ვიცნობ მუსლიმების ზნესა და ხასიათს. ამერიკელებს პირში უცინოდნენ, ეფერებოდნენ, ზურგს უკან კი დედას აგინებდნენ და სამარეს უთხრიდნენ. თანაც ის ადამიანები, რომლებიც ამერიკელებისგან დიდ ხელფასს იღებდნენ და მათგან იყვნენ ყოველმხრივ მხარდაჭერილები.**



რაღაც სისტემა არსებობს, მსოფლიო სისტემა მუსლიმთა ერთობისა და გულშემატკივრობის. „ისლამური სახელმწიფოს“ ბანდების დაბომბვისას დაღუპულ მაჰმადიანს გულშემატკივრობენ პაკისტანის, ინდონეზიის, ინდოეთის თუ სხვა ქვეყნების მუსლიმები. ამიტომ, როგორც გინდა დაბომბე სირიაში ჯიჰადისტების შტაბები, საწყობები, საწვრთნელი თუ ნავთობის გადამმუშავებელი პუნქტები, ეს ჰიდრა სხვაგან იჩენს თავს და ამოძრავდება.

**— ამიტომ განაცხადა ვლადიმერ პუტინმა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის დამარცხება მხოლოდ გაერთიანებული ძალებით თუ შეიძლება. მათ ესმით მხოლოდ ძალისმიერი ენა და სწორედ ამ ენაზე უნდა ვესაუბროთო.**

— დღეს ეს არის შექმნილ სიტუაციაში მსოფლიო დესტაბილიზაციისგან თავის დაცვის შესაძლებლობა. თუმცა, ჩემი აზრით, მხოლოდ ამ მეთოდით ტერორიზმის საბოლოოდ დამარცხება შეუძლებელია. ამისთვის აუცილებელი იქნება კომპლექსური ღონისძიებების განუხრელი განხორციელება წლების განმავლობაში.

**— როგორც ჩანს, სწორედ ერთობლივი მოქმედების პრინციპულ საკითხებზე შესათანხმებლად ჩავიდა ამ დღეებში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი მოსკოვში (ბოლო თვეების განმავლობაში იგი რუსეთის ფედერაციის დედაქალაქს მეოთხედ ეწვია). მოსკოვთან კოორდინირებული მუშაობა, ეტყობა, ამერიკის ადმინისტრაციის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება გახდა...**

— ბოლო პერიოდში მაინც, როცა რამდენიმე თვეღა დარჩა ობამას და მის გუნდს ქვეყნის სათავეში ყოფნის. ვიზიტიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის მთავარი თემა სირიის პრობლემის პოლიტიკური გზით გადაჭრა იყო, ერთობლივ სამხედრო დარტყმებთან ერთად, ცხადია.

1971 წლის 1 ოქტომბერს იორდანიაში, ამანში რომ ჩავედი, იქ ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. ორგანიზაცია „შავი სექტემბრის“ მიერ დაწყებული იყო აჯანყება ისრაელიდან დევნილი პალესტინელებისა, რომლებიც იორდანიამ შეიფარა. იორდანიის მეფის ბრძანებით, სასტიკად ჩაახშეს ეს ამბოხი, და 2 ოქტომბერს სამსახურში რომ წავედი, ქუჩაში იმდენი დახოცილი ეყარა, რომ ჩვენი მანქანა გზას ძლივს იკვლევდა. აჯანყებული პალესტინელები ბეირუთში გაიქცნენ. სწორედ მაშინ განაცხადა იორდანიის მეფე ჰუსეინმა, ბეირუთს საშინელი ამბები ელისო.

მან იცოდა, რასაც ამბობდა: 3 წლის შემდეგ ბეირუთში ისეთი ამბავი დატრიალდა, რომელსაც დღესაც არ უჩანს ბოლო. ეს მაგალითი იმ დებულების საილუსტრაციოდ მოგიყვანეთ, რომელზეც ეს-ესაა გელაპარაკეთ.

ბევრის მთქმელია ჯონ კერის განცხადება, ტერორისტულ „ჯიბჰად ან ნუსრაზე“ „ამ ორგანიზაციის მიმართ მე არავითარი ილუზია არ მაქვს“.

ახლა ასეა. მაგრამ **თურქეთის სახელმწიფო გადატრიალებაში ამერიკული კვალი მაინც აშკარაა. ამას თურქებიც ამბობენ, ხოლო ერდოღანმა სტამბოლში გამართულ მის მომხრეთა მიტინგზე გამოსვლისას პირდაპირ მოთხოვა აშშ-ს იმამ გიულენის ექსტრადიცია. თუ ეს კატეგორიული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ძნელი წარმოსადგენია აშშ-თურქეთის ურთიერთობის გაუმჯობესება, რომელიც ერდოღანის პარტიის — „სამართლიანობა და კეთილდღეობა“ — ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ დაიძაბა.**

ოპოზიციონერი იმამი **ფეთჰულაჰ გიულენი** აშშ-ს აფარებს თავს, პენსილვანიაში ცხოვრობს, და წლების განმავლობაში აქტიურ პროპაგანდას ეწევა ერდოღანის წინააღმდეგ. **მიხეილ სააკაშვილი** გიულენის ასლია და როგორც **გიულენი**, თავს უშიშრად გრძნობს ამერიკელების ფრთებქვეშ.

**— ფიქრობთ, რომ ამერიკელები არ დააკმაყოფილებენ ერდოღანის მოთხოვნას გიულენის ექსტრადიციის შესახებ?**

— არ დააკმაყოფილებენ, რადგან **იმამი გიულენი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტია.** შეიძლება დავაზუსტოთ — გავლენის აგენტი. ამ სპეცსამსახურის აქტიური მოქმედების შესახებ მან ბევრი ისეთი რამ იცის, რაც გასაიდუმლოებულია და სხვამ არ უნდა იცოდეს.

ჩვენი ერთ-ერთი საუბრის დროს გითხარით, რომ საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი **ალექსანდრე იაკოვლევი** და **ოლეგ კალუგინი**, უშიშროების ყოფილი გენერალ-მაიორი, სსრკ სახალხო დეპუტატი, რომლებიც კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდნენ, თავის დროზე ამერიკელებმა გადაიბირეს.

**არ მინახავს კაცი, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა და ამერიკელებს არ გადაებირებინოთ.**

იმამ გიულენს ამ უნივერსიტეტთან ურთიერთობა არ ჰქონია, მაგრამ ასეთ პიროვნებას სპეცსამსახურები ხელიდან არ გაუშვებდნენ.

ერთ რამესაც გეტყვით. **როცა უშიშროებაში ვმუშაობდი, საქართველოში სულ ცოტა, 1000 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა. წელიწადში 10 მათგანს მაინც გადმოვიბირებდით ხოლმე. ამერიკელებს რა გააჩერებდა?**

**— თქვენ ასე ფიქრობთ, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა კი განაცხადა, რომ გიულენს გადასცემენ თურქეთს, თუ წარმოდგენილი იქნება მისი ბრალის დამადასტურებელი სარწმუნო მასალები. ასეთი მტკიცებულებების წარდგენა თურქეთს არ უნდა გაუჭირდეს.**

— რა მასალებიც უნდა წარადგინონ თურქებმა, ყოველთვის გამონახავენ კონტრარგუმენტებს, რომლებიც საეჭვოს გახდის ნებისმიერი მტკიცებულების ღირებულებას. საქართველოში “ნაცმოძრაობის” მიერ მოგონილი ფორმულა ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაულის პოლიტიკური მიზნებით გამართლების მცდელობის თაობაზე, სხვა ქვეყნებშიც მოქმედებს.

**— რადგან სხვისი ნაკარნახევია?**

— უცხოელი „მეგობრების“ მიერაა ნაკარნახევი. ეს ერთი, და, მეორე — დასაფიქრებელი და გასათვალისწინებელი: **გავლენიან წრეებს თურქეთში მიაჩნიათ, რომ, თუ მათი მოთხოვნა (ექსტრადიციის თაობაზე) არ დაკმაყოფილდა, აშშ-თურქეთის ომის დაწყება გარდაუვალი იქნება** *(დღეისთვის აშშ-თურქეთს შორის საავიაციო მიმოსვლა შეწყვეტილია. — ა.ს.)*. რა ფორმით მოხდება ეს დაპირისპირება, ახლა ამას ვერავინ იტყვის, მაგრამ ერთი რამ აშკარაა — **მსოფლიოში დღემდე არსებული სისტემა რღვევას იწყებს: იქით — დიდი ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან, აქეთ — თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობის ჩიხში შეყვანის კონტურების გამოიკვეთა.** პრობლემები, რომლებიც დღემდე ასე თუ ისე დაფარული იყო, გამჟღავნდა და იოლად არ ჩაცხრება.

**დაინგრა დამასკო, აღარ ვარგა ალეპო, აღარც — ჰომსი. ეს ქალაქები მოვლილი მაქვს. მშვენიერი სანახავი იყო. სირია დღეს პრაქტიკულად მიწასთან არის გასწორებული.**

**— როგორც ირკვევა, საფრანგეთის პრეზიდენტს ოლანდს, თურქეთის პრეზიდენტს ერდოღანს ჰქონდათ გამაფრთხილებელი ინფორმაცია: პირველს — მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ, მეორეს — სამხედროების ამბოხის შესახებ. მაგრამ არცერთმა არ განახორციელა პრევენციული ღონისძიებები. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— მეტიც — ერდოღანმა ამერიკას უსაყვედურა, ამბოხის მოთავე ფეთჰულაჰ გიულენი თქვენ გყავთ შეფარებული და მისი გადმოცემა გთხოვეთ, მაგრამ ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ დატოვეთო.

მგონი, ორივე მხარემ მოცდა ამჯობინა — ვნახოთ, რა მოხდებაო. და, როგორც ყოველთვის, ასეთ შემთხვევაში, დააგვიანეს. მომხდარ ტრაგედიას, დაღუპულ ადამიანებს ვერაფრით უშველი.

**— ფეთჰულაჰ გიულენის ფიგურა მეტისმეტად გაზვიადებული ხომ არ გეჩვენებათ?**

— არა! თუ გავითვალისწინებთ ირანის სულიერი ლიდერის — **ჰომეინის** როლს ირანის ისლამურ რევოლუციაში, გაზვიადებული არ არის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გიულენს თურქეთში საკმაო რაოდენობით ჰყავს მომხრეები.

ესაუბრა
**არჩილ სანებლიძე**

**P.S. პირველი ნიშნები „სირიის სიტუაციის“ ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში შესაძლო გამეორების შესახებ უკვე გამოჩნდა ალმა-ათასა და ერევანში.**

**ამბობენ, — გაფრთხილებული შეიარაღებულიაო.**

**ვართ კი?**

**საქართველოში ორი სახელმწიფო გადატრიალების უკან იდგა ამერიკა და, ვფიქრობ, მათ არც დღეს გაუჭირდებათ ანალოგიური რამის გაკეთება. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუკი, კიდევ ვიმეორებ, საქართველოს ხელისუფლება არ იქნება დამჯერი და ზედმიწევნით არ შეასრულებს ამერიკის დირექტივებს.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნიკოლოზ მჟავანაძე: «ნაცმოძრაობა», არჩევნებისთვის კი არა, აჯანყებისთვის ემზადება

**ევროპულ და ევროატლანტიკურ გეოპოლიტიკურ ოჯახში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები დასავლური ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის აღსასრულის დასაწყისზე მიანიშნებს — ბრიტანეთი ევროკავშირს ტოვებს; ბელგია, საფრანგეთი ტერაქტების სერიამ მოიცვა; მიგრანტების ახალ-ახალი ნაკადი კი ისევ უწყვეტად შედის ბებერ კონტინენტზე... წინა კვირას ყურადღების ცენტრში მოექცა ნატოს წევრი თურქეთიც. რამდენიმე ასეულმა სამხედრომ ქვეყნის დედაქალაქ ანკარაში ცენტრალურ ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და გადატრიალების მოწყობა სცადა. აჯანყება, მართალია, მყისვე ჩაახშეს და დამნაშავეები პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ გაჩნდა ლოგიკური შეკითხვა — ხომ არ იყო ეს „აჯანყება" „თეთრი სახლის" პასუხი ერდოღანის ბოლოდროინდელ საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისა და დაძაბულობის განმუხტვისკენაა მიმართული? ყოველ შემთხვევაში, არეულობის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი თურქი ოპოზიციონერი ფეთჰულაჰ გიულენი სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, პენსილვანიაში ცხოვრობს. ერდოღანის განცხადებით, იგი ამერიკიდან იძლეოდა მითითებებს და, სავარაუდოდ, „თეთრი სახლის" მხარდაჭერით მოქმედებდა...**
**რა გავლენას მოახდენს საქართველოზე ზემოაღნიშნული გეოპოლიტიკური პროცესები, არის თუ არა ჩვენთვის საფრთხის შემცველი ეს ყველაფერი და უნდა ველოდოთ თუ არა თურქეთის მსგავსი არეულობის მცდელობას საქართველოშიც?**
**— ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**




**— ბატონო ნიკოლოზ, თურქეთის ხელისუფლებამ არეულობის ორგანიზებაში ერთ-ერთი თურქი ოპოზიციონერი ფეთჰულაჰ გიულენი დაადანაშაულა, რომელიც ამჟამად ამერიკაში, კერძოდ, პენსილვანიის შტატში ცხოვრობს. თქვენი აზრით, ნიშნავს თუ არა ეს, რომ პუტჩი ანკარაში ამერიკის მიერ იყო ინსპირირებული?**

— არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობა ბოლო პერიოდში დათბა. მეტიც, ერდოღანმა ბოდიში მოიხადა რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების გამო და ამ ორ სახელმწიფოს შორის სამხედრო თანამშრომლობაზეც იყო საუბარი. ახლა ამან შეიძლება ვიღაცის გაღიზიანება გამოიწვია, მაგრამ ფაქტია, რომ ოპოზიციონერი ფეთჰულაჰ გიულენი, რომელიც არეულობის ორგანიზატორად დასახელდა, უკვე დიდი ხანია, ამერიკაშია და საკმაოდ ავტორიტეტულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს.

რაც შეეხება ერდოღანის განცხადებას თუ მინიშნებას, რომ ამერიკიდან მოდიოდა არეულობის მცდელობა, ამას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი ახსნა და მიზეზი. ანუ, ობიექტურად თუ შევხედავთ ამ ყველაფერს, დავინახავთ, რომ არც ერთმა დასავლურმა ქვეყანამ და არც ნატომ, არც რომელიმე საერთაშორისო დიდმა გაერთიანებამ არ დაგმო ის, რაც მოხდა. ეს ახლა კეთდება განცხადებები, რომ მხარში უდგანან თურქ ხალხს, თორემ, სანამ პუტჩი ჩაიშლებოდა, არც ერთი განცხადება არ გაკეთებულა. არადა, სწორედ მაშინ იყო მხარდაჭერა საჭირო, მაშინ უნდოდა სახელმწიფოს მხარში ამოდგომა.

სხვათა შორის, ფეთჰულაჰ გიულენზე თავის დროზე საინტერესო მასალები გამოქვეყნდა ქართულ მედიაში. კერძოდ, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილის დედას — **გიული ალასანიას** ჰქონდა მასთან საქმიანი ურთიერთობა. ეს პიროვნება დგას საქართველოში 14 უმაღლესი სასწავლებლის უკან და მათ შორის აჭარაში აქვს სასწავლებლები გახსნილი, ანუ რის თქმა მინდა — კაცმა არ იცის, რა მიზნები ამოძრავებს ამ ადამიანს და რა მიზნებისთვის გამოიყენებს ხვალზეგ იმ დასაყრდენს, რომელიც აქ რეალურად აქვს. **ვფიქრობ, ხელისუფლებამ ამაზე სერიოზულად უნდა იმუშაოს, რადგან ისეთი რეაქციული ძალა, რომელიც თავის ქვეყანაში აპირებდა პუტჩის მოწყობას, აქ არ უნდა იყოს სასწავლებლებში წარმოდგენილი...**

**— თქვით, რომ გარკვეული ძალებისთვის შეიძლება გამაღიზიანებელი იყო რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობის დათბობა. როგორ ფიქრობთ, ჩვენს შემთხვევაში რა შეიძლება მოხდეს, თუკი ასევე შევეცდებით ოფიციალურ მოსკოვთან დიალოგს?**

— ერთმნიშვნელოვნად, მტკიცებით ფორმაში იმის თქმა, რომ თურქეთში არეულობა ამერიკამ მოაწყო, მართებული არ იქნება, მაგრამ, თუკი ამ ვერსიას გავყვებით, გარკვეული დასკვნების გამოტანა შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, **ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რას შეეწირა ირაკლი ღარიბაშვილი?! ის შეეწირა იმას, რომ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება სურდა. მან, აგრეთვე, თქვა, რომ სტალინი დიდი პიროვნება იყო... აი, ეს არ აპატიეს. ვერ ვიტყვით, რომ ღარიბაშვილმა რაღაც განსაკუთრებული გააკეთა რუსულ-ქართული ურთიერთობების დასარეგულირებლად, მაგრამ ის არ იყო დასავლური პოლიტიკისა და დირექტივების უსიტყვოდ შემსრულებელი.** ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, უფრო შორს რომ წასულიყო ღარიბაშვილი და კონკრეტული ნაბიჯი გადაედგა — რამე ხელშესახები შედეგისთვის მიეღწია ოფიციალურ მოსკოვთან დიალოგის კუთხით. ვფიქრობ, ამას მოჰყვებოდა სერიოზული პოლიტიკური რყევები. ჯერ დღესაც არ მიუტევებიათ ის, რომ ასე თუ ისე რაღაც დათბობა მოხდა და ეკონომიკური ემბარგო მოგვიხსნეს. დღესაც ეჭვის თვალით გვიყურებენ იმიტომ, რომ მმართველ გუნდში ზოგიერთი სუბიექტი არ არის მთლად კარგად განწყობილი დასავლური ფსევდოლიბერალური პოლიტიკისადმი...

**— პოლიტიკური რყევები ახსენეთ, რას გულისხმობთ — აქაც შეიძლება მოხდეს არეულობის ინსპირირება?**

— იყო ზვიად გამსახურდია, დინების საწინააღმდეგოდ მიდისო და ჩამოაგდეს; მერე იყო შევარდნაძე, აღარ დასჭირდათ და მოუწყვეს ე.წ. ვარდების რევოლუცია. ახლა დასკვნები თვითონ გამოიტანეთ. **საქართველოში ორი სახელმწიფო გადატრიალების უკან იდგა ამერიკა და, ვფიქრობ, მათ არც დღეს გაუჭირდებათ ანალოგიური რამის გაკეთება. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუკი, კიდევ ვიმეორებ, საქართველოს ხელისუფლება არ იქნება დამჯერი და ზედმიწევნით არ შეასრულებს ამერიკის დირექტივებს.**

**— არჩევნების მოახლოებასთან ერთად, „ნაცმოძრაობის" წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად საუბრობენ დესტაბილიზაციაზე, „რუსთავი 2"-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ აჯანყებაც დაგვიანონსა. როგორ ფიქრობთ, არსებობს საფრთხე, რომ ნაციონალებმა პროვოკაცია მოაწყონ და ვითარება გაამწვავონ?**

— ნაციონალები არჩევნებისთვის არ ემზადებიან, ისინი ემზადებიან აჯანყებისთვის და, სიმართლე გითხრათ, მიკვირს, რატომ არ აპატიმრებს ხელისუფლება ამ ადამიანებს.

**— ალბათ, იმიტომ, რომ დასავლეთის ფაქტორი აკავებს.**

— ნებისმიერ წამყვან ევროპულ ქვეყანაში ისეთი განცხადებები, როგორიც აქ ბოლო პერიოდში კეთდება (მხოლოდ გვარამიას განცხადება რად ღირს), არ დარჩებოდა რეაგირების გარეშე. რა, მაინცდამაინც ქვეყანა უნდა დაგვამხონ თავზე?! ან რისი ეშინია ხელისუფლებას — ხალხი აჯანყდება? ვის გამო გამოვა ხალხი გარეთ — **თამარ ჩუგოშვილის, სოფო ჯაფარიძისა** და ნორჩი რესპუბლიკელების გამო?! აი, ამის ეშინიათ მათ, როგორც ჩანს, და ამიტომაა, რომ **რესპუბლიკელების ნაცვლად ახალი რესპუბლიკელები მიიღეს „ოცნებაში".** კიდევ ვიმეორებ: ასეთი ქმედებებით „ოცნება" დაკარგავს საზოგადოების მხარდაჭერას. **საქართველოს ხელისუფლებაში არ უნდა იყვნენ ისეთი ძალები, რომლებიც ებრძვიან ქართულ სახელმწიფოებრიობას, ეკლესიას და სისხლში აქვთ ხელები ამოსვრილი. თამარ ჩუგოშვილს კი ხელები სისხლიანი აქვს — 26 მაისს სწორედ მან შეუწყო ხელი სისხლიან კალოს...**

აქვე მინდა, გამოვეხმაურო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას, რომ თურმე არ შეიძლება, დამოუკიდებელ ტელევიზიას შევეხოთ. ჯერ ერთი, **რომელი დამოუკიდებელი ტელევიზიაა „რუსთავი 2"?** ეს არის სააკაშვილისა და მისი გარემოცვის პროპაგანდისტული მანქანა, მაგრამ დავანებოთ ამას თავი, სახელმწიფო გადატრიალება ხდებოდა აგერ თურქეთში და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ხმას არ იღებდა. **ან ვის აქვს, რომელ ტელევიზიას იმის უფლება, აჯანყებით იმუქრებოდეს?! „სი-ენ-ენმა" ან რომელიმე სხვა დასავლურმა წამყვანმა ტელევიზამ რომ გააკეთოს მსგავსი განცხადება, აპატიებენ?!** არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: დღეს საქართველოში, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არც ერთი ტელევიზია არ ეკუთვნის ქართველ ხალხს. **დღეს ჩვენ ვართ კოლონიურ მდგომარეობაში და არავინ არაფერს გვეკითხება. ან იმაზე მეტი სირცხვილი რა გინდა, როცა რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, მზად ვარ საქართველოს პირველ პირთან შესახვედრადო და აქედან ამ პლასტელინმა უპასუხა, ჯერ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს შევეკითხებითო. რა ჰქვია ამას? ეს არ არის კოლონიური დამოკიდებულება?!** თან გვეუბნებიან, რომ დემოკრატიას ვაშენებთ და ყველაფერში დამოუკიდებელი ვართ. ეს არის დიდი ტყუილი და ამ ტყუილის უკან დგას დასავლური აგრესიული ლიბერალიზმი, რომელიც თავიდან ბოლომდე არის ბლეფი...

**«იმაზე მეტი სირცხვილი რა გინდა, როცა რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, მზად ვარ საქართველოს პირველ პირთან შესახვედრადო და აქედან ამ პლასტელინმა უპასუხა, ჯერ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს შევეკითხებითო. რა ჰქვია ამას? ეს არ არის კოლონიური დამოკიდებულება?!»**

**— საფრანგეთში წინა კვირას მომხდარ ტერაქტზეც გკითხავთ. ნიცაში ტერორისტმა რამდენიმე ათეული მოქალაქე მოკლა, მანამდე იყო ტერაქტი ბრიუსელში... ეს ყველაფერი ხომ არ მიანიშნებს დასავლური ფსევდოლიბერალიზმის კრახსა და მისი აღსასრულის მოახლოებაზე?**

— ვფიქრობ, რომ ასეა და ეს კანონზომიერია, რადგან **ყველაზე დიდი ფაშიზმი არის ის ფსევდოლიბერალიზმი, რომლითაც დღეს იმართება ევროპა და ევროკავშირი. მეტიც, ეს არის გაცილებით საშიში იდეოლოგია, ვიდრე იყო ჰიტლერისა და მუსოლინის ფაშიზმი; იმიტომ, რომ ესენი გააფთრებით ებრძვიან ყველაფერს, რაც ზნეობრივად, მორალურად აძლიერებს ადამიანს.** ახლა ვიცი, ამაზე გაგიჟდებიან ჩვენი „პირუთვნელი ლიბერალები", მაგრამ დავფიქრდეთ: რაც ეს ლიბერალები მოვიდნენ ხელისუფლებაში, ყველგან მათი დიქტატურაა, ვერც ერთ საჯარო სტრუქტურაში, ვერც ერთ სახელმწიფო უწყებაში ვერ მოხვდები, თუ მათ იდეოლოგიას ბოლომდე არ იზიარებ. ეს რა, არ არის ტერორი, არ არის დიქტატურა?! ვიმეორებ, მშიერი მოკვდება ადამიანი, თუკი ამათ ფსევდოფასეულობებსა და ღირებულებებს არ იზიარებს... **მაგალითისთვის თუნდაც უჩა ნანუაშვილი ავიღოთ, ეს ფსევდოლიბერალი სექტანტი, რომელმაც ყველა გაყარა სახალხო დამცველის აპარატიდან, ვინც კი ეროვნულად აზროვნებდა.** ასე ხდება ყველგან, ყველა სტრუქტურასა და დაწესებულებაში. ასე რომ, გამოფხიზლება გვმართებს. ევროპა ნელ-ნელა მოდის გონს და ის თავის თავს მიხედავს, საქართველოს კი ვერავინ და ვერაფერი გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან, ისევ ჩვენ, ხალხი, თუ არ დავდგებით თავის სიმაღლეზე...

**«ისეთი რეაქციული ძალა, რომელიც თავის ქვეყანაში აპირებდა პუტჩის მოწყობას, აქ არ უნდა იყოს სასწავლებლებში წარმოდგენილი...»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ახალი მესაიდუმლე?
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამართლიანობის აღდგენა კი არა, ცოლთან დაწოლის განრიგსაც აშშ-ის ელჩს უთანხმებენ და რად გვინდა ასეთი ხელისუფლება, რატომ ვუხდით უზარმაზარ ხელფასებს საქართველოს ბიუჯეტიდან იმ ხელისუფლებას, რომელსაც ხელში ანტიდისკრიმინაციული კანონის დროშა უჭირავს და ქართულ საქმეს არ აკეთებს?**

# სოზარის მონალოგი

**ჩვენი გაზეთის ბოლო ნომრის გამოსვლის შემდეგ იმდენი რამ მოხდა ევროპაში, საფრანგეთში მორიგი შემზარავი ტერაქტით დაწყებული, „მეგობარ“ თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობით დამთავრებული, რომ, მართალი გითხრათ, დავიბენი — აქცენტი გამეკეთებინა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებზე, რომელთა შედეგებიც ახლო მერმისში პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება საქართველოზეც აისახოს ნეგატიურად თუ, დოდო აბაშიძის კინოგმირისა არ იყოს, „თვალი დაუდგა ევროპას“ და დამეწერა გასულ კვირას საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში, „ქართული ოცნების“ მიერ ე.წ. ახალი სახეების პომპეზურ წარდგენაზე, რომელმაც დაგვანახვა, საით აპირებს ქვეყნის წაყვანას რებრედინგებული „ქართული ოცნება“.**



ჩემს ყოყმანს ბოლო „ტვ პირველის“ ეთერში **სოზარ სუბარის** გამოსვლამ მოუღო, რომელსაც ახლა მოდური სიტყვა „თვითლუსტრაცია“ უწოდო მხოლოდ, იგივეა, საერთოდ არაფერი თქვა. ამიტომაც გადამძალა საშინაო თემამ (თუ ასე თქმა შეიძლება) და წერილის მთავარი ლაიტმოტივი იქნება „თვალი დაუდგა ევროპას!“

მაგრამ, ვიდრე ლოგიკურად ვიმსჯელებთ მკითხველთან ერთად, ორიოდე სიტყვა თვალყურდაფსებულ ევროპასაც (წაიკითხე — აშშ, გნებავთ, დასავლეთი) შევაწიოთ, რაც უნდა იყოს, ჩვენი „სტრატეგიული მეგობარია“...

ნიცაში დატრიალებულ შემზარავ ტრაგედიას მორიგი ტერაქტი ვუწოდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მსგავსი რამ უეჭველად განმეორდება. საკითხავია მხოლოდ — სად და როდის?.. მკითხველს შევახსენებ, ამ საშინელ ინციდენტებს სად და ვინ დაუდო სათავე.

**ჟურნალ „შარლი ებდოს“** რედაქციაზე თავდასხმის შემდეგ, იმის მაგივრად, რომ ცივილიზებულ დასავლეთს ერთხმად დაეგმო წინასწარმეტყველ მუჰამედზე გამოქვეყნებული ამაზრზენი კარიკატურები და კანონის ძალით დაეხურა ისლამის მიმდევართა (არა მხოლოდ ისლამის მიმდევართა, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის მიუღებელი) რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელი გამოცემა, მოხდა პირიქით — ჟურნალის შემდეგი ნომერი მილიონიანი ტირაჟით დაიბეჭდა, ხოლო „ცივილიზებული“ ევროპის ქვეყნების ლიდერებმა „ჩვენ არ გვეშინია“, „მეც შარლი ვარ“, „არ დავთმობთ გამოხატვის თავისუფლებას“ და ა.შ. მსგავსი შინაარსის პლაკატებით ხელში საპროტესტო მარშით ჩაიარეს ელისეს მინდვრებზე. ისლამური სამყაროსთვის პარიზში „გადაგდებულმა ხელთათმანმა“ ევროპის წამყვან ქვეყნებში გამოიწვია შურისძიების ტერაქტების სერია, რომელთა უდანაშაულო მსხვერპლთ მართლაც აღარაფრის ეშინიათ და გამოხატვის თავისუფლებაზე ფასეულიც რომ არსებობს რაღაც, ამის შესახებ იმქვეყნად შეიტყვეს, მაგრამ, რაღა დროს — მიცვალებულისთვის ხომ ყველაფერი სულერთია?!

დღეს ისე შევეჩვიეთ ტერაქტებს, რომ ამ სამწუხარო ინციდენტებზე გავრცელებულ ინფორმაციას საზოგადოება ისე იღებს, როგორც ამინდის ბიუროს ცნობას. რაც შეეხება თურქეთში შეუმდგარ სამხედრო გადატრიალებას, ესეც, როგორც ევროპისთვის ტერაქტები, თურქეთისთვისაც ჩვეულებრივი ამბავია — ათათურქიდან მოყოლებული იმდენი წარმატებული თუ წარუმატებელი სამხედრო ამბოხი იყო, რომ მათი ზუსტი რაოდენობის დასახელება, მე კი არა, თურქებსაც გაუჭირდებათ. რა თქმა უნდა, ადამიანურად ვწუხვარ სამხედრო პუტჩის შედეგად დაღუპულებზე, მაგრამ, უწინარესად, ის მაწუხებს, რა გავლენა შეიძლება იქონიოს თურქეთში შესაძლო დესტაბილიზაციამ საქართველოს უსაფრთხოებაზე, რადგან რუსეთის თავდაცვის მინისტრის — **სერგეი შოიგუს** განცხადებით, სირიისა და ერაყის სცენარებმა შეიძლება სამხრეთ კავკასიაში (წაიკითხე — საქართველო) გადმოინაცვლოს და რუსეთი იძულებული იქნება, ადეკვატური ზომები გაატაროს.

და კიდევ — საინტერესოა, შეასრულებს თუ არა აშშ თურქეთის კატეგორიულ მოთხოვნას და გადასცემს თუ არა ანკარას პუტჩის ორგანიზებაში ეჭვმიტანილ **ფეთჰულაჰ გიულენს**, რომელიც იმის გარდა, რომ ამერიკის ძაღლიშვილია, როგორც ბოროტი ენები ირწმუნებიან, ექსპრეზიდენტ სააკაშვილის მამინაცვალიც ყოფილა, ანუ სიძეა ქართველების. ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა განსატვირთავად...

სერიოზულად კი, გინდაც ჩამქოლონ ჩვენმა ლიბერალებმა, ვამბობდი და გავიმეორებ: **თურქეთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე არ არის და არც არასდროს ყოფილა, მით უმეტეს — მეგობარი ქვეყანა. თურქეთი ბერძნებისთვის კონსტანტინოპოლის ყაჩაღურად წართმევის შემდეგ მეზობლად მოვლენილი იმპერიაა, რომელიც იყო, არის და მერმისშიც იქნება საქართველოს უბოროტესი მტერი, რომელსაც მიტაცებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 33%, და რომ არა რუსეთი, რომელსაც დროებით აქვს ოკუპირებული სოხუმ-ცხინვალი, დღეს ქართველის სახსენებელი აღარ იქნებოდა ამერ-იმერ საქართველოში.**

## ღმერთო, დამიფარე ამერიკელი მეგობრებისგან, მტერს თვითონ გავუმკლავდები!

**ღმერთო, დამიფარე ამერიკელი მეგობრებისგან, მტერს თვითონ გავუმკლავდები!**

მკითხველი უთუოდ მიხვდებოდა, რომ ეს ალექსანდრე მაკედონელის სენტენციადქცეული ფრაზის პერიფრაზია. სწორედ მისი გათვალისწინებით გაგაცნობთ **სოზარ სუბარის** მარგალიტებს, რომლებიც მან „ტვ პირველის“ ეთერში აფრქვია.

ბატონი სოზარი, ერთი მხრივ, აღიარებს, რომ სააკაშვილის რეჟიმი კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულშია მხილებული, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ ლიდერთა დასჯა საერთაშორისო თანამეგობრობამ არ დაგვანება. არსებობს თამაშის წესები და რადგან საქართველო პატარა, სუსტი ქვეყანაა, რეჟიმისა და მათ ლიდერთა გასამართლების ნებას რომ არ მოგვცემდნენ, უნდა გვცოდნოდაო, — აქეთ გვამუნათებს ეს არარაობა ქართველ საზოგადოებას, — თორემ მკერდში მუშტების ბრაგუნი და მიტინგებზე ყვირილი, რაც მეც გამიკეთებია, ადვილიაო. რომ იტყვიან, დაუკრეფავში გადავიდა ეს უნამუსო. თანაც, **სოზარ სუბარმა იმ ქვეყნებს უწოდა მეგობარი, რომლებიც მფარველობენ და უფრო მეტიც — დემონსტრაციულად ნიშნავენ მაღალ თანამდებობებზე პირებს (თავადვე ჩამოთვალა: საააკაშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი და ა.შ.), რომლებმაც 9 წლის განმავლობაში ქართველები საკუთარ სისხლსა და ცრემლში გვაბანავა, გაგვაუპატიურა.** მიმიფურთხებია ასეთი მეგობრებისთვის!

და, ალბათ, ამას ეხმიანება ალექსანდრე მაკედონელის ზეობიდან 15 საუკუნის შემდეგ **შოთა რუსთაველი:** „ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს, მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს“. ბატონი სოზარსა და „ქართულ ოცნებაზე“ ჯერ კიდევ თავგადაკლული ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის საყურადღებოდ რამდენიმე რიტორიკულ კითხვას დავსვამ — **წინასაარჩევნოდ მუშტებს რომ იბრაგუნებდით მკერდში და მიტინგებზე ყვიროდით, როგორც კი მოვალთ ხელისუფლებაში სამართლიანობას აღვადგენთო, მაშინ არ იცოდით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობაში მიღებული თამაშის წესების მიხედვით დასავლეთის (წაიკითხე — აშშ და მისი ელჩი საქართველოში) ქვეყნები უფლებას არ მოგვცემდნენ, დასასჯელი დაგვესაჯა?** ანდა, ახლაც რომ გვპირდებით, ოღონდაც კვლავ აგვირჩიეთ და, რაც 4 წლის განმავლობაში „ვერ მოვასწარით“, ყველაფერს გავაკეთებთ და უეჭველად აღვადგენთ სამართლიანობასო, რა, იმის უფლებას, რაც გუშინ არ მოგცათ „ჩვენმა მეგობარმა“ ამერიკამ, ხვალ მოგცემთ მხოლოდ იმიტომ, რომ **თამარ ჩუგოშვილის** მსგავსი ბუდარა-ბუდარიხებით შეავსეთ „ოცნების“ რიგები? გთავაზობთ წლების მიხედვით საიას — საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის — ხელმძღვანელთა სიას, რათა დარწმუნდეთ, ეს ვითომ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაცია სინამდვილეში აშშ-ის მიერ უხვად დაფინანსებული ანტიქართული სექტა რომ არის:

*** დავით უსუფაშვილი (1994-1996);**

*** გია გეწაძე (1997-1998);**

*** ნინო გვენეტაძე (1998-1999);**

*** თინათინ ხიდაშელი (1999-2001, 2003-2004);**

*** ზაზა რუხაძე (2001-2003);**

*** ანა დოლიძე (2004-2006);**

*** გიორგი ჩხეიძე (2006-2008);**

*** თამარ ხიდაშელი (2008-2010);**

*** თამარ ჩუგოშვილი (2010-2012);**

*** კახა კოჟორიძე (2012-2014);**

*** ანა ნაცვლიშვილი (2014 - ).**

ვფიქრობ, სიითი შემადგენლობის გაცნობაც საკმარისია, რომ დარწმუნდეთ — **საია, თავისუფლების ინსტიტუტი, ლომჯარია-გიგაურების არასამთავრობოები ერთი ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური ორგანიზაციის სხვადასხვა განშტოებაა.** რაც შეეხება **თამარ ჩუგოშვილს**, მისი საიაში „მოღვაწეობის“ წლები — 2010-2012, ეს ის პერიოდია, როდესაც სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკემ თვით მისი მფარველები შეაშფოთა ევროპა-ამერიკაში. დავიჯერო, ჩუგოშვილმა არაფერი იცოდა ციხეებში პატიმართა წამებების შესახებ, როცა ამ საშინელ ფაქტებზე კრინტს არ ძრავდა?

**მაგრამ ეს ის „ჩუგოა“ (ასე უხმობენ მოფერებით ხლისტების საზოგადოებაში), რომელმაც 26 მაისის სასტიკი დარბევა გაამართლა და პატიმრებზე ხმას ამოიღებდა?**

„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში ვწერდი, რომ მისტერ ქერის შეხვედრა ოპოზიციასთან, რომელიც **დავით ბაქრაძის** „ნაცმოძრაობითა“ და **ირაკლი ალასანიას** პარტიით იყო წარმოდგენილი, აშშ-ის ბრძანებას ჰგავდა, — ისე დაითვალეთ ხმები, რომ ეს პარტიები აუცილებლად მოხვდნენ პარლამენტში.

**საია, თავისუფლების ინსტიტუტი, ლომჯარია-გიგაურების არასამთავრობოები ერთი ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური ორგანიზაციის სხვადასხვა განშტოებაა**

**ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას „ქართული ოცნების“ ე.წ. ახალი სახეების მიმართაც — ეს სიაც, დიდი ალბათობით, აშშ-ის საელჩოში დაიწერა.**

რაც შეეხება მათ ევროპულ-ამერიკულ განათლებას, ის 2-3-თვიანი კურსები, რომლებიც ახალმა სახეებმა გაიარეს სხვადასხვა პრესტიჟულ სასწავლებელში, ყოველივე ქართულის, ტრადიციულის მიმართ სიძულვილის ჩანერგვას ისახავდა მიზნად და არა საფუძვლიანი განათლების მიღებას. საზოგადოება მაშინ დარწმუნდება ჩემი სიტყვების სიმართლეში, როდესაც ეს ახალი სახეები პარლამენტში აღმოჩნდებიან.

სოზარ სუბარის ბჟუტურს მონოლოგი ვუწოდე. არადა, მას მონა-ლოგი უფრო შეეფერება!

ეს მონობა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში დაიწყო: „ჩემი მეგობარი გენშერი, ბუში, ბეიკერი, ნატო“ და ა.შ. შევარდნაძისდროინდელია, შემდეგ კი ყველა მომდევნო ხელისუფლებამ აიტაცა, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ამ მხრივ ყველა წინამორბედს გადააჭარბა.

**სამართლიანობის აღდგენა კი არა, ცოლთან დაწოლის განრიგსაც აშშ-ის ელჩს უთანხმებენ და რად გვინდა ასეთი ხელისუფლება, რატომ ვუხდით უზარმაზარ ხელფასებს საქართველოს ბიუჯეტიდან იმ ხელისუფლებას, რომელსაც ხელში ანტიდისკრიმინაციული კანონის დროშა უჭირავს და ქართულ საქმეს არ აკეთებს?**

ჩუგოშვილებით განახლებულ აშშ-ის მონა პარლამენტში, დეპუტატების მონა-ლოგების ფონზე, პედერასტების ცისარტყელას ბაირაღიც რომ აფრიალდება ნატო-ევროკავშირის დროშებთან ერთად, არც ეს გაგვიკვირდება მალე.

საქართველო პატარა, სუსტი ქვეყანააო, — ბრძანა სოზარ სუბარმა.

აქ გამახსენდა **რეზო თაბუკაშვილის** ლექსი, რომელიც მან ანდერძად დაუტოვა შვილსა და შვილიშვილებს და რომელშიც ასეთი სიტყვებიც არის: **„საქართველო არ გეცოტავოთ!“**

**25 წელიწადია, საქართველოს ის ადამიანები მართავენ, რომლებსაც ჩვენი სამშობლო ეცოტავებათ. არადა, საქართველო მცირე ტერიტორიაზე მცხოვრები მცირერიცხოვანი და, უამრავი ნაკლის მიუხედავად, მაინც დიდი ქართველი ერის სამშობლო, ძლიერი ქვეყანაა და ამ დიდი კულტურისა და ისტორიის ქვეყანას სოზარ სუბარის მსგავსი პატარა კაცუნები მართავენ.** აი, ეს არის ჩვენი მთავარი უბედურება.

„მრავალი ერი აღიხოცება პირისაგან მიწისა, მაგრამ იბერია, ვითარცა ღვთისმშობლის წილხვდომილი, იარსებებს ქვეყნის დასასრულამდე!“ — ეს წმინდა **სერაფიმე საროველის** წინასწარმეტყველებაა, მაგრამ ამას შეისმენს მოყვრად მოსული მტრის მომიმედე ხელისუფლება?

მე უფრო „ოკუპანტი“ წმინდა სერაფიმ საროველისა მჯერა, ვიდრე ჩვენი „მეგობარი“ ამერიკისა.

**დავით მხეიძე**

**სკამის გამო რესპუბლიკელი ყველაფერზე წავა – ეს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება გასულ კვირას კიდევ უფრო გამყარდა, როცა გიგლა აგულაშვილი თანამდებობის შესანარჩუნებლად რესპუბლიკური პარტიიდან „ქართულ ოცნებაში" გადაბარგდა, ხოლო თინა ხიდაშელმა გადადგომის გამო ნამდვილი მრავალსერიანი მელოდრამა მოაწყო, რომელიც დასკვნით სტადიაში არა მხოლოდ სასაცილოდ, არამედ სამარცხვინოდაც გამოიყურებოდა.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შირმა (თეჯირი) — ეს სიტყვა, ალბათ, ყველაზე ზუსტად აღწერს ე.წ. ახალი სახეების ფენომენს, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ფართოდ დამკვიდრდა. ავანსცენაზე რამდენიმე მეტ-ნაკლებად სიმპათიური ახალგაზრდის გამოყვანით თაღლითობაში ჩაფლული პარტიების გაკეთილშობილების მცდელობა უკიდურესად მანიპულაციურ ხასიათს ატარებს. მართალია, ეს პრაქტიკა „ქართულ ოცნებას" არ დაუმკვიდრებია, მაგრამ მას ისეთივე მონდომებით მიმართავს, როგორც „ნაციონალური მოძრაობა".**

# ახალი სახეები და ძველი ცოდვები



**«ქართული ოცნება», ისევე, როგორც თავის დროზე «მოქალაქეთა კავშირი» და «ნაცმოძრაობა», პოლიტიკურ სივრცეში თითქმის სრული დომინირების მიღწევის შემდეგ, დიდი ალბათობით, კრიზისის, დაშლისა და ხელისუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგება. დეგრადაციის ნიშნები უკვე აშკარაა და რაღაც მომენტში პარტიას შეიძლება მხოლოდ ორი გზა დარჩეს — კონტროლიორს დაქვემდებარებული დემონტაჟი, მსგავსი იმისა, როგორიც «მოქალაქეთა კავშირში» მოხდა, ან სრული კრახი**

ბიძინა ივანიშვილი პარლამენტში დაახლოებით 90 დეპუტატის შეყვანას გეგმავს, „ქართული ოცნების" ზოგიერთი ლიდერი კი მანდატების ორ მესამედზე საუბრობს. საინტერესოა, რატომ წარუდგინეს საზოგადოებას 15 „ახალი სახე" ცალკე და არა დეპუტატობის ათეულობით სხვა კანდიდატთან, მათ თანაგუნდელებთან ერთად?! ამ ეპიზოდის შედარება „ნაციონალების" ორი თვისწინანდელ პრეზენტაციასთან არ შეიძლება, რადგან იქ სიის პირველი ათეული დაასახელეს, აქ კი „ძველისგან" განცალკევებული „ახალი" გვიჩვენეს. რა არის ეს — მხოლოდ პიარსვლა თუ შორს მიმავალი გეგმის ნაწილი?

**„ქართული ოცნება", ისევე, როგორც თავის დროზე „მოქალაქეთა კავშირი" და „ნაცმოძრაობა", პოლიტიკურ სივრცეში თითქმის სრული დომინირების მიღწევის შემდეგ, დიდი ალბათობით, კრიზისის, დაშლისა და ხელისუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგება. დეგრადაციის ნიშნები უკვე აშკარაა და რაღაც მომენტში პარტიას შეიძლება მხოლოდ ორი გზა დარჩეს — კონტროლიორს დაქვემდებარებული დემონტაჟი, მსგავსი იმისა, როგორიც „მოქალაქეთა კავშირში" მოხდა, ან სრული კრახი.** მაგრამ 15 წლისწინანდელი კომბინაციის გასამეორებლად საჭიროა „ახალგაზრდა რეფორმატორთა გუნდი", რომელიც რაღაც მომენტში მკვეთრად გაემიჯნება მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ ნეგატივს. გამოიყენებს თუ არა ამისთვის ივანიშვილი ამ „ახალ სახეებს"?

1990-იანი წლების ბოლოს „ახალგაზრდა რეფორმატორებმა" ჯერ შეასრულეს შირმის როლი მონსტრული მმართველი პარტიისთვის, შემდეგ კი მის „რეაქციულ" ნაწილს დაუპირისპირდნენ და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ. ეს არ იყო სტიქიური პროცესი, **ამ ჯგუფს ჰყავდა ძლიერი მფარველები ვაშინგტონში და შევარდნაძე იძულებული იყო, მათი პოზიცია გაეთვალისწინებინა. მეტიც, ედუარდ შევარდნაძე, სავარაუდოდ, ვერ ხედავდა წინააღმდეგობის გაწევის აზრს და მიიჩნევდა, რომ „ახალგაზრდა რეფორმატორთა" მოსვლა ხელისუფლებაში შესაძლებელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია.** მან გააკეთა თითქმის იგივე, რაც გერმანიის რაიხსპრეზიდენტმა **პაულ ფონ ჰინდენბურგმა**, როდესაც 1933-ში სხვადასხვა ფაქტორის თანხვედრის გამო ჰიტლერს ხელისუფლებისკენ გზა გაუხსნა. საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში გამოიყენება კონტრარგუმენტი იმის თაობაზე, რომ, უბრალოდ, ვერ წარმოიდგენდნენ, რა უბედურება დატრიალდებოდა ამის შემდეგ.

ბიძინა ივანიშვილს შეუძლია იგივე კომბინაცია გაიმეოროს. თანაც, შევარდნაძისგან განსხვავებით, ის ოფიციალურ თანამდებობას არ იკავებს. ასე რომ, ვალდებული არ არის, გადადგეს, გააკეთოს რაღაც განცხადებები და ა. შ. **„შუშის სასახლეში", 2003 წლის კრწანისის რეზიდენციისგან განსხვავებით, არაფერი შეიცვლება, თუ „ქართულ ოცნებაში" მას შემდეგ, რაც არჩევნებში დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს (ეს აუცილებელი წინაპირობაა), დაიწყება „ახალგაზრდა რეფორმატორების" აღზევება, რომელიც 1997-2003 წლების პროცესის მსგავსი იქნება. „ქართული ოცნების" გარდაქმნა კი** (მნიშვნელობა არ აქვს, ექნება თუ არა მას რევოლუციური ხასიათი, ამ კონტექსტში ეს მხოლოდ ტექნოლოგიური ხასიათის პრობლემაა) **ივანიშვილს შესაძლებლობას მისცემს, არაფორმალური მმართველობის ახალი რვაწლიანი ციკლი „სუფთა ფურცლიდან" დაიწყოს.**

ერთი შეხედვით, **გასულ კვირას საზოგადოებამ ვერაფერი იხილა, გარდა (ფარდობითად) ახალგაზრდა კარიერისტების ერთი ჯგუფისა, რომლის წარმომადგენელთა უმრავლესობა საიმიჯო თვალსაზრისით ფრიად უფერულია.** თუმცა ჩვენს დროში მასმედიას შეუძლია მიმზიდველი ფიგურა ნებისმიერი მასალისგან გამოძერწოს, რაც არცთუ შორეულ წარსულში სწორედ „ახალგაზრდა რეფორმატორების" მაგალითზე დადასტურდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილი ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ქარიზმული პოლიტიკოსების მიერ ამომრჩეველთა ემოციებით მანიპულირებას განიხილავს. ამ და ზოგიერთი სხვა ფსიქოლოგიური ხასიათის მიზეზებიდან გამომდინარე, მას, სავარაუდოდ, ურჩევნია, საქმე შედარებით „ფერმკრთალ" ფიგურებთან დაიჭიროს, მაგრამ **იმ შემთხვევაში, თუ ის „ქართული ოცნების" რეფორმირებას თუ დემონტაჟს სწორედ „ახალგაზრდა რეფორმატორების" გამოყენებით გადაწყვეტს, „ახალი სახეების" დამატებით „რასკრუტკაზე" ზრუნვა მოუწევს.**

„ნაციონალური მოძრაობის" შემთხვევაში კი „ახალი სახეები" მხოლოდ შირმაა და მათ უკან არანაირი ქვეტექსტი ან ჩახლართული სცენარი არ დგას. ალბათ, იგულისხმება, რომ ხალხი დაინახავს პირველ ათეულში, მაგალითად, **რომან გოცირიძეს** და დროებით მაინც დაივიწყებს ყოფილი მმართველი პარტიის დანაშაულებრივ წარსულს. ეს ისე სასაცილო და, ამასთანავე, სატირალია, რომ ამ თემაზე საუბრის გაგრძელება არც ღირს. აღსანიშნავია, რომ **მიხეილ სააკაშვილს,** ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებით, „სათადარიგოთა მოკლე სკამი აქვს" და შესაბამისად, — შედარებით ცუდი ხარისხის „ახალი სახეები". ამ მხრივ სხვა პარტიების მდგომარეობა უფრო მძიმეა. გამონაკლისს მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსი" და **პაატა ბურჭულაძის** პარტია წამოადგენენ. მათ, პოლიტიკური ასაკიდან გამომდინარე, ძველი ცოდვების გადაფარვის პრობლემა, ერთი შეხედვით, არ უნდა აწუხებდეს, თუმცა მათ შემთხვევაში (წინასწარი ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ) შეიძლება მოხდეს სიაში ფრიად ოდიოზური ფიგურების შეყვანა, რაც გააუფასურებს იმ ბონუსს, რომელსაც ამ მომენტისთვის ფლობენ.

**ქართული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა, ასე ვთქვათ, „ბელადისტური" ტიპისაა და ამომრჩეველთა უმრავლესობას მშვენივრად ესმის, რომ „ახალი სახეები" განსაკუთრებულს ვერაფერს შეცვლიან და ივანიშვილი, სააკაშვილი, ბურჯანაძე თუ ნათელაშვილი თავიანთ პარტიებში ყველაფერს მაინც ერთპიროვნულად გადაწყვეტენ.** თუმცა აქ წინა პლანზე ფსიქოლოგიაში კარგად შესწავლილი ფენომენი გამოდის — როდესაც რეალობა აუტანელია და გამოსავალი არ ჩანს, ადამიანს უჩნდება ძლიერი ქვეცნობიერი სურვილი, რომ, აწმყო თუ არა, მომავალი მაინც უფრო ლამაზ ფერებში დაუხატონ, ვიდრე ის სინამდვილეში არის (ან იქნება). **მარტივად რომ ვთქვათ, მას სურს, რომ მოატყუონ — შეუძლია დაიჯეროს, რომ „ახალი სახეები" რაღაცას შეცვლიან,** მიუხედავად იმისა, რომ ისინი უმცირესობაში არიან და არ არსებობს არანაირი მექანიზმი იმისთვის, რომ მათ გარდაქმნან თუნდაც მცირე რგოლი პარტიის ან სახელისუფლო სტუქტურების შიგნით სიუზერენის თანხმობის გარეშე. ამასთანავე, მათ, 99%-იანი ალბათობით, არ სურთ, ბატონ ბიძინას (მიშას, გრიშას და ა.შ.) ეკამათონ. მიუხედავად ამისა, **„ახალი სახეების" მაგია მაინც მოქმედებს და მისი ეფექტი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ჩამორჩენილია ესა თუ ის ქვეყანა.**

ჩამოთვლილი პოლიტიკური ძალებისგან განსხვავებით, **რესპუბლიკურ პარტიას** არ ჰყავს გამოკვეთილი ბელადი და მას ლიდერების საბჭო, ავლანეთში რომ იტყვიან, „ლოია-ჯირგა" მართავს. შესაძლოა, ეს იყო ერთადერთი პარტია, რომელსაც ახლო წარსულში შედარებით უმტკივნეულო განახლებისა და გაძლიერების შესაძლებლობა ჰქონდა. **უსუფაშვილსა** და **ხიდაშელს**, ზოგიერთ სხვა ლიდერთან ერთად, შეეძლოთ გამოეყენებინათ ის უნიკალური მდგომარეობა, რომელშიც 2012 წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის (დღემდე ამოუხსნელი) გულუხვობის შედეგად აღმოჩნდნენ, და გაეძლიერებინათ პარტიული სტრუქტურები, შეექმნათ ახალი წევრების რეკრუტირების და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ბუნებრივი გადარჩევის სისტემა". ამასთანავე, გაეწმინდათ პარტიის ხელმძღვანელი რგოლი პოლიტიკურ მარაზმში ჩავარდნილი „აქსაკალებისგან", რომლებსაც ინტელექტუალურმა ინერციამ შესაძლებლობა არ მისცა, არჩევნების შემდეგ შექმნილი სიტუაცია ადეკვატურად აღექვათ. თუმცა გარდაქმნის ნაცვლად ჩვენ ვიხილეთ სახელისუფლო ბერკეტების გამოყენების არასისტემური და მთლიანობაში უბადრუკი მცდელობები. **ივანიშვილმა მისცა უსუფაშვილსა და ხიდაშელს დრო და შესაძლებლობები და მათ ეს რესურსი გაფლანგეს. რა მიიღეს ამის შედეგად?**

**სკამის გამო რესპუბლიკელი ყველაფერზე წავა – ეს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება გასულ კვირას კიდევ უფრო გამყარდა, როცა გიგლა აგულაშვილი თანამდებობის შესანარჩუნებლად რესპუბლიკური პარტიიდან „ქართულ ოცნებაში" გადაბარგდა, ხოლო თინა ხიდაშელმა გადადგომის გამო ნამდვილი მრავალსერიანი მელოდრამა მოაწყო, რომელიც დასკვნით სტადიაში არა მხოლოდ სასაცილოდ, არამედ სამარცხვინოდაც გამოიყურებოდა.** იმ შემთხვევაში, თუ ბოლო 3 წელიწადში „პირველი რანგის" პარტიის ჩამოყალიბებაზე იზრუნებდნენ, დღეს ასეთ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდნენ. კომენტატორების უმრავლესობა „რესპების" მიერ ბარიერის გადალახვას სკეპტიკურად უყურებს და „ახალ სახეებს" ამ შემთხვევაში არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ. **„რესპები", სავარაუდოდ, ისევ დაუბრუნდებიან „ლოკომოტივის" ძიებას, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომელიმე პარტიამ მათთვის ამ როლის შესრულება ისურვოს. და ეს მაშინ, როდესაც მათ ჰქონდათ რეალური შესაძლებლობა, ასეთ „ლოკომოტივად" საკუთარი პარტია გადაექციათ.**

ეს, ალბათ, ქართული პოლიტიკის ზოგადი სენია — მიჩნეულია, რომ მაღალი თანამდებობები და სახელისუფლო ბერკეტები წარმოადგენს ერთგვარ ჯადოსნურ ჯოხს, რომელსაც ყველა, მათ შორის, პარტიული აღმშენებლობის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლია, არადა, რეალურად, ხელს უშლის. ეს სულ სხვა პროცესია და ძალაუფლებას მოწყურებული ბიომასის მოზიდვით არ შემოიფარგლება.

ტერმინი „ახალი სახეები" თავისთავად მიანიშნებს პროექტის მანიპულაციურ ხასიათზე. არავინ ახსენებს „ახალ ლიდერებს" (იმიტომ, რომ ისინი არ არიან ლიდერები) ან „ახალ იდეებს" (მსგავსი ჯერ არაფერი გაუხმოვანებიათ). დრო და დრო ახსენებენ „ახალ სისხლს", თუმცა ამან შეიძლება შავი იუმორის განწყობაზე დაგვაყენოს. ის ხომ, უპირველესად, ავადმყოფებსა და ვამპირებს სჭირდება (ძნელი სათქმელია, ვის ჰგავს უფრო მეტად მმართველი პარტია; შესაძლოა, ორივეს ერთად). ასე რომ, ყველაზე ხშირად გვესმის „სახეების" შესახებ, რომელთა მთავარი მოვალეობა ამ ეტაპზე სატელევიზიო „კარტინკის" განახლება იქნება. **ჩვენ ვიხილავთ შეჯიბრებას მჭევრმეტყველებასა და სიმპათიურობაში, რომელიც გარკვეული დროით დაგვავიწყებს იმას, რომ მთელი ეს მასკარადი ნიღბავს ბანალურ ავტორიტარულ რეჟიმს, ზუსტად ისე, როგორც ეს სააკაშვილის, იქამდე კი შევარდნაძის მმართველობის წლებში ხდებოდა.** ოპოზიციური პარტიების შემთხვევაში ის ნიღბავს მათ სურვილს, ანალოგიური რეჟიმი ჩამოაყალიბონ; მთლიანობაში კი სრულფასოვანი პოლიტიკური პროცესის იმიტირებას ახდენს. თითოეული ჩვენგანის გადასაწყვეტია, დარჩება თუ არა ამ სანახაობის მაყურებლად თუ ზურგს შეაქცევს მას, თუნდაც იმისთვის, რომ „ახალმა სახეებმა" მორიგი იმედგაცრუება არ მოუტანონ, როგორც ეს უკვე არაერთგზის მოხდა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მოსკოვს სურს, მისი სამეზობლო სტაბილური, აყვავებული იყოს და პროგნოზირებას ექვემდებარებოდეს

**ოფიცალური მოსკოვი თურქეთში, სომხეთსა და ყაზახეთში მომხდარ მოვლენებს გამოეხმაურა. როგორც რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რუსეთის საზღვრებთან „ტურბულენტობა“ მოსკოვში შეშფოთებას იწვევს.**

მისი თქმით, მოსკოვი ყურადღებით აკვირდება სამივე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

„რა თქმა უნდა, ასეთი ტურბულენტობის გამოვლინებები ჩვენს საზღვრებთან შეშფოთებას იწვევს. მოსკოვს სურს, რომ მისი მეზობელი ქვეყნები სტაბილური, აყვავებული იყოს და პროგნოზირებას ექვემდებარებოდეს“, — აღნიშნა პესკოვმა.

## 1 აგვისტოდან მიწის საკუთრებაში რეგისტრაცია მარტივდება

**საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა და 1 აგვისტოდან სრულად ამოქმედდება კანონპროექტი, რომელიც მიწის რეგისტრაციას ამარტივებს და მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის. კანონპროექტების ავტორია იუსტიციის სამინისტრო. ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რომელთაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებიან. კანონპროექტის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა მარტივდება; იხსნება ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდება.**

სპეციალური პროექტისა და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის მომზადება მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია. კერძოდ, დღეს ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების 25%-მდეა რეგისტრირებული, რაც ძალიან ცოტაა. ცვლილებების უმთავრესი მიზანი სწორედ მიწის რეგისტრაციის პროცესის გამარტივება და წახალისებაა. პროექტზე მუშაობისას გამოვლინდა მიწის მარტივი რეგისტრაციისთვის ხელისშემშლელი პრობლემები და მათ აღმოსაფხვრელად მომზადდა სპეციალური საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ:

*** შემუშავდება საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი, პროექტში ჩართული აზომველები სერტიფიკაციას გაივლიან.**

დღეს აზომვით ნახაზში არსებული უზუსტობა ხშირად ხდება მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი ფაქტორი. ე. წ. გადაფარვების არსებობის გამო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საჯარო რეესტრს 56 000-მდე სარეგისტრაციო საქმის შეჩერება მოუწია, პრობლემის მოგვარება კი დღეს მხოლოდ სასამართლოს გზითაა შესაძლებელი, რაც მოქალაქეების დროისა და დამატებითი რესურსის ხარჯვას ნიშნავს.

ამ პრობლემების მიზეზი საამზომველო საქმიანობის სფეროს მოუწესრიგებლობაა. აზომვითი ნახაზების შედგენის უფლება ნებისმიერ პირს აქვს. ხშირად საკადასტრო ნახაზები ოფისიდან გაუსვლელად სრულდება, რაც ცდომილების მიზეზი ხდება, აფერხებს მიწის რეგისტრაციის პროცესს და ლახავს მესაკუთრეთა უფლებებს.

პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული ცვლილებების შედეგად ამზომველების საქმიანობა სერტიფიცირებას დაექვემდებარება და იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდება აზომვითი ნახაზის ერთიანი სტანდარტი. საამზომველო საქმიანობისთვის დადგინდება მომსახურების საფასური (ნიხრები). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს შეეძლება, ადგილზე გადაამოწმოს სარეგისტრაციოდ წარდგენილ საკადასტრო ნახაზზე დატანილი მონაცემების სისწორე.

ამასთანავე, მთავრობა შეიმუშავებს მიწის გარკვეული ფართობის აზომვის საფასურის დაფინანსებისათვის შესაბამის მექანიზმს.

*** სახელმწიფო მოქალაქეს დაეხმარება საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში.**

დღესდღეობით მოქალაქე მიწის რეგისტრაციისას ვალდებულია, მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინოს სრული დოკუმენტაცია, რაც მიწაზე მის საკუთრებას დაადასტურებს; დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის შემთხვევებში კი საჯარო რეესტრი უარს ამბობს ქონების რეგისტრაციაზე. დოკუმენტების ხელახლა შეგროვება და დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორება მიწის მესაკუთრის ვალდებულებაა. სხვაგვარად მისი საკუთრება ვერ დარეგისტრირდება.

მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილებების თანახმად, საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდება. დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის, მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი დაეხმარება. იზრდება იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მიწის რეგისტრაცია.

ცვლილებების თანახმად, ქონების რეგისტრაციაზე უარის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გახდება. უმნიშვნელო ხარვეზი მფლობელის სახელის, გვარის შეუსაბამობა-უზუსტობა ასოებში; არასწორი დაწერილობა და სხვა ვეღარ შეუშლის ხელს მიწის რეგისტრაციას, თუკი პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (მაგალითად, პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი და ა. შ.) ერთმანეთს შეესაბამება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისთვის.



## საქართველოში ამომრჩეველთა რაოდენობა 3 513 260-ს შეადგენს

**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, ამჟამად საქართველოში პოტენციური ამომრჩევლების რაოდენობა 3 513 260-ს შეადგენს.**

ეს მონაცემები სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი პატარიძემ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიას გადასცა. ცენტრალური საარჩევნო კომისია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან მიღებული მონაცემების საფუძველზე კიდევ ერთხელ განაახლებს ამომრჩეველთა სიას.

## შესაძლოა, აშშ-ის კონგრესში სპეციალური კომისია შეიქმნას, რომელიც საქართველოში გამოგზავნილი თანხების ხარჯვას შეისწავლის

**„კონგრესში, შესაძლოა, შეიქმნას სპეციალური კომისია, რომლის ერთ-ერთი მიმართულება სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ამერიკიდან საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის გამოგზავნილი თანხის მიზანმიმართულად ხარჯვის გამოკვლევა იქნება, — განცხადა სამგორის რაიონის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, თბილისის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა, რომელიც ახლახან ამერიკის რესპუბლიკური პარტიის კლუბ „ქვინსის“ წევრი გახდა.**



„სააკაშვილის პერიოდში აღნიშნული თანხის არამიზნობრივ ხარჯვაზე ინფორმაცია თავის დროზე მიწოდებული გვაქვს ამერიკული პოლიტიკური წრეებისთვის, მაგრამ გარკვეული პერიოდის მერე ეს პროცესი მინელდა. ქართულ-ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია „თვისტომის“ მეშვეობით პროცესში მეც ვიყავი ჩართული. მნიშვნელოვანი იყო, რომ ამერიკელებს გაეგოთ, ამერიკელი გადამხდელების ფული სად მიდიოდა: შენდებოდა დემოკრატია თუ მიხეილ სააკაშვილის ავტოკრატია“, — განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა.

## ერდოღანმა ირანსა და რუსეთთან კავშირის შექმნის შესახებ განაცხადა

**თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა თავის ირანელ კოლეგა ჰასან როუჰანისთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ მზად არის, ირანთან და რუსეთთან სათანამშრომლოდ და ამ ქვეყნებთან ერთად რეგიონული პრობლემების მოსაგვარებლად, — იუწყება ირანული სააგენტო IRNA.**

„ჩვენ განწყობილნი ვართ ირანსა და რუსეთთან სათანამშრომლოდ, გვსურს, ხელიხელჩაკიდებულებმა გადავწყვიტოთ რეგიონული პრობლემები და მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ ჩვენი ნაბიჯები რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დასაბრუნებლად“, განაცხადა ერდოღანმა.



# რა მოხდა სინამდვილეში ერევანში

**17 ივლისს შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი, რომელიც 20-25 კაცისგან შედგებოდა, შეიჭრა ერევნის პოლიციის განყოფილებაში, სადაც საპატრულო ჯგუფი იმყოფებოდა და მოითხოვა რადიკალური მოძრაობის ლიდერის — ჟირაირ სეფილიანის გათავისუფლება, რომელიც 20 ივნისს დააპატიმრეს. ატეხილი სროლების შედეგად დაიღუპა 1 პოლიციელი, რამდენიმე კაცი დაიჭრა.**



მოგვიანებით თავდამსხმელთა მოთხოვნას დაემატა კიდევ ერთი — მთავრობის გადაყენება.

**ჟირაირ სეფილიანი** სომეხი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეა, შუშის განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონის ყოფილი მეთაური, პოდპოლკოვნიკი, ყარაბაღის ომის გმირი, ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ის 2015 წლის 20 ივნისს დააპატიმრეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ სეფილიანი თანამზრახველებთან ერთად ერევნის ტელეანძისა და ადმინისტრაციული შენობების ხელში ჩაგდებას აპირებდა.

**სომხეთის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენლებმა, აგრეთვე, განაცხადეს, რომ საფილიანს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა პირებთან, რომლებსაც ავალებდა იარაღისა და საბრძოლო მასალების გადატანასა და შენახვას, აგრეთვე, მზად ყოფილიყვნენ მათ გამოსაყენებლად შესაბამისი ბრძანების მიღების შემდეგ.**

სეფილიანს სამხედრო წარსულმა და ყარაბაღისადმი განსაკუთრებულმა თვალსაზრისმა უბიძგა „სამხედრო გადატრიალების“ მომზადებისკენ, მის თანამზრახველებს კი განეხორციელებინათ თავიანთი გიჟური განზრახვა — პოლიციელების მძევლად აყვანა.

რადიკალურად განწყობილი ერთი მუჭა ოპოზიციონერების ჯგუფი შეეცადა, ხალხი აეჯანყებინა, მაგრამ ადამიანების მკვლელობითა და მძევლად აყვანით იმის დამტკიცება, რომ მოქმედი ხელისუფლება შეცდომებს უშვებს და უნდა დაემხოს, დანაშაულია.

ის, ვინც ამბოხებულებს შორის მიმავალ მიზნებს მიაწერს, ძალიან ცდება. მათი საბოლოო მიზანი იყო ომი, რომლის გარეშეც ზოგიერთს მოწყენილობა ემუქრება.

ომი — აი ეს არის მათი მიზანი, ვინც გასულ კვირას „მსოფლიოს ამოყირავებას“ აპირებდა და ამ ადამიანების ქმედებას ანალოგია არ აქვს თურქეთთან ან ნიცასთან.

Politikus.ru

**P.S. სომხური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სიტუაცია ერევნის პოლიციის შენობასთან, სადაც რამდენიმე პოლიციელი მძევლად ჰყავთ აყვანილი, შედარებით მშვიდია. მიმდინარეობს მოლაპარაკებები შეიარაღებულ პირებსა და სამართალდამცველებს შორის.**

## ნიცაში, სამგლოვიარო ცერემონიაზე, საფრანგეთის პრემიერს სტვენითა და ყვირილით შეხვდნენ

**მანუელ ვალსს — საფრანგეთის მთავრობის მეთაურს, ნიცაში, სამგლოვიარო ცერემონიაზე სტვენით შეხვდნენ. ვალსი სანაპიროზე მომხდარი ტერაქტისას დაღუპულთა ხსოვნის პატივისცემის ნიშნად საერთო ეროვნულ წუთიერი დუმილის ცერემონიაში მონაწილეობდა. როცა ვალსი და მისი თანმხლები პირები გამოჩნდნენ, ხალხი მათ სტვენითა და ხმაურით შეხვდა.**

ზოგიერთი კი პრემიერს გადადგომისკენ მოუწოდებდა და სკანდირებდა: „სირცხვილი“, „მკვლელი“.

ახლახან გამოქვეყნებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ფრანგების 67% თვლის, რომ ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერი მოქალაქეების უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფენ და ისინი ტერორიზმთან ბრძოლაში უუნაროები არიან.



„ის მართლმადიდებლობის უდიდესი მტერია, ისლამზე დიდი მტერი. იცით, რატომ? ისლამი პირდაპირ გეუბნება, — შენი მტერი ვარო. ის კიდევ თავს მოყვრად გაჩვენებს და სამარეს გითხრის. ის არის ცხვრის ტყავში გახვეული მგელი და მის აქ შემოსვლას სიკეთე არ მოჰყვება. ეს იქნება დიდი განსაცდელი და ამას მალე ვნახავთ“.

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მამა ნიკოლოზ (ჩხიკვაძე):

# ის მართლმადიდებლობის უდიდესი მტერია, ისლამზე დიდი მტერი

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სოფელ დიღმის წმინდა მარინეს ეკლესიის მოძღვარი მამა ნიკოლოზი (ჩხიკვაძე).**

**— მამაო, 30 სექტემბერს საქართველოში რომის პაპი ფრანცისკე პირველი ჩამოდის. რა აზრის ხართ ამ ვიზიტზე? მცირე ხნის წინათ ვატიკანში ქადაგების დროს მან აღნიშნა, რომ საქართველო ყოველთვის დიალოგის სულისკვეთებითაა მიმართული სხვა რელიგიებისა და კულტურებისადმი.**

— დავიწყოთ იმით, რომ ეშმაკსა და ღმერთს საერთო არაფერი აქვთ. მათი ეკლესია ეკლესია აღარ არის, **დედამიწაზე ეკლესია მხოლოდ ერთია და ეს არის მართლმადიდებლური ეკლესია. ჩვენ ვართ ღვთის მიმდევარნი, ისინი — ეშმაკის, ხოლო ის, რასაც ისინი ეკლესიას ეძახიან, არის რომაულ-პაპისტური საკრებულო.**

რაც შეეხება დიალოგს და შემწყნარებლობას, ჩვენ, ქართველები, ნამდვილად შემწყნარებლები რომ ვართ, ამას მტკიცება არ სჭირდება, ამის დასტურია თუნდაც ის, რომ თბილისში გვერდიგვერდ დგას სინაგოგა, სომხური ეკლესია და მართლმადიდებლური ტაძარი. აქ რელიგიური ნიშნით არავინ არასდროს იდევნებოდა. ოღონდ შემწყნარებლობა არ უნდა გავიგოთ, როგორც მიმღებლობა სხვა კონფესიების, არამედ უნდა გავიგოთ, როგორც კაცთმოყვარეობა, ადამიანის სიყვარული, ანუ კონკრეტულად რას ვგულისხმობ: **კაცთმოყვარეობა ნიშნავს, რომ ჩვენ ყველას ვიწყნარებთ, ყველა ადამიანს, მაგრამ, როცა ლაპარაკია რელიგიაზე, აქ არანაირი შემწყნარებლობა არ უნდა იყოს. რელიგიური შემწყნარებლობა, არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს სარწმუნოების ღალატს.** ეს არ ყოფილა და არც არასდროს იქნება საქართველოში, ქართველი კაცი არასდროს უღალატებს თავის სარწმუნოებას და არასდროს დაუშვებს, მოსწყდეს იმ სარწმუნოებას, რომელმაც გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა.

ახლა რომის პაპის დაგეგმილ ვიზიტზეც ვიტყვი — ეს არის საშინელება. დღეს საპატრიარქო განიცდის ძალიან დიდ ზეწოლას, თორემ უწმინდესი მწვალებელს არ მოიწვევდა.

**— კონკრეტულად რა არის მიუღებელი პაპის ვიზიტში?**

— **ის მართლმადიდებლობის უდიდესი მტერია, ისლამზე დიდი მტერი. იცით, რატომ? ისლამი პირდაპირ გეუბნება, — შენი მტერი ვარო. ის კიდევ თავს მოყვრად გაჩვენებს და სამარეს გითხრის. ის არის ცხვრის ტყავში გახვეული მგელი და მის აქ შემოსვლას სიკეთე არ მოჰყვება.** ეს იქნება დიდი განსაცდელი და ამას მალე ვნახავთ...

**— თქვით, საპატრიარქო განიცდის ზემოქმედებას, თორემ უწმინდესი პაპს არ მოიწვევდაო. ვისი ინიციატივა იყო პაპის მოწვევა?**

— **ის მოიწვია საქართველოს პრეზიდენტმა, ამ პლასტელინა კაცმა, და მე მაქვს ასეთი იდეა: წაიყვანოს თავის რეზიდენციაში და იქ ჩაატარებინოს მესა.**

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მოკლედ ვიტყვი, რაში გამოიხატება პაპიზმის ანტიეკლესიურობა და ანტიქრისტიანულობა: **პირველი** — პაპიზმის მიერ უარყოფილია ყოვლადწმინდა სამება, როგორც ერთადერთი და ჭეშმარიტი ღმერთი. პაპიზმმა შეცვალა სახარებისეული სწავლება, დოგმატი სულიწმიდის გამომავლობის შესახებ. იგი ამბობს, რომ ეკლესიის თავი არის პაპი, ჭეშმარიტი სწავლებით კი ეკლესიის თავი უფალი ჩვენი იესო ქრისტეა. **შემდეგ** — 1870 წლის ივლისში პაპ პიუს მეცხრის მიერ მოწვეულმა ვატიკანის პირველმა კრებამ მიიღო დოგმატი პაპის უცდომელობის შესახებ. არადა, როგორ შეიძლება ადამიანი უცდომელი იყოს?! აბა, ისტორიას გადავხედოთ, რა პაპები ჰყავდათ. მხოლოდ **ბალთაზარ კოსა** რად ღირს, კაცი მეკობრე იყო...

ცალკე უნდა ითქვას **ჯვაროსნულ ლაშქრობებზეც**, ოთხი ლაშქრობა მოაწყო **პაპმა ინოკენტი მესამემ** და კონსტანტინოპოლი დაანგრია. შემდეგ ათონის წმინდა მთა გადაწვა, ბერები დახოცა და ახალგაზრდები, რომლებიც იქ მსახურობდნენ, მონებად გაყიდა.

ახლა **ინკვიზიციაზეც** ვთქვათ: ხალხს კოცონზე წვავდნენ, აწამებდნენ და საშინელებებს უკეთებდნენ. ამასთანავე, იყო **ინდულგენციებით ვაჭრობაც,** ანუ მიდიოდა კაცი ე.წ. სასულიერო პირთან და, აღსარებას კი არ აბარებდა, ფულს უხდიდა, რომ ცოდვები მიტევებოდა. მერე უფრო „წინ“ წავიდნენ და წინასწარ ახდევინებდნენ ფულს. მაგალითად: **მამის, დედის ან დის მკვლელობისთვის შენდობის მისაღებად ცოდვილს უნდა გადაეხადა 17 ლირა, 14 სოლდო და 6 დინარი. საკუთარი შვილის დამხრჩობ მამას ან დედას კი — 17 ლირა და 14 სოლდო. ეპისკოპოსის მიერ განკვეთა გამოისყიდებოდა 45 ლირად, პაპის ანათემაც ასევე — 45 ლირად. მკრეხელი, ქურდი, ხანძრის გამჩენი და სხვა მსგავსნი შენდობას იღებდნენ 136 ლირად და 6 სოლდოდ, ხოლო მრუში დაჭერილი მონაზონი იხდიდა 500 დუკატს... აი, ეს იყო მაგათი მორალი.**



> **«ამ შარლატანს და ამ მართლა კატას თუ, არ ვიცი, რა ვუწოდო, რა უნდა საქართველოში?! ეს არის მსახიობი, ჯამბაზი სულით, ხორცით და თავისი ცხოვრების წესით, ისევე, როგორც ყველა მისი წინამორბედი პაპი 1054 წლის შემდეგ. აი, ეს არის მაგათი ცხოვრების წესი და ეს ჯამბაზი ჩვენ, მართლმადიდებლებს, გვიწოდებს კატებს. ისე, ამის ღირსია ის ხალხი, რომელმაც თავი დაიმცირა და ამ კრებაში მიიღო მონაწილეობა»**

რაც შეეხება ისევ პაპის ვიზიტს, მის მთავარ მასპინძელს, პლასტელინის პრეზიდენტს, ალბათ, გარკვეული ცოდვები ექნება და საინტერესოა, რამდენის გადახდა მოუწევს „შენდობის“ მისაღებად? კიდევ ვიმეორებ: ახლანდელი პაპიზმი, ეს არის ანტიქრისტიანული, ნეოწარმართული რელიგია, რომელშიც ეთაყვანებიან პაპს და კათოლიკეთა გამონაგონ ღმერთ-კერპებს. ასე რომ, თავიანთ თავს მიხედონ. ეს არის დიდი საფრთხე ჩვენთვის და ამ მწვალებლის ჩამოსვლა სიკეთეს არ მოგვიტანს.

**— პრეზიდენტი ხან მაჰმადიანებთან ლოცულობს და ხან იუდეველებთან სინაგოგაში. მას, ალბათ, არ გაუჭირდება პაპის გვერდითაც დადგომა და მასთან ერთად ლოცვა.**

— ჰო და წაიყვანოს თავის რეზიდენციაში, ჩაიცვან პიერ კარდენის კოსტიუმი და, რაც უნდათ, ის ქნან. მართლმადიდებლურ ტაძარში, სადაც ჭეშმარიტი ქრისტიანული სიწმინდეები ასვენია, მას არაფერი ესაქმება. მან იქ ფეხი არ უნდა შედგას.

**— პაპისა და კათოლიციზმის მიმართ მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია გასაგებია, მაგრამ ბოლო ხანს ბევრს საუბრობენ თვითონ მართლმადიდებლურ სამყაროში არსებულ განხეთქილებებზე. როგორ ფიქრობთ, რეალურია, რომ არსებობს ან შეიძლება არსებობდეს მართლმადიდებლურ სამყაროში რამე განხეთქილება?**

— მართლმადიდებლურ სამყაროში განხეთქილება არ არსებობს, ეს არის სატანისა და მისი მიმდევრების დიდი სურვილი, მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან. ის, რომ კრეტაზე გამართულ კრებაში რამდენიმე ეკლესია მონაწილეობდა და რამდენიმე — არა, განხეთქილებას არ ნიშნავს. ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია და თითოეული მართლმადიდებელი ეკლესია თვითონ წყვეტს, მიიღოს თუ არა ამა თუ იმ კრებაში მონაწილეობა. საზოგადოდ, **ბართლომეოსი — კონსტანტინოპოლის პატრიარქი და რომის პაპი ერთი ჭკუისანი არიან, ერთი რამ აწუხებთ და, როგორც ჩანს, საერთო ენასაც ადვილად პოულობენ,** თუმცა კიდევ ვიმერებ: ეს არ ნიშნავს განხეთქილებას, ამას შეიძლება დავარქვათ ერთი ადამიანის შეცდომა. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია კი, სადაც სულიწმიდის მადლი სუფევს, არის უცდომელი.

**— ამას წინათ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, რომ დადგენილებები, რომლებიც კრეტის კრებამ მიიღო, ყველა ეკლესიისთვის იქნება სავალდებულო, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა თუ არა ესა თუ ის ეკლესია ამ კრებაში...**

— მოკლედ ვიტყვი: **წერონ და იკითხონ! ჩვენ არ ვმონაწილეობდით ამ კრებაში ჩვენთვის სავალდებულო არ იქნება მათი დადგენილებები.**

ახლა პაპის კიდევ ერთ განცხადებას შეგახსენებთ კრეტის კრების შესახებ, რომელიც მან სომხეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ გააკეთა: „გადაიდგა ნაბიჯი წინ, თუმცა არა ასი პროცენტით, მაგრამ ეს მაინც წინგადადგმული ნაბიჯია. იმ ოთხ ეკლესიას, ვინც არ წავიდა, ამის გაკეთება სურდა ცოტა მოგვიანებით. პირველი ნაბიჯი, შესაძლებლობების ფარგლებში გადადგმულია, როგორც ბავშვი დგამს პირველ ნაბიჯს, ისე, როგორც შეუძლია. ჯერ ის მოძრაობს, როგორც კატა და შემდეგ დგამს პირველ ნაბიჯს. მე ბედნიერი ვარ. მათ ისაუბრეს მრავალ საკითხზე. ვფიქრობ, რეზულტატი იქნება პოზიტიური. ის ფაქტიც კი, რომ ავტოკეფალური ეკლესიები მართლმადიდებლობის სახელით შეიკრიბნენ, ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ იმისთვის, რომ ერთად ელოცათ და შესაძლოა, მოეყოლათ რაღაც ანეკდოტებიც, ეს ძალიან პოზიტიურია. მადლობა უფალს. შემდეგ ჯერზე იქნება უფრო მეტი უფლის კუთხევით“.

ახლა **ამ შარლატანს და ამ მართლა კატას თუ, არ ვიცი, რა ვუწოდო, რა უნდა საქართველოში?! ეს არის მსახიობი, ჯამბაზი სულით, ხორცით და თავისი ცხოვრების წესით, ისევე, როგორც ყველა მისი წინამორბედი პაპი 1054 წლის შემდეგ. აი, ეს არის მაგათი ცხოვრების წესი და ეს ჯამბაზი ჩვენ, მართლმადიდებლებს, გვიწოდებს კატებს. ისე, ამის ღირსია ის ხალხი, რომელმაც თავი დაიმცირა და ამ კრებაში მიიღო მონაწილეობა...**

**— 22 ივნისს საზაფხულო შვებულებაში გასვლამდე ორი დღით ადრე საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც ე. წ. სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, ბავშვი „ძალადობის“ შემთხვევაში ოჯახიდან გაიყვანოს და „მოძალადე“ მშობლისგან განაცალკევოს. როგორ ფიქრობთ, რას ემსახურება ეს საკანონმდებლო ცვლილება?**

— ამ კანონის მიზანი არის ოჯახის ინსტიტუტის დანგრევა. აი, რა ხდება დასავლეთში: **ვთქვათ, ბავშვს უტარებენ ე.წ. სექსუალური აღზრდის გაკვეთილებს და მშობელმა არ გაუშვა. ამის საფუძველზე „სოციალურ მუშაკს“ აქვს უფლება, ბავშვი წაიყვანოს, ანუ ეს არის ოჯახში შეჭრის მცდელობა და მოქალაქეს, მშობელს, ფაქტობრივად, არჩევანი არ რჩება — ან უნდა იყოს მორჩილი და ზედმიწევნით დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები თუ მოვალეობები, რომლებიც ამ კანონით ეკისრება, ან წაართმევენ შვილს.** ეს არის შეტევა ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე და, თუ ჩვენ ამ კანონის მიღებას დავუშვებთ, მერე ამათ იოლად გაუვათ სხვა მრავალი უბედურებაც, რომლებიც იდეაში უკვე აქვთ და რომლის განხორციელებასაც ადრე თუ გვიან აუცილებლად შეეცდებიან...

**— რა უნდა გააკეთონ საზოგადოებამ და ეკლესიამ, ამ კანონის საბოლოოდ დამტკიცებას და ამოქმედებას ხელი რომ შეუშალონ?**

— ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იურიდიულად, რათა ამ კანონის მიღება შევაჩეროთ, მაგრამ, მეორე მხრივ, ცხადია, გვესმის, რომ სასამართლო სისტემაც მათ ეკუთვნის, ვინც აღნიშნული კანონის ამოქმედებას ცდილობს. ძნელია, რამის გადაჭრით თქმა, **საზოგადოება, ალბათ, გამოიტანს დასკვნებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ოქტომბრის არჩევნებში. ყოველ შემთხვევაში, იმ ძალებს, რომლებიც მსგავს კანონებს გვახვევენ და ამის სანაცვლოდ გარედან რაღაც მხარდაჭერას იღებენ, ხმა არ უნდა მივცეთ. თუ გვინდა, ქვეყანაში ვითარება გაუმჯობესდეს, ბნელი ძალების პარპაში უნდა დასრულდეს.** სხვანაირად არაფერი შეიცვლება, ერთ გამყიდველს მეორე შეცვლის, მეორეს — მესამე და ასე გაგრძელდება უსასრულოდ.

ესაუბრა **ჯაბა ჭუანია**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამერიკა-თურქეთუმეები სრულიად უადგილოდ, უაზროდ, ანგარიშმიუცემლად გაიძახიან „ნატო-ნატოს“, აპელირებენ სრულიად გაუგებარ „ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ ღირებულებებზე“ და დარბიან ამერიკისა და თურქეთის დროშებით. ხშირ შემთხვევაში სწორედ ისინი აკნინებენ, დასცინიან, ჩამორჩენილსა და ბნელს უწოდებენ ყოველივე ქართულს და საკუთარ სახელმწიფო სიმბოლოებზე მეტად სწორედ ამერიკულ-თურქულ სიმბოლოებს სცემენ პატივს.**

# «ჩამოშლილი რუსეთი» და «დალაგებული თურქეთი», ანუ სად ერეკლე და სად ვაიპატრიოტები

**ბოლო 30 წელიწადია, ბრწყინვალე ასპარეზი აქვს მიცემული ყველა იმ ტუტუცს, რომელსაც ქართველთა ერთ-ერთ საამაყო და გამორჩეულ მეფე ერეკლე მეორეზე ჭკვიანად მიაჩნია თავი.**

„ერეკლე მეორემ ვერ მოისაზრა, რომ რუსეთი დაარღვევდა გეორგიევსკის ტრაქტატს და საქართველოში მეფობას გააუქმებდა“, — აი, ასეთი სასაცილო თვალსაზირისი უკვე, კარგა ხანია, ისმის საზოგადოებაში და, ჩვენდა სავალალოდ, ქართველთა ერთი ნაწილი სრულიად გაუაზრებლად ეთანხმება მას. მეტიც — საგარეო პოლიტიკაზე „ბრძნულად“ მოსაუბრეთა „ელიტამ“, ისიც კი არ იცის, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის კვალდაკვალ მეფობა გაუქმდა მხოლოდ ქართლ-კახეთში, ხოლო **სრულიად საქართველოში მეფობასა და სახელმწიფოებრიობას რუსეთი ვერასგზით ვერ გააუქმებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის გეორგიევსკის ტრაქტატამდე საუკუნეზე მეტი ხნის წინათ იყო გაუქმებულიც, განადგურებულიც და გაცამტვერებულიც.** ფორმალურად „სამეფო“, ქართლ-კახეთის გარდა, მხოლოდ იმერეთს ერქვა, ხოლო სამეგრელო, გურია, სამურზაყანო, რაჭა-სვანეთი და სხვები სამთავროებად მოიხსენიებოდა და მათი მთავრები ხან ოსმალებს უკმევდნენ გუნდრუკს, ხანაც — ირანელებს, რათა თავიანთი „დამოუკიდებლობა“ იმერეთის მეფისაგან როგორმე შეენარჩუნებინათ...

არა, ნამდვილად არ მსურს ეს წერილი მეექვსე კლასის საქართველოს ისტორიის ნარკვევებად ვაქციო, მაგრამ, **ვაი, რომ ბევრს მართლაც სჭირდება მეექვსე კლასში დაბრუნება და ჩვენი ბედუკუღმართი სამშობლოს რეალური ისტორიის ხელახლა და კარგად გააზრება.**

**ნიკოლოზ ბარათაშვილის** „ბედი ქართლისაზე“ რომ არაფერი ვთქვათ, სადაც შესანიშნავად არის გადმოცემული, რა იძულებითი არჩევანის წინაშე იდგა პატარა კახი, ელემენტარული აზროვნების უნარის მქონე ადამიანისთვის ისედაც ნათელი უნდა იყოს, რომ ერეკლე **„მოისაზრებდა“** თუ ვერ **„მოისაზრებდა“** რუსეთის მიერ ტახტის შენარჩუნების დაპირების შეუსრულებლობას, მას მაინც უნდა ეცადა საკუთარი ხალხის გადარჩენა რუსეთთან დაახლოების გზით. სხვა გზა ხსნისა, უბრალოდ, არ არსებობდა.

ფაქტია: **ერეკლე მეფე დღევანდელ „ბრძენ მოღვაწეებზე“ უკეთ ხვდებოდა, რომ რუსთ ხელმწიფე არავითარ შემთხვევაში არ შეასრულებდა დაპირებულს და აუცილებლად გააუქმებდა ქართლ-კახეთში სამეფო ტახტს... მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რას იზამდა ოსმალთა ხელმწიფე?..**

რა თქმა უნდა, ამ რიტორიკულ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ღირს, რომ არა კიდევ ერთი სულელური თანამედროვე პროპაგანდა იმის შესახებ, რომ თითქოს მაშინ სხვა დრო იყო და ოსმალ-თურქები განუვითარებელი, ველური, წერა-კითხვის უცოდინარი ბრბო გახლდათ, რუსეთი კი შედარებით კულტურული სახელმწიფო. **ახლა, თურმე, ეს ყველაფერი პირიქითაა — თურქეთი უკვე ნატოს წევრია, ბატონო, წინ წასული, გამოსული, განათებულ-გაბრწყინებული, ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული და ა.შ., ხოლო რუსეთი — XIX საუკუნეში ჩარჩენილი, განუვითარებელი, ბნელი, ჩამოშლილი, დანგრეული და დაქცეული.**

**ამიტომ, ერეკლეს პერიოდისგან განსხვავებით, ახლა უკვე რუსეთზე გაცილებით „პრადვინუტ“ თურქეთს უნდა ვემეგობროთ და ვემოკავშირეოთ, ის გაგვიყვანს სწორედ დიად ევროპულ გზაზეო, — მჯელობს მავანი.**

აი, აქ მივადექით კიდეც მთავარ სათქმელს: მართალია, **იმ წარმოუდგენელ ტუტუცებს, რომლებიც გვიქადაგებენ, — თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარი და მოკავშირეაო, ისევ ეს ზემოთ მოყვანილი თეორია სჯობს თურქეთის გამოსულობისა და ევროპელობის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, საბოლოო ჯამში, ორივე ერთი გველეშაპის ორი თავია.**

ორივე ეს პროპაგანდა განზრახ ვრცელდება და, როდესაც არ ამართლებს თურქეთის **„ისტორიული მეგობრობის“** შესახებ შეთხზული იდიოტიზმი, მაშინ უკვე **„თურქეთი გამოსწორდა“**-ს არანაკლებ ტუტუცური თეორიის გამოყენებით ცდილობენ ქართველი საზოგადოების გამოდებილებას.

ხოლო ვინ და როგორ „გამოსწორდა“, მართლაც თვალნათლივ დაგვანახვა აგერ, გასულ კვირას, ანკარაში მიმდინარე მოვლენებმა. მართალია, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ოსმალთა იმპერიის **გამოსწორება** არც უამისოდ უნდა დაეჯერებინა, მაგრამ თურქეთში მომხდარი სამხედრო აჯანყებისა და მის კვალდაკვალ განვითარებული მოვლენების თვალყურის დევნების შემდეგ, თუ კიდევ ვინმეს სჯერა ოსმალთა გაჰუმანურებისა, მაშინ მართლა აღარ ყოფილა საშველი და ეგაა!

ჰოდა, აი ამ **უსაშველოებს** მინდა პირდაპირ და დაურიდებლად ვკითხო:



**იმასაც მოვესწარით, რომ ქართველთა ერთ ნაწილს ოსმალეთის იმპერიის, საქართველოს ტერიტორიის, სულ ცოტა, ერთი მეოთხედის მიმთვისებლის, ქართული ენის, კულტურის, რელიგიის ამომძირკველისა და ქართველთა გამთურქებლის სახელმწიფო დროშაც კი დაუყენებია «ავატარად» საკუთარ «ფეისბუქგვერდებზე»**

**რომელია, პატივცემულებო, ე.წ. ჩრდილოატლანტიკური ღირებულებები?**

**ჯარისკაცებისთვის თავების დაჭრა?**

თუნდაც ისინი უსამართლოდ ამბოხებულნი იყვნენ, თუნდაც სულაც შარაგზის ყაჩაღები, ჯანდაბას, თუნდაც სამშობლოს გამყიდველნი და მოღალატენი...

**მიპასუხეთ, ოსმალთა იმპერიის „წინსვლითა და განვითარებით“ აღფრთოვანებულო ქართველებო: ადამიანებისთვის, თუნდაც დამნაშავეებისთვის, საჯაროდ ყელის გამოჭრა ჩრდილოატლანტიკური ღირებულებაა?**

მეორე მხარეც ვთქვათ: **უიარაღო თანამემამულეების ტანკებით გასრესა (თუნდაც მცდელობა ამისა) ევროპული ფასეულობაა?**

**აბა, ერთი წამით წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი რუსეთში მომხდარიყო.**

„მხოლოდ რუსი ღორები თუ გაუსწორდებიან ასე საკუთარ მოსახლეობას“; „მხოლოდ მახინჯ რუსულ ჯიშსა და გენს შეუძლია, საკუთარ ჯარისკაცებს ღორებივით გამოსჭრას ყელი“ და სხვა მსგავსი იდიოტური ეპითეტებით აჭრელდებოდა ინტერნეტფორუმები და სოციალური ქსელები.

და, რაც მთავარია, გაღრმავდებოდა „თეორიები“ რუსეთის „ჩამოშლისა და განადგურების“ შესახებ...

**რუსეთის ეკონომიკური კოლაფსისა და მოსალოდნელი საფინანსო კატასტროფის „პროგნოზებით“ წალეკავდნენ „დიადი ქართველი ექსპერტები“ ინტერნეტსივრცეს და მთელი ის აპოკალიფსური სურათი, რომელსაც ასე მონდომებით ხატავენ რუსეთის გარშემო ბოლო 10 წლის განმავლობაში, კიდევ უფრო გამუქდებოდა.**

ახლა კი რა ხდება? **იმასაც მოვესწარით, რომ ქართველთა ერთ ნაწილს ოსმალეთის იმპერიის, საქართველოს ტერიტორიის, სულ ცოტა, ერთი მეოთხედის მიმთვისებლის, ქართული ენის, კულტურის, რელიგიის ამომძირკველისა და ქართველთა გამთურქებლის სახელმწიფო დროშაც კი დაუყენებია „ავატარად“ საკუთარ „ფეისბუქგვერდებზე“.**

არადა, ეს სწორედ ის ხალხია, ადამიანს რამე რომ წამოგცდეს რუსეთის მიმართ, არათუ ოდნავი სიმპათია, არამედ თუნდაც სულ უბრალო აზრი, რომ რამენაირად იქნებ ვცადოთ რუსეთთან კვლავ დაახლოება და დალაპარაკება, იმ წამს **ერის მოღალატედ, გამყიდველად, რუსული ჩექმის მლოკველად, მტერთან კოლაბორაციონისტად** და ათასგვარ უბედურებად გაგასაღებენ.

არგუმენტი ის აქვთ, რომ თურმე რუსეთი 200 წელიწადი ცდილობდა ჩვენ გარუსებას. კი ბატონო, მცდელობები ნამდვილად იყო, მაგრამ იყო წინააღმდეგობებიც და ამ წინააღმდეგობათა რეალური წარმატებული შედეგიც: სახელმწიფო ენად — ქართული, ეკლესიებში წირვა-ლოცვის ენად — ქართული, სკოლებში სწავლების ენად — ქართული და სხვ.

**ახლა, აბა, საქართველოს იმ ნაწილს გადავხედოთ, რომელიც, სამწუხაროდ, ოსმალების მხარეს დარჩა. არის იქ რამე ქართული ოფიციალურად სახელმწიფოს მიერ აღიარებული და დაცული? რამდენი ეკლესია, რამდენი სკოლა, რამდენი კულტურული კერაა „თურქულ საქართველოში“?**

**ან იქნებ გვარს ატარებს ვინმე ქართულს და იქნებ ქართული ენის, ანუ დედა ენის დღესაც ოფიციალურად აღნიშნავენ და ჩვენ არ ვიცით?**

არა, „ერეკლე მეფეზე უფრო ჭკვიანთა“ საშველი არ იქნება. ისინი ყოველთვის მოიქნევენ მათრახივით ფრაზებს: „რუსების მონობა გინდათ?“, „რა დაგრჩენიათ მაგ ჩამორჩენილ, ჩამოშლილ და დანგრეულ რუსეთში?“, „რუსების მიერ დახოცილი ქართველი ბიჭების სისხლი...“ და ა. შ.

მართალია, ჯერ არსად მინახავს, მაგრამ, თუკი ვინმეს ხელი წაუცდა და სადმე რუსეთის დროშა დააყენა „ავატარად“, აი, მას ხომ გარანტირებული აქვს „მოღალატის“ იარლიყი საშვილიშვილოდ(!).

**ეს ძალიან პატრიოტები კი ისე აფრიალებენ თურქეთის დროშებს, გეგონება, არც ერთ თურქს არასოდეს არც ერთი ქართველის სისხლში არ გაუსვრია ხელი და აკვნებში ჩვილებს რუსი ჯარისკაცები წვავდნენ ცოცხლად და არა ოსმალოები...**

სხვათა შორის, რაც ვაკვირდები, ე.წ. **რუსეთუმეებად მონათლულ ქართველებსა და ამერიკა-თურქეთუმეებს შორის სხვაობა სწორედ ეგ არის.** რუსეთუმეები მხოლოდ გააზრებულ, გონიერ მიდგომებს ვითხოვთ რუსეთთან და მათი სტრატეგიული (თუნდაც სამხედრო) ინტერესების გათვალისწინების გზით, რეალური ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების მაქსიმალურად შესაძლებელი დოზით დაკმაყოფილებას; არც რუსულ სიმბოლიკას ვეთაყვანებით და არც რუსულ დროშებს ვაფრიალებთ სადმე.

აი, **ამერიკა-თურქეთუმეები კი სრულიად უადგილოდ, უაზროდ, ანგარიშმიუცემლად გაიძახიან „ნატო-ნატოს“, აპელირებენ სრულიად გაუგებარ „ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ ღირებულებებზე“ და დარბიან ამერიკისა და თურქეთის დროშებით. ხშირ შემთხვევაში სწორედ ისინი აკნინებენ, დასცინიან, ჩამორჩენილსა და ბნელს უწოდებენ ყოველივე ქართულს და საკუთარ სახელმწიფო სიმბოლოებზე მეტად სწორედ ამერიკულ-თურქულ სიმბოლოებს სცემენ პატივს.**

არა, ნამდვილად ვერ გაუგებენ ეს ვაიპატრიოტები უდიდეს ქართველ მეფეს — ერეკლე მეორეს. მათი გონება იმაზე წინ ვერასოდეს წავა, გაიაზრონ, რატომ მოაწერა ხელი იმ ტრაქტატს მაშინ ამ უდიდესმა სტრატეგმა და გამჭრიახმა პოლიტიკოსმა. **მათი ვიწრო აზროვნება იმის იქით ვერ სწვდება, რომ იფიქრონ, თითქოს პატარა კახი რუსებმა „მოატყუეს“ და იგი თვითონ ვერ ხვდებოდა, რაც მოჰყვებოდა ამ ტრაქტატს შედეგად...**

არა, ბატონებო! **ერეკლე გადასარევად ხვდებოდა ყველაფერს, მაგრამ თქვენი შეზღუდული გონება თუ მიხვდება ოდესმე, რა მოჰყვებოდა უტრაქტატობას?**

თუმცა, როგორ შეიძლება, რამეს სწორად მიხვდნენ ის ადამიანები, რომლებსაც, 10 წელიწადია, აუჩემებიათ — რუსეთი ჩამოიშალა და თურქეთი კი წინწასული და დალაგებულიაო.

ჰო, რა თქმა უნდა! ჩამოშლილი და განადგურებულია რუსეთი. აბა, რა, იქ ხომ სულ ასე უწესრიგოდ, კანტიკუნტად, 3-4 წელიწადში ერთხელ ხდება ტერაქტი თუ შეიარაღებული გადატრიალების მცდელობა...

**აი, ბატონო, თურქეთი, ნატოს წევრი, დალაგებული ქვეყანაა — ზუსტად წელიწადში სამჯერ გამოზომილად, დალაგებულად და გააზრებულად ხდება სახელმწიფო გადატრიალება, ამბოხი, სამხედრო პუტჩი და სხვ. აი, ეგაა სახელმწიფო და არ ლოკოთ რუსული ჩექმა, თურქულს მიეძალეთ(!).**

თქვენ მართლა ვერასოდეს გაიგებთ, რას და რატომ ფიქრობდა დიდი მამულიშვილი — პატარა კახი.

აბა, სად ერეკლე და სად თქვენა, ვაიპატრიოტებო!..

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილმა შეიმუშავა გრძელვადიანი გეგმა, კერძოდ, ოდესაში გადაამზადა 2000-მდე „სპეცნაშა“, რომლებიც საქართველოში ეტაპობრივად შემოვლენ. ისინი მუშაობას დაიწყებენ სხვადასხვა ადგილას — ოჯახებში ძიძებად, სასტუმროებში მეძავებად.**

# იგავი მილიარდერ მეფისა, კვირიკ ვაზირისა და თინა ჯადოქრისა

**იყო ერთი მეფე, მეტსახელად მილიარდერ მეფეს ეძახდნენ. არავინ იცის, როდის და სად იშოვა მილიარდები, მაგრამ ყველა ამ სახელით მოიხსენიებდა მის სამეფოში. ჰყავდა ამ მეფეს კვირიკ ვაზირი, კაცი ფრიად გულისხმიერი, ჭკვიანი და ლიბერალი. ამ ბოლო სიტყვის მნიშვნელობა მთელ სამეფოში ზუსტად არავინ იცოდა, მაგრამ თვითონ კვირიკ ვაზირი საკუთარ თავს ასე უწოდებდა და სხვას რა გზა ჰქონდათ, ამგვარად მოიხსენიებდნენ ხოლმე — კვირიკ ვაზირ ლიბერალი.**

იყო კიდევ ამ სამეფოში **თინა ჯადოქარი.** როცა მოუნდებოდა, ხან ამ ქვეყნის იურისტებს მოაჯდებოდა ხოლმე თავზე, ხანაც — სამხედროებს. პარლამენტის თავმჯდომარის თავმჯდომარედაც მოიხსენიებდა ხალხი, რადგან იგი პარლამენტის თავმჯდომარეს მუდამ თავზე აჯდა.

**არ უყვარდა ხალხს თინა ჯადოქარი. მოითხოვდნენ მილიარდერ მეფისგან მის მოშორებას სამეფოდან, მაგრამ მილიარდერი მეფე, თითქოს მოჯადოებულიაო, ვერაფრით იშორებდა თავიდან თინა ჯადოქარს.**

ერთხელაც, მილიარდერი მეფის ყურს მისწვდა, — ხალხი უკვე ისეა გაბრაზებული, შეიძლება შენც აღარ გაღიარონ მეფედ, თუკი თინა ჯადოქარს არ მოიშორებო. რა ექნა მილიარდერ მეფეს? თვითონ, აკი მოგახსენეთ, მოჯადოებული იყო და არ შეეძლო თინა ჯადოქრის მოშორება. ადგა და ეს ამოცანა თავის ერთგულ ვაზირს — კვირიკ ლიბერალს მიანდო.

— რა პრობლემააო? — შემპარავად იკითხა კვირიკ ლიბერალმა.

— მას შემდეგ, რაც გამოვაცხადე, რომ შავი ეტლებით აღარ ვივლიდი, ხალხს ისედაც ჰგონია, კაი ტიპი ვარ და, თინა ჯადოქრის მოშორებასაც თუ ჩემს თავზე მივიწერ, ხალხი კიდევ უფრო შემიყვარებსო!

— ეგ ეგრეაო, — მჭმუნვარედ უთხრა მილიარდერმა მეფემ, — მაგრამ თავად თინა ჯადოქარი რომ შემოგწყრება, რაღას გააწყობო?

— ეგ ამბავი მე მომანდეთ, ჩემო მილიარდერ-მეფევ და მე ვიცი და ჩემმა ლიბერალობამ, ხვალვე წარმოგიდგენთ ჩვენი სამეფოს ახალ სახეებსო! — ეშმაკური ღიმილით უპასუხა კვირიკ ვაზირმა.

**ასეც მოხდა, მეორე დღეს კვირიკ ვაზირმა მილიარდერ მეფესთან რამდენიმე გოგო-ბიჭი შეიყვანა და მოახსენა: — აგერ, ჩემო მილიარდერო მეფევ, ჩვენი სამეფოს ახალი სახეები ესენი იქნებიან თინა ჯადოქრის ნაცვლადო!**

შეხედა მილიარდერმა მეფემ და რას ხედავს: ერთს ქალის კაბა აცვია მუხლს ქვემოთ დაშვებული, მეორეს — პატარა გოგოსავით, დახეული შარვალი და „ტოპი“ მაიკა, მესამეს — მამაკაცის პიჯაკ-შარვალ-ჰალსტუხი, მეოთხეს — კედები და მაისური, სტუდენტი ბიჭივით და ა. შ., მაგრამ ახედავს სახეზე და ყველა მათგანს მაინც თინა ჯადოქრის სახე აქვს.

გაოგნდა მილიარდერი მეფე და ჰკითხა კვირიკ ვაზირს: — კაცო, რა ხდება ეს? ესენიც მოაჯადავა თინა ჯადოქარმა, თუ მე მაქვს ისეთ ჯადო, რომ ამათ სხვადასხვა ტანით ვხედავ, სახით კი ყველა მაინც თინა ჯადოქარს ჰგავსო?

— საქმეც ეგააო, — ეშმაკურად მიუგო კვირიკ ვაზირმა, — **ესენი, ჩემო მილიარდერო მეფევ, სინამდვილეში ყველანი მაინც თინა-ჯადოქრები არიან, უბრალოდ, სხვადასხვა სხეულში ჩასახლებულნი. მათ, ყველას, სხვა სამეფოებში აქვთ ნასწავლი და დამთავრებული „თინა ჯადოქრობა“ და შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიიღონ თინა ჯადოქრის სახე. ჰოდა,**




**თქვენც ხალხს მათ წარუდგენთ როგორც ახალ სახეებს და ხალხიც მოგენდობათ. თანაც ეტყვით, რომ მათ სხვა სამეფოს დიპლომები აქვთ.** ხომ იცით, ეს რა მაგიურად მოქმედებს ჩვენს გოიმ ხალხზე. სამაგიეროდ, აღარც თინა ჯადოქარი განრისხდება, რადგან მისი სულიერი შვილები მისი სახისანი გვეყოლებიან ისევ ჩვენს სამეფოში მაღალ თანამდებობებზე და ამით ორ კურდღელს დავიჭერთ — ხალხსაც გულს მოვულბობთ, რადგან ისინი ამათ ნამდვილ სახეს ვერ ხედავენ და ვერ ხვდებიან, რომ ისევ თინა ჯადოქრები ესხდებათ თავზე და, თავის მხრივ, თინა ჯადოქარიც კმაყოფილი იქნება და ობამა ღვთაებასთან ვეღარაფერს დაგვიშავებსო.

**ობამა ღვთაების ხსენებაზე მილიარდერ მეფეს ფერფური წაუვიდა და ნატოს ლოცვა 41-ჯერ უკუღმა წარმოთქვა. მერე კი კვირიკ ვაზირს თვალი ჩაუპაჭუნა და თინა ჯადოქრებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი.**

ჩვენი მეზღაპრე კორესპონდენტი იტყობინება, რომ ამ იგავის მორალი ქართველმა ხალხმა, წესით, უკვე 4 წელიწადია, კარგად უნდა იცოდეს, მაგრამ ფაქტობრივად, ალბათ, კიდევ ერთხელ გადაყლაპავსო...

სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგეთ, რას გულისხმობს იგი „გადაყლაპვაში“ ან, საერთოდ, რატომ მოგვწერა ექსკლუზიური ინფორმაციის ნაცვლად ეს იგავ-არაკი, მაგრამ მაინც თავი დავიზღვიეთ და გადავწყვიტეთ, დაგვებეჭდა. ვინ იცის, იქნებ ჩვენ ვართ გაუგებრები და შეუგნებლები და ეგებ თქვენ გაიგოთ რამე და გამოიტანოთ სწორი დასკვნები ყოველივე ამისგან, ძვირფასო მკითხველო?!

**აბია იბიელი**

# «ნაციონალური მოძრაობის» «ოღრაშული გეგმა» გაშიფრულია!

**სკანდალური ინფორმაცია, რომელიც ჩვენმა წყარომ ცოტა ხნის წინათ მოგვაწოდა: „ნაციონალური მოძრაობა“ სერიოზული ამბისთვის ემზადება და ამისათვის უკვე წინასწარ შეიმუშავა ე.წ. ოღრაშული გეგმა.**

წყაროს ცნობით, **ლევან ვარშალომიძე** საქართველოში შემთხვევით არ ჩამოსულა და არც ტარანტულების გამოჩენაა თბილისში მოულოდნელი — ტარანტულები ვარშალომიძეს მიხეილ სააკაშვილმა დახუფული მინის ქილებით გამოატანა, რომლებიც სპეცსისხლით არის დატუმბული და კბენის შემდეგ ნებისმიერი პოლიტიკური აზროვნების ადამიანი მოულოდნელად „ნაცად“ იქცევა. ამ თემაზე ერთ-ერთმა ტარანტულმა ისაუბრა, რომელიც პირადად დაგვიკავშირდა.

ასევე, **სააკაშვილმა შეიმუშავა გრძელვადიანი გეგმა, კერძოდ, ოდესაში გადაამზადა 2000-მდე „სპეცნაშა“, რომლებიც საქართველოში ეტაპობრივად შემოვლენ. ისინი მუშაობას დაიწყებენ სხვადასხვა ადგილას — ოჯახებში ძიძებად, სასტუმროებში მეძავებად...**

ძიძის შემთხვევაში ახალშობილს ძუძუს აჭმევენ. როგორც წყარო ამბობს, „სპეცნაშების“ ძუძუებში სააკაშვილის დორბლის ფრაგმენტია შერეული, რომლის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ადამიანი სულით ხორცამდე ნაციონალად ყალიბდება.

როგორც შევიტყვეთ, სააკაშვილმა ყველა ე.წ სპეცნაშას ძუძუს თავები დაუკბინა და ამ გზით შეაღწია დორბლის მასალამ მათ მკერდში. ეს კეთდება იდეოლოგიის გასავრცელებლად და ვირუსის გავრცელებას წაავგავს.

როგორც წყარო ამბობს, **მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სპეცნივთიერების შესაქმნელად, რომელიც ფარულად წაესმება „ქართული ოცნების“ ცენტრალურ შტაბს და იქ მყოფ ყველა პირს სამუდამოდ გაუქრება პოლიტიკაში ყოფნის სურვილი.**

როგორც გავიგეთ, ამ ნივთიერების შექმნაზე **ხათუნა გოგორიშვილი**, უკვე რამდენიმე თვეა, მუშაობს და ერთ-ერთი ექსპერიმენტის მიმდინარეობისას კოლბა აუფეთქდა, გარკვეული პერიოდი წოლითი რეჟიმი ჰქონდა და ამიტომაც არ ჩანდა ეკრანზე.

სანდო წყაროებით ცნობილია, რომ გოგორიშვილის ლაბორატორია **ბიძინა ივანიშვილის** სახლიდან რამდენიმე მეტრში მდებარეობს და სწორედ სიმაღლიდან აკვირდება ის ბიზნესმენის სახლს.

ჩვენი ინფორმაციით, სპეცნივთიერების გადასხმა ბიზნესცენტრის თავზეც იგეგმება და ის მფრინავი კამერა „დრონის“ მეშვეობით გადაესხურება ივანიშვილის რეზიდენციას.

ასევე, ცნობილია, რომ რკინიგზის სკანდალური ორსართულიანი მატარებლის გვირაბში ხელმეორედ ტესტირებისას იგეგმება დივერსია, კერძოდ, სპეციალურად ამ აქტისთვის მიწის ქვეშ ჩასაფრებულნი იქნებიან **შალვა ნათელაშვილი, ირინა სარიშვილი** და **მეგი გოცირიძე.**

გვირაბის თავში **გიორგი ვაშაძე** და მისი თანაგუნდელები ღლიცინით დაელოდებიან მატარებლის გავლას და შუა წელში დამალული ადამიანები თოხებს, ბარებსა და ფოცხებს წამოდებენ მიმავალ მატარებელს, რომელიც, სავარაუდოდ, წაბორძიკდება და წარმოჩინდება, როგორც ფაქტი, თითქოს მატარებელმა ჭერში „თავი“ მიარტყა და ვერ გაეტია.

ასევე, იგეგმება ლარის კურსის მიზანმიმართული გაუფასურება. კერძოდ, **რომან გოცირიძე** ყველა სავალუტო ჯიხურიდან დოლარის შესყიდვას აპირებს და ამ გზით შეეცდება ეროვნული ვალუტის გაუფასურებას.

ტელეეთერში პანიკის ასატეხად მზად არიან სპეცექსპერტები: **ხათუნა ლაგაზიძე, ბადრი შუბლაძე** და უნივერსალური **შალვა ნათელაშვილი.**

წყარო ამბობს, რომ ყური მოჰკრა, როგორ მსჯელობდნენ **მანანა კობახიძისა** და **ეკა ბესელიას** ჯორით მოტაცებაზე, თუმცა საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულან, რა ფორმით მოხდება მათი პოლიტიკური განეიტრალება.

მთავრობის ადმინისტრაციის შესასვლელში დამლაგებლის ფორმაში გადაცმული მეგი გოცირიძე ბანანის ქერქებს იმ დროს დაყრის, როდესაც მინისტრთა კაბინეტის წევრები შენობაში შესვლას დააპირებენ.

წყარო ამბობს, რომ ნაციონალებს განსაკუთრებული აგრესია **თეა წულუკიანის** მიმართ აქვთ და შესაძლოა, კანცელარიაში შესვლის დროს მეგი გოცირიძე დაეჯღანოს და შეაშინოს.

წყაროს ცნობით, „გოცირიძის ეფექტმა“ მინისტრი, შესაძლოა, შიშისგან ჭკუიდან შეშალოს.

ამ ინფორმაციის მიღებისთანავე ხელისუფლებამ საგანგებო ზომების მიღება უკვე დაიწყო, გამკაცრებულია უსაფრთხოების ზომები.

**რკინიგზის სკანდალური ორსართულიანი მატარებლის გვირაბში ხელმეორედ ტესტირებისას იგეგმება დივერსია, კერძოდ, სპეციალურად ამ აქტისთვის მიწის ქვეშ ჩასაფრებულნი იქნებიან შალვა ნათელაშვილი, ირინა სარიშვილი და მეგი გოცირიძე**

**გრიგოლ ინგაძე**

წერილი ჩაითონიდან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა ქრისტიანული საქართველო (და სამყარო) ხსოვნის წმიდათაწმიდა სანთლებს უნთებდა გარდაცვლილთა ნათელ სულებს და გარეშე მტრებთან ბრძოლებში დაცემულ გმირ წინაპრებს, პარლამენტარმა თედო ჯაფარიძემ მოისაკლისა ქართველთა სისხლითა და ცრემლით გაუმაძღარი თურქეთი და თავხედურად განაცხადა, — თურქეთი იყო, არის და მომავალშიც იქნება ჩვენი ქვეყნის მეგობარი და საიმედო პარტნიორიო... როგორც ჩანს, თედო ჯაფარიძეც ბებიამისის სიზმრებს გვიამბობს, როცა თავის თურქმან „ოილდაშ-ყარდაშებს“ ელოლიავება და მტრებთან ლაქუცს წარმატებულ საგარეო ურთიერთობად წარმოუდგენს სრულიად საქართველოს.**

# ნაც-ქოცური თურქომანია და ჯაფარიძის საალდგომო ბქუტური

**თურქომანია თურქეთისადმი მანიაკური ან გიჟური მისწრაფების გამომხატველი ცნებაა და ამ ჩვენს მუხთალ დროებასაც ასახავს, როცა საქართველოში დანაშაულად ითვლება თურქეთის აუგად ხსენება და მასთან სულმდაბლური ლაქუცი და პირფერობაა მხოლოდ და მხოლოდ დაშვებული.**
**არსებობს, აგრეთვე, თურქულის სახელით ცნობილი ცხოველთა გადამდები სნეულება, მაგრამ თურქულისგან განსხვავებით თურქომანიის ახალმა ჭირმა ნაცების შემოსევის დღიდან იფეთქა საქართველოში და ისე მძაფრად დარია ხელი ნაცებისა და ქოცების ხელისუფლებას, რომ ლამისაა, თურქომანია და თურქოფილია დღეს მთავარ სტრატეგიულ ორიენტირებად დაუდგინონ ქართველ ხალხს.**



ამ საქვეყნო ქაოსში დრო იხელთეს ოსმანთა ძველი იმპერიის რესტავრატორებმა და ახლა უფრო მეტი აზარტითა და სიხარბით ბდღვნიან ქართულ მიწა-წყალს. გზადაგზა კი თურქეთ-საქართველოს მეგობრობაზე ყრიან ბინძურ ჭორებს იმ ზნედაცემული და სულგაყიდული რენეგატების პირით, რომლებმაც, დიდი ხანია, თურქულ და ატლანტიკურ თაფლაკვერზე გაცვალეს ერიც და ქვეყანაც.

აღდგომისა და გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულების დღეებში, როცა ქრისტიანული საქართველო (და სამყარო) ხსოვნის წმიდათაწმიდა სანთლებს უნთებდა გარდაცვლილთა ნათელ სულებს და გარეშე მტრებთან ბრძოლებში დაცემულ გმირ წინაპრებს, პარლამენტარმა თედო ჯაფარიძემ მოისაკლისა ქართველთა სისხლითა და ცრემლით გაუმაძღარი თურქეთი და თავხედურად განაცხადა, — **თურქეთი იყო, არის და მომავალშიც იქნება ჩვენი ქვეყნის მეგობარი და საიმედო პარტნიორიო.**

ვისაც ახსოვს, ამ გამაოგნებელი სისულელისთვის ქართულმა პრესამ არაერთგზის დატუქსა მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ მან საკუთარი თავის შერცხვენას ისევ მშობელი დედის „ჩაშვება“ ამჯობინა და მისთვის ჩვეული სულმდაბლობით განაცხადა, დედაჩემი მასწავლიდა თურქების სიყვარულსა და მეგობრობასო. ვინმე **დავით კოღუაშვილმა** კი „უგანათლებულეს პიროვნებად“ მოიხსენია **მიხეილ შერეკილი**, რომელსაც მტრისა და მოყვრის გასარჩევი საჭირო განათლების მცირეოდენი რესურსიც კი არ აქვს და დედამისის მონაყოლი ზღაპრებით თამაშობდა პრეზიდენტობანას.

როგორც ჩანს, **თედო ჯაფარიძეც** ბებიამისის სიზმრებს გვიამბობს, როცა თავის თურქმან „ოილდაშ-ყარდაშებს“ ელოლიავება და მტრებთან ლაქუცს წარმატებულ საგარეო ურთიერთობად წარმოუდგენს სრულიად საქართველოს.

საქმე იქამდეა მისული, რომ ეს გაყოყოჩებული და გამოყეყეჩებული თურქომანები გააფთრებული ესხმიან თავს ქართველ მამულიშვილებს — ზოგს პარლამენტში უღრჭენენ კბილებს და საჯაროდ კბენენ, ზოგს ბოდიშის მოხდას აიძულებენ, ზოგს კი სამსახურიდან გაძევებით ემუქრებიან; მაშინ, როცა თვითონ პარლამენტის ავგიას თავლაა გასაწმენდი თურქომანთა თავგასული ხროვისგან.

გავიხსენოთ 9 მარტის ინციდენტი, როცა ბატონმა **გოგი თოფაძემ** საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება შეახსენა ქართველ კანონმდებლებს და გულახდილად ბრძანა, რომ, **თუ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გამო „გაზპრომთან“ საუბარი არ შეიძლება, მაშინ თურქეთიდან რომ ათასი ნაგავი შემოაქვთ, მას არ აქვს ჩვენი ტერიტორიები დაკავებულიო?**

რუსული ბუნებრივი აირი მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საქართველოსთვის, მაგრამ **ქართულ მიწებზე არხეინად წამოშხლართული თურქები და მათი ქართველი მსტოვრები, თურქეთის სანაგვედ რომ აქციონ სრულიად საქართველო, რუსეთიდან შემომავალ ყველა გზას ხერგავენ და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების სიმულირების გზით მტრობისა და სიძულვილის ცეცხლს აღვივებენ რუსეთსა და საქართველოს შორის.**

**ეს უახლესი ისტორიული ფაქტია, მაგრამ მასზე კრინტი არავის დაუძრავს თურქების მიერ ოკუპირებულ საქართველოს პარლამენტში.**

პირიქით კი მოხდა — საქვეყნოდ ნათქვამი ქართული სიტყვა და აზრი რომ ჩაეხშოთ, ქართველ თურქომანთა გუნდი ისეთი ჟივილ-ხივილით დააცხრა თავს ბატონ გოგი თოფაძეს, რომ მათ შემყურე ქართველ კაცს თავი, საქართველოს პარლამენტში კი არა, თურქულ მეჯლისში ეგონებოდა, სადაც უმოწყალოდ წეწდნენ და გლეჯდნენ ალალმართალ ქრისტიან ქართველს.

იმ დღეს **დავით კვაჭანტირაძემ, მიხეილ ჯანელიძემ, გია ვოლსკიმ** და, **თედო ჯაფარიძის** თურქული სექტის სხვა მიმდევრებმა საშინელი ქოქოლა დააყარეს ბატონ გოგი თოფაძეს, რათა „თურქული ნაგვისა“ და „თურქული ანექსიის“ შესახებ სიტყვა აღარავის დაეძრა.

**გურამიშვილის ჩრდილად რომ არ ღირს და «დრუჟბით» გადახერხილი კუნძივით რომ დევს დეპუტატის სკამზე, ის თედო ჯაფარიძე გვასწავლის, — თურქები იყვნენ, არიან და მომავალშიც იქნებიან საქართველოს მეგობრებიო**



**ხომ უდიდესი იდიოტიზმია თურქეთის მეგობრობაზე საუბარი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი სიბრიყვე და პროვინციალიზმი ის იქნებოდა, ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე ღია კარი გვემტვრია და ქართული ისტორიული ანალებიდან იმ ზღვა ფაქტების მოძიება და დამოწმება დაგვეწყო, რომლებიც ღაღადებენ, რომ თურქეთი იყო, არის და მომავალშიც იქნება საქართველოს მოსისხლე მტერი.**

**დრო იხელთეს ოსმანთა ძველი იმპერიის რესტავრატორებმა და ახლა უფრო მეტი აზარტითა და სიხარბით ბდღვნიან ქართულ მიწა-წყალს. გზადაგზა კი თურქეთ-საქართველოს მეგობრობაზე ყრიან ბინძურ ჭორებს იმ ზნედაცემული და სულგაყიდული რენეგატების პირით, რომლებმაც, დიდი ხანია, თურქულ და ატლანტიკურ თაფლაკვერზე გაცვალეს ერიც და ქვეყანაც**

მაგრამ საქართველოს ცარგვალზე მზე უკულმა გადაქანდა და დადგა ის შავბნელი პერიოდი, როცა საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ისტორიული რეალობები დასაცავი და გადასარჩენი გაგვიხდა ხელისუფლებაში შემოსეული მარიონეტ-ფალსიფიკატორებისგან, ერთუჯრედიანი პრიმიტივებისა და უწიგნური პრიმატების ხელყოფისგან.

**მეცამეტე წელია, გაოგნებული საქართველო წარმოუდგენელი მოთმინებით იტანს გონებაშეზღუდულ თურქომანთა ორლობულ ბქუტურს და ამ სულთამხუთავი ჯოჯოებისგან თავის დასახსნელად ღვთის წყალობას ელოდება; პასიურ ლოდინსა და მტრებთან კოაბიტაციურ კურკურს ეროვნული სულის დაცემითა და დაჩაჩანაკებით ხსნის წმინდა წერილი და მკაცრად მოგვიწოდებს, რომ იმ ყბედ და მატყუარა ქონდრისკაცებს, რომლებიც თავდაყირა აყენებენ სიმართლეს, დაუყოვნებლივ უნდა აეკრათ პირი და დაუდუმდეთ ენა, რათა თავიანთი ცრუ მოძღვრებით არ რყვნიდნენ თაობებს (მოციქული პავლე).**

მაგრამ, სანამ თედო ჯაფარიძეს, დავით კვაჭანტირაძეს, მიხეილ ჯანელიძეს და მათ თანამოაზრე თურქოფილ ცრუპენტელებს დაიჭერენ და სათითაოდ „აუტკოჩავენ“ პირს, მანამდე „ქართლის ცხოვრების“ წმინდა წიგნს ჩავხედოთ და თურქების წინააღმდეგ მამაცურად მებრძოლ ერთ ქართველ ვაჟკაცს მოვუსმინოთ, რომელსაც ცალ ხელში მესიის მახვილი ეპყრა, ხოლო მეორე ხელის თითებიდან გადმონაჟონი სისხლით საქართველოს ჭეშმარიტ ისტორიას წერდა, რათა მომავალ თაობებს მტრისა და მოყვრის გარჩევის უნარი ჰქონოდათ.

**„და მოედვნენ თურქნი ქართლს, ვითარცა მკალნი და იწყეს რბევა, მოოხრება, წვა, სრვა და ტყვეობა ქრისტიანეთა. მოჭამეს ქვეყანა და ამოსწყვიტეს თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო კლდეთა, ტყეთა, ქვაბთა და ხუვრელთა შინა... და თუ ვინმე დაშთა სიმაგრეთა შინა, ეგრეცა მოისრა ზამთრის სიფიცხითა და შიმშილითა.**

**და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა. მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი დაემკვიდრნეს მას შინა და იყო ჭირი მოუთმენელი. წმინდა ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თვისთა (ცხენების სადგომად), ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი — ადვილად არაწმინდანებისა მათისა (საპირფარეშოებად).**

**მღვდელნი მახვილითა შეწირულ იქნენ... რომელიმე ტყვეობასა მიცემულ... მოხუცებულნი — არა შეწყალებულ, ხოლო ქალწულნი — გინებულ (გაუპატიურებულნი), ჭაბუკნი — დაკვეთებულ (დაკოდილი), ხოლო ჩვილნი მიმოდატაცებულ... მოწვეს შენებული ყოველი... მდინარენი სისხლისანი ვიდოდა ნაცვლად წყლის ნაკადულთა“...**

ამ შემზარავი ისტორიული ტრაგედიის ფონზე კიდევ ერთხელ მინდა მიგმართოთ თედო ჯაფარიძეს, დავით კვაჭანტირაძეს და თურქულას ჭირით ინფიცირებულ ყველა თურქომანს:

**თქვენ თუ ქართველობის, ვაჟკაცობის ან კაცობის ნატამალი შეგრჩენიათ, გამოდით საქვეყნო არენაზე და გვიპასუხეთ — ნუთუ ეს მაჯლაჯუნა კაციჭამიები, ავაზაკები, მძარცველები და მკვლელები იყვნენ და არიან „საქართველოს მეგობრები და საიმედო პარტნიორები“?!**

მართლაც და, ვაი, თქვენს პატრონს!

თქვენ საქართველოს ისტორია კი არა, როგორც ჩანს, თხისა და გიგოს თავგადასავალიც არ გაქვთ წაკითხული და სიმწიფის ატესტატებიც თაღლითობით გაქვთ ნაშოვნი, თორემ სასკოლო პროგრამიდან მაინც გეცოდინებოდათ, რომ თურქთა წინააღმდეგ ხმალდახმალ მებრძოლი დიდი ქართველი პოეტი და მეისტორიე დავით გურამიშვილი „ქართლის ჭირში“ სწორედ თურქებით იწყებს საქართველოს მტრების ჩამოთვლას:

„**თურქი**, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი
სრულად ქართლის **მტერნი** იყვნენ,
ყველამ წაკრა თითო ქიშტი“.

მაგრამ **გურამიშვილის ჩრდილად რომ არ ღირს და „დრუჟბით“ გადახერხილი კუნძივით რომ დევს დეპუტატის სკამზე, ის თედო ჯაფარიძე გვასწავლის, თურქები იყვნენ, არიან და მომავალშიც იქნებიან საქართველოს მეგობრებიო.**

თურქები, ჩვენი ქვეყნის მეგობრები კი არა, გათათრებულ ქართველ თურქომანთა პირადი მეგობრები არიან, რადგან ერთად რყვნიან და ბილწავენ სრულიად საქართველოს.

**ნაც-ქოცების მიერ თავმოჭრილი თემიდა კი დუმს, ამიტომ თედო ჯაფარიძეს, დავით კვაჭანტირაძესა და თურქულ სალაფავზე თვალებგადმოკარკლულ და** ▶

**ქართულ მიწებზე არხეინად წამოშხლართული თურქები და მათი ქართველი მსტოვრები, თურქეთის სანაგვედ რომ აქციონ სრულიად საქართველო, რუსეთიდან შემომავალ ყველა გზას ხერგავენ და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების სიმულირების გზით მტრობისა და სიძულვილის ცეცხლს აღვივებენ რუსეთსა და საქართველოს შორის. ეს უახლესი ისტორიული ფაქტია, მაგრამ მასზე კრინტი არავის დაუძრავს თურქების მიერ ოკუპირებულ საქართველოს პარლამენტში.**

შორია გურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აშკარაა, რომ სარფიანი შეკვეთებით გაფოფრილი შოუმენი ვერც მოქნეულს ზომავს და ვერც თავისი უგერგილო ღრეჭა-კრეჭისა და მანჭვა-გრეხის ობიექტებს არჩევს რიგიანად. ასეა თუ ისე, გზააბნეულ ვანო ჯავახიშვილს მაინც მოყვრულად გვინდა ვურჩიოთ, რომ ქართველ პატრიოტებთან ბღლარძუნს თავი დაანებოს, სანამ იმ ხვანჯრამდე ჩამოფორთხიალებული ჰალსტუხით დაუბიათ და შვინდის ჯოხით აუჭრელებიათ უკანალი**

**◀ ჩიჩახვდაზერილ სხვა რენეგატებსა თუ დეგენერატებს პასუხსაც ვერავინ სთხოვს საქართველოს ისტორიის გაყალბებისთვის, სიცრუის ქადაგებისა და ტირაჟირებისთვის, ეროვნული სულიერებისა და ცნობიერების გაუკუღმართებისთვის.**

დიდოსტატი **კონსტანტინე გამსახურდია** ოცდახუთი წლის განმავლობაში ძერწავდა თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ამსახველ ტეტრალოგიას — საქართველოს, რუსეთის, ბიზანტიის, ყივჩაღეთის, სომხეთისა და სელჩუკთა სასულთანოს წიგნთსაცავებში მოკვლეული ქორონიკებისა და ისტორიების საფუძველზე.

ამ ბრწყინვალე ლიტერატურული და ისტორიული შედევრით მწერალმა ნათლად აჩვენა მსოფლიოს ხალხებს, რაოდენ სასტიკ და ვერაგ მტერს ებრძოდა და იგერიებდა ჩვენი ქვეყანა თურქ-სელჩუკების სახით.

დიდოსტატი დავით მეფის გენიალურ გამჭრიახობაზე ბრძანებს: „მან ოსტატურად გამოიყენა ერთმორწმუნე რუსი ხალხის გამარჯვება საერთო მტრის — ისლამური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ გზით გადაარჩინა გამუსლიმანების საფრთხეს როგორც იმჟამინდელი საქართველო, ისე მთელი კავკასია".

მაგრამ **ამჟამინდელ საქართველოში შემოსეული თურქომანები ისე ვერ დააფასებენ დიდოსტატ კონსტანტინეს კლასიკურ შემოქმედებასა და ნააზრევს, როგორც ღორები — მათ ფერხთით მიმობნეულ მარგალიტს, რადგან პირდაპირი ჩამომავლები არიან იმ ქურდულ-კლეპტოკრატიული ხელისუფლებისა, რომელმაც გაძარცვა და ცეცხლს მისცა გენიალური მწერლის სახლ-კარი და მდიდარი სულიერი საუნჯე.**

ოთხმოცდაათიანი წლების მანქურთები თუ ცეცხლითა და მახვილით იკლებდნენ ქვეყანას, ამჟამინდელი თურქომანები სარკაზმის იარაღით ცდილობენ ქართველ პატრიოტთა აბუჩად აგდებასა და პოლიტიკური არენიდან განდევნას.

მათ სამსახურშია „რუსთავი 2"-ზე ჩასაფრებული კომიკოს-ტერორისტი და თურქომანთა შაბაშებზე მოტინგიცე **ვანო ჯავახიშვილი.**

9 მარტის ინციდენტის შემდეგ ამ თეძოებჩასუქებულმა ტაკიმასხარამ სულ ზიზღისა და სარკაზმის შხამი ანთხია ბატონ გოგი თოფაძეს და ბოლოს წამოაყვედრა კიდეც, — შენმა საყვარელმა სტალინმა მეორე მსოფლიო ომი მოიგო და შენ რატომ ცდილობ მესამე მსოფლიო ომის დაწყებასო?!

ამასთანავე, ეს პირმოცინარი ჯამბაზი უსიტყვო კაპიტულაციას ურჩევს საქართველოს მტრების წინააღმდეგ თოფშემართულ გოგი თოფაძეს და თურქომანთა მარაქაში (ანუ დედაკაცთა საკრებულოში) გაწევრებას სთავაზობს გულმამაც **თამაზ მეჭიაურს.**

ვანო ჯავახიშვილის მორიგი რისხვა ბატონ **არჩილ გეგეშიძეს** დაატყდა თავს იმის გამო, რომ ამ ალალმართალმა ქართველმა კაცმა თამარის „ოქროს ხანა" ინატრა და ბრძანა, რუსეთ-საქართველოს მეგობრობა რომ არა, საქართველო საერთოდ არ იარსებებდა და ქართულ მიწაზე შავი ჯაგრით მოსილი გნომები იპარპაშებდნენო.

**სრული ჭეშმარიტებაა! — და ეს სიმართლე საქართველოსთან ერთად იცოცხლებს მისი არსებობის ბოლო წუთამდე.**

მაგრამ ამ შავჯაგრიანი გნომების ხსენებაზე აჯაგრულმა ვანო ჯავახიშვილმა შვიდივე ბრუნვაში ლანძღა და ათრია ბატონი არჩილ გეგეშიძე და გველის ორკაპით დაგესლა კიდეც, — შავი ჯაგარი არჩილ გეგეშიძეს ტვინში აქვს ჩაბრუნებულიო.

ამ გულისამრევ უხამსობაზე, ალბათ, არც არავის გასცინებია თვით ვანო ჯავახიშვილისა და მისი შოუს კულისებში ჩასაფრებულ მოხითხითეთა ქოროს გარდა, მაგრამ, რაც მთავარია, ორივე მათგანმა გვარიანად აამა თედო ჯაფარიძეს, დავით კვაჭანტირაძესა და იმ შავჯაგრიანი გნომების სხვა ქართველ სატელიტებს.

**აშკარაა, რომ სარფიანი შეკვეთებით გაფოფრილი შოუმენი ვერც მოქნეულს ზომავს და ვერც თავისი უგერგილო ღრეჭა-კრეჭისა და მანჭვა-გრეხის ობიექტებს არჩევს რიგიანად.**

ასეა თუ ისე, გზააბნეულ ვანო ჯავახიშვილს მაინც მოყვრულად გვინდა ვურჩიოთ, რომ ქართველ პატრიოტებთან ბღლარძუნს თავი დაანებოს, სანამ იმ ხვანჯრამდე ჩამოფორთხიალებული ჰალსტუხით დაუბიათ და შვინდის ჯოხით აუჭრელებიათ უკანალი.

ესეც საკითხავია, იმ შავჯაგრიანი გნომების შიშით რატომ უნდა ძრწოდეს თავმოყვარე ქართველი კაცი მაშინ, როცა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ უშიშარი და შეუდრეკელი ბრძოლა ქართველი ერის არსებობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა ოდითგან.

დიდი **დავით აღმაშენებელი** ქალის კაბას აცმევდა მტრების შიშით მოცახცახე არაკაცებს და „სადედოთა შთაცმითა" დაატარებდა შუკაშუკა ხალხის სასეიროდ, ხოლო გენიალური რუსთველი ქსლის მბეჭველ (ანუ მქსოველ) დედაკაცებს ადარებდა შედრეკილშეშინებულ და სიკვდილის მეჭველ ლაჩრებს.

**ნაცებო და ქოცებო!**

**თქვენ რატომღა თესავთ პათოლოგიურ შიშს ქართველ ხალხში? რად ცდილობთ, დედათა მონასტრად გადააქციოთ გმირების ქვეყანა?**

ჩვენს სამშობლოში მომრავლებულ პოლიტიკურ და შოუმენ ტაკიმასხარებს, სულგაყიდულ თურქომანებსა და თურქოფილებს, აგრეთვე, თურქებთან პირფერობით ენადაცვეთილ ლაზღანდარებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ვერასოდეს სძალევენ დიდ საქართველოს.

ალბათ, ესეც განგების უზენაესი ნების გამოხატულებაა, რომ ქართველი ერი ერთადერთია ამ ტრიალ ქვეყანაზე, რომელსაც კოსმოსის თვალშეუდგამი სიმაღლიდან ცისმარე დღე ჩამოესმის თავისი გმირი წინაპრების ომახიანი შეძახილის ექო:

**„მტერს რომ მტერობას**
**უწევდეს,**
**ვაჟკაცის შესაფერია,**
**ვისაც მტრის მტრობა**
**აშინებს,**
**ის ქვეყნად არაფერია"...**

**თამაზ მუშკუდიანი,**
**ბოლნისი**

# «საქართველოს ხელისუფლება სწორად ვერ აფასებს დიასპორის მნიშვნელობას და მის როლს ქვეყნის დღევანდელი და მომავალი განვითარებისთვის»

**ავთანდილ გიუნაშვილი 5 წლის წინათ გაემგზავრა საბერძნეთში ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტიპენდიით და ათენის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, რის შემდეგაც ცხოვრება და საქმიანობა ქართულ ემიგრაციასა და მის პრობლემებს დაუკავშირა. 2011-2013 წლებში ხელმძღვანელობდა საბერძნეთ-საქართველოს სტუდენტთა და ახალგაზრდობის ასოციაციას, 2012 წლიდან არის ათენის ქართველ ემიგრანტთა სათვისტომოს აქტიური წევრი და საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, გარდა ამისა — არაერთი პროექტის ინიციატორი და თანაორგანიზატორი.**



**— ბატონო ავთანდილ, ქართველებს აღარ სურთ სამშობლოში დარჩენა და სამუშაოდ უცხო ქვეყნებში მიეშურებიან. როგორც ვიცი, საბერძნეთმა წელს ქართველი ემიგრანტების ყველაზე დიდი ნაკადი მიიღო...**

— იმის თქმა, რომ ქართველებს აღარ სურთ სამშობლოში დარჩენა, არასწორია. მე მიწევდა და მიწევს შეხვედრა უამრავ თანამემამულესთან, რომელთა უმრავლესობის მიზანი სამშობლოში დაბრუნებაა. მათი მთავარი პრობლემა საქართველოში არსებული მძიმე სოციალური პირობების დაძლევაა უცხოეთში დასაქმებისა და ფინანსური გარანტიების შექმნის გზით. მერწმუნეთ, **ჩვენი თანამემამულეთა უმრავლესობა მზად არის, დღესვე დაბრუნდეს სამშობლოში, თუ ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობები და მუშაობის საშუალება ექნებათ.** უცხოეთში საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობის წამოსვლის მიზანი სამუშაოს პოვნაა. ცდილობენ, გაიუმჯობესონ სოციალური პირობები, გადაიხადონ სამშობლოში წარმოქმნილი საბანკო დავალიანებები, არჩინონ დაუსაქმებელი ოჯახის წევრები, გადაიხადონ შვილების განათლებისთვის საჭირო თანხა, შეიძინონ საცხოვრებელი, რომლებიც მევალეებმა წაართვეს და ა.შ. **საბერძნეთიდან ყოველთვიურად პირდაპირი ფულადი გზავნილების საშუალო რაოდენობა საქართველოში დაახლოებით 10 მილიონი აშშ დოლარია.**

**— ათენში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს თუ აინტერესებთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები?**

— ათენში, ისივე როგორც საქართველოში, ჩვენი მოქალაქეების ინტერესი პოლიტიკური პროცესების მიმართ თითქმის ერთნაირია. მათ აქტივობაზე ამ მხრივ გავლენას ახდენს მძიმე სამუშაო და ის იმედგაცრუება, რომელიც გამოწვეულია საქართველოს ხელისუფლებების შეუსრულებელი დაპირებებით. პარტიების უმრავლესობას დიასპორისა და ემიგრანტთა მიმართ პოლიტიკური პროგრამებიც კი არ აქვთ და, ბუნებრივია, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა ინტერესის მიზეზსაც კი ვერ ხედავს, რატომ უნდა იაქტიუროს.

**— როგორი დამოკიდებულება აქვს საბერძნეთის ხელისუფლებას ემიგრანტების მიმართ, დაცულად გრძნობენ ქართველები თავს საბერძნეთში?**

— საბერძნეთს მიგრაციის კუთხით საკმაოდ დიდი პრობლემები აქვს — საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, სახელმწიფო სტრუქტურების პრობლემები. საბერძნეთის სახელმწიფო სტრუქტურები არაერთ რეფორმას საჭიროებს და ამას ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო პრობლემის გადაჭრა ძალიან ნელა მიმდინარეობს. **ჩვენი თანამემამულეების დაუცველობის მთავარ პრობლემას ლეგალურად ბინადრობის დოკუმენტების არარსებობა, არალეგალურად ცხოვრება წარმოადგენს, რაც მეტ-ნაკლებად მოგვარდება საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდგომ.**

**— რა ცვლილებები უნდა განახორციელოს საქართველოს მთავრობამ დიასპორისა და ემიგრაციის საკითხებზე?**

**— დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო სწორად ვერ აფასებს დიასპორის მნიშვნელობას და მის როლს ქვეყნის დღევანდელი და მომავალი განვითარებისთვის.** რეპატრიაციის მიმართულებით სამი სახელმწიფო უწყება ფუნქციონობს და ვერც ერთი რეალურ დახმარებას ვერ უწევს სამშობლოში დაბრუნებულ თანამემამულეს, რაც მათ უკან, ემიგრაციაში, გამგზავრებას იწვევს. არასაკმარისი ფინანსური რესურსისა და საჭირო პროგრამების გარდა, მოუწესრიგებელია სახელმწიფო ინსტიტუტები. **დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შენახვა ბიუჯეტს მილიონ ორასი ათასი უჯდება და მის სანაცვლოდ დიასპორა რეალურ დახმარებას ვერ იღებს. ის სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ერთგვარი დუბლიკატია — არაფრის მომცემი შეხვედრებისა და ფოტოსესიების გარდა რეალურ პროდუქტს ვერ ქმნის.** ერთადერთი სარგებელი არის ის, რომ ამ სამინისტრომ საქართველოში დაახლოებით ორმოცი პირი დაასაქმა. გამოსავალი არაერთ პოლიტიკურ პარტიას შევთავაზე, მათ შორის, მმართველ პარტიასაც, რომ უნდა შეიცვალოს არსებული სახელმწიფო სტრატეგია. მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის გაერთიანებით უნდა შეიქმნას ახალი მიგრაციის, რეპატრიაციისა და დიასპორის საკითხთა სამინისტრო, რომელიც იზრუნებს უცხოეთში მყოფ და სამშობლოში დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეებზე. კიდევ სხვა გზაც შევთავაზე — გაუქმდეს აღნიშნული სამინისტრო და, მსოფლიოს სხვა არაერთი სახელმწიფოს მსგავსად, უნდა განხორციელდეს საქართველოს საარჩევნო სისტემის ცვლილება — **ერთი ან რამდენიმე მანდატი გადაეცეს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ერთმანეთატიან საარჩევნო ოლქში აირჩევენ წარმომადგენელს ან წარმომადგენლებს საქართველოს პარლამენტში.** ამ ინიციატივის განხორციელებით სახელმწიფო შექმნის უფრო ქმედით მექანიზმს დიასპორასთან ურთიერთობების კუთხით. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის გაუქმება გაათავისუფლებს, დღევანდელი მონაცემებით, სულ ცოტა, 1.2 მილიონი ლარის ოდენობის საბიუჯეტო ფინანსურ რესურსს, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას მისცემს უცხოეთში მყოფი თანამოქალაქეთათვის დამატებითი ზრუნვის საშუალებას.

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

ჰარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკული თანამედროვე იარაღის გადატანა რუსეთის საზღვრებთან ძალის დემონსტრირებაზე მიანიშნებს და უფრო მეტ საფრთხეს თვითონ ბალტიისპირეთის ქვეყნებს უქმნის და არა რუსეთის ფედერაციას. საქმე ის არის, რომ HIMARS-იდან გაშვებული ბალისტიკური რაკეტის ფრენის სიშორე საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ 80 კმ-ია.**

# «ჰაიმარსები» «ისკანდერების» წინააღმდეგ

## რატომ გადაიტანეს ამერიკელებმა ახალი იარაღი რუსეთის საზღვრებთან

**ამერიკული იარაღის ბალტიისპირეთში განლაგების პროცესი ნელ-ნელა იკრებს ძალას. ჯავშანმანქანებსა და პირად შემადგენლობასთან ერთად, რომლებიც მონაწილეობდნენ სწავლება Saber Strike-ში, ბალტიისპირეთის ქვეყნების მილიტარიზაციის დაწყების მომენტიდან, ამ ქვეყნებში პირველად გადაიტანეს ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა Himars-ი.**



„ჰაიმარსი“



„ისკანდერი“

ბალტიისპირეთში Himars-ების გადატანას დასავლურმა მედიამ „მოსკოვისთვის არაორაზროვანი სიგნალი“ უწოდა, მიუხედავად ამისა, სამხედრო სპეციალისტები შეეცადნენ, გაეანალიზებინათ საფრთხე, რომელსაც ამერიკული სამხედრო ტექნიკა უქმნის რუსეთს.

მაღალი სიზუსტის იარაღმა, რომლითაც შეიძლება ნებისმიერი, მინიმალური ზომის მიზნის განადგურებაც კი, სპეციალისტთა აზრით, ვერ შეძლო ბრძოლის ველიდან ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის გამოდევნა.

ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემას შეუძლია, გადაწყვიტოს ისეთი თანამედროვე სამხედრო-ტაქტიკური ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც არ შეუძლია „ჭკვიან“ იარაღს. ასეთ ამოცანებს მიეკუთვნება მასირებული ცეცხლის გახსნა ერთ ადგილზე თავმოყრილი მოწინააღმდეგის ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მიმართულებით, რომელიც ყველანაირი საშუალებით ცდილობს შეტევაზე გადმოსვლას ან თავდაცვას.

სია ქვეყნებისა, რომლებიც მუშაობენ რეაქტიული არტილერიის დახვეწაზე, საკმაოდ დიდია: ესპანეთი, ინდოეთი, ისრაელი, ჩინეთი, აშშ, რუსეთი. მათ მიერ შექმნილი რეაქტიული არტილერიის იარაღებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამერიკული კომპლექსი Himars-ი (High Mobility Artillery Rocket Sistem — მაღალმობილური საარტილერიო სარაკეტო სისტემა), რომელიც აშშ-ის სატრანსპორტო ავიაციამ ესტონეთში გადაიტანა სამხედრო სწავლება Saber Strike-ში მონაწილეობის მიზნით.

ამ ამერიკული სისტემისადმი ექსპერტების ინტერესი განპირობებულია რამდენიმე გარემოებით: **პირველი** — ეს ტექნიკა თანამედროვე ტექნოლოგიური მეთოდებით არის შექმნილი, აქვს ზუსტი გამომთვლელი აპარატურა და საბრძოლველად მომზადების მაქსიმალურად ოპტიმიზებული პროცესი.

**მეორე** — Himars-ი თანამედროვე ტექნიკის ის იშვიათი ნიმუშია, რომელიც გამოცდილია საომარ ვითარებაში: 2001 წელს ავღანეთში ნატოს ოპერაცია „მოშტარაკის“ ფარგლებში პირველად გამოიყენეს. თუმცა მის პირველ საბრძოლო ნათლობას მთლად წარმატებულს ვერ დავარქმევთ. სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, ამ სისტემიდან გაშვებული რაკეტებით 10-დან 15-მდე მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. ისინი გაუგებარი მიზეზის გამო მიზანს ასცდა.

**მესამე** მიზეზი, რომლის მიხედვითაც, სპეციალისტები დადებითად აფასებენ ამ ამერიკულ კომპლექსს, არის მისი უნივერსალურობა.

საჭიროების შემთხვევაში მის შასიზე შეიძლება დამონტაჟდეს მცირე სიშორის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა. ბევრი სამხედრო ექსპერტი ესტონეთში ჩატანილ ამერიკულ იარაღს მახასიათებლების მხრივ რუსულ ოპერატიულ-ტაქტიკურ კომპლექს „ისკანდერს“ ადარებს და ამბობს, რომ ამ ორი სისტემის მახასიათებლები თითქმის ერთნაირია.

**ამერიკული თანამედროვე იარაღის გადატანა რუსეთის საზღვრებთან ძალის დემონსტრირებაზე მიანიშნებს და უფრო მეტ საფრთხეს თვითონ ბალტიისპირეთის ქვეყნებს უქმნის და არა რუსეთის ფედერაციას.** საქმე ის არის რომ Himars-იდან გაშვებული ბალისტიკური რაკეტის ფრენის სიშორე საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ 80 კმ-ია. მას საბრძოლო მასალას — კასეტურქობინიან ATACMS Block IA-ს შეუძლია გადაწვას 67 ათასი კვ.მ ფართობი, ხოლო ATACMS Block IIA-ს, რომელიც დამუშავების პროცესშია, ექნება თვითდამიზნების ელემენტები (BAT), რომლებითაც შეიძლება კარგად დაცული ნებისმიერი მიზნის განადგურება.

„ამერიკელებს სწორედ Block IIA-სთვის სურთ ისეთი რაკეტის დამზადება, რომელიც 160 კმ სიშორეზე იფრენს, მაგრამ ბალისტიკის კანონების მიხედვით მოქმედების სიშორის გაზრდა მხოლოდ ქობინის მასის შემცირებით არის შესაძლებელი. სწორედ ამიტომ ცდილობენ ამერიკელები საბრძოლო მასალის სრულყოფას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 227 მმ-იან Himars-ზე შეიძლება დამონტაჟდეს ბირთვული საბრძოლო მასალა, პარალელურად გაიზარდოს რაკეტის ფრენის სიშორე“, — განაცხადა ერთ-ერთმა სამხედრო ექსპერტმა.

**სპეციალისტთა აზრით, ამერიკელები ინტენსიურად მუშაობენ, რათა ზალპური ცეცხლის სისტემა უნივერსალურ სარაკეტო-საარტილერიო კომპლექსად გადააქციონ.**

ვიდრე დასავლელი სამხედროები რუსეთის საზღვრებთან თავიანთი ძალების დემონსტრირებას ცდილობენ, რუსმა სამხედრო ინჟინრებმა უკვე შეიმუშავეს საპასუხო ეფექტიანი მეთოდი. ლაპარაკია ოპერატიულ-ტაქტიკურ სარაკეტო კომპლექს **„ისკანდერ M“**-ზე, რომლებიც უკვე განლაგებულია კალინინგრადში.

**„ისკანდერ M“-ის რაკეტების საბრძოლო ნაწილის „ასორტიმენტის“ მიხედვით ბევრ რამეზე შეიძლება მსჯელობა: ნამსხვრევებიან-ფუგასურ, ფუგასურ-ცეცხლგამჩენ, კასეტურ, კუმულაციურ, შემღწევ, მოცულობით-დეტონაციურ და ბირთვულ ქობინებს უამრავი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია გაცილებით მეტ მანძილზე — კომპლექს „ისკანდერ M“-ის ფრენის სიშორე 500 კმ-ია.**

ამერიკული ტექნიკის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ სამხედრო სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ Himars-ების გადასროლით ბალტიისპირეთში და მათი იქ მუდმივად განლაგებით ამერიკელი და ევროპელი სამხედროები თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობენ.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ევროპის სახელმწიფოების შეიარაღებულმა ძალებმა უარი განაცხადეს ახალი ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსებისა და რაკეტების შექმნაზე. ამერიკელი სამხედრო ინჟინრების მცდელობას, ერთ კომპლექსში მოაქციონ რეაქტიული არტილერიის სიმძლავრე, რომლითაც ბატალიონებს გაანადგურებენ, და ტაქტიკური რაკეტა, განსაკუთრებული წარმატება არ მოუტანია. **ამ სფეროში რუსეთს თვალსაჩინო წარმატება და, შესაბამისად, უპირატესობა აქვს. ამასთანავე, რუს სამხედროებს მიზნების გასანადგურებლად შეუძლიათ გამოიყენონ სპეციალური ფრთოსანი რაკეტა, რომლის ფრენის სიშორე დაახლოებით 2 ათასი კილომეტრია.**

# რუსეთის ავიაცია კვლავ დაბომბა «ისლამური სახელმწიფოს» პოზიციები



**გასულ კვირაში რუსეთის შორეულმა ავიაციამ კიდევ ერთხელ დაბომბა „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციები სირიაში.**



რუსულმა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ქალაქ პალმირას ჩრდილოეთით განლაგებული „ბოევიკების“ პოზიციებზე. 6 შორეული მოქმედების ბომბდამშენი Ty22M3 რუსეთის ტერიტორიიდან აიჭრა ჰაერში, რამდენიმე ასეული კილომეტრი შეუმჩნევლად იფრინა და „ისლამური სახელმწიფოს“ ობიექტებზე ნამსხვრევებიან-ფუგასებრი ბომბები ჩამოყარა.

პალმირას რაიონში მოქმედი „ბოევიკების“ პოზიციების გარდა, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა, აგრეთვე, დაბომბეს „ბოევიკების“ ობიექტები ქალაქ ეს-სუჰნესა და არაკის ახლოს. უსაფრთხოების მიზნით, რუსული ბომბდამშენების ეს შეტევა შეთანხმებული იყო საერთაშორისო კოალიციის ძალებთან.

ანალოგიური სქემით, 6-მა Ty22M3-მა 2 კვირის წინათ ბომბები ჩამოყარა „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე პალმირის აღმოსავლეთით და ეს-სუჰნესა და არაკის გარეუბნებში. შედეგად განადგურდა „ბოევიკების“ საველე ბანაკი, საბრძოლო მასალებისა და იარაღის 3 საწყობი, 3 ტანკი, 4 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 8 ავტომობილი, რომლებზეც დამონტაჟებული იყო მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები, რამდენიმე ათეული „ბოევიკი“.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში რუსეთის სამხედრო კოსმოსურმა ძალებმა 50-ჯერ დაბომბეს „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციები სირიაში.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

15 წლის ხუანა 20 წლით უფროსი მამაკაცისგან დაფეხმძიმდა. არსებობის სახსარი რომ მოეპოვებინა, მეძავი გახდა, შემდეგ კი — ნარკოკარტელ ZETAS-ის წევრი.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ ქერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## 28 წლის ქილერი ქალი გვამებთან სექსითა და ადამიანის სისხლის სმით იყო დაკავებული



შტატ ქვედა კალიფორნიაში (მექსიკა) ნარკოკარტელ Zetas-ის წევრი, 28 წლის მექსიკელი ქალი დააკავეს.



მხეცურ მკვლელობებში ეჭვმიტანილმა ქალმა, რომელიც დანაშაულში მონაწილეობას არ უარყოფს, აღიარა, რომ ნეკროფილია და, ამასთანავე, ვამპირის თვისებები აქვს.

28 წლის **ხუანა** მეტსახელად „ნამცეცა“, ამჟამად საპყრობილეში ზის და სასამართლოს ელოდება. ადგილობრივი მედიასაშუალებები წერენ, რომ ქალი, რომელიც დაიბადა მექსიკის დედაქალაქ მეხიკოსთან ახლოს — იდალგოში, ბავშვობიდან გამოირჩეოდა ჭირვეული ხასიათით, შემდეგ კი ნარკომანი და ალკოჰოლიკი გახდა. **15 წლის ხუანა 20 წლით უფროსი მამაკაცისგან დაფეხმძიმდა. არსებობის სახსარი რომ მოეპოვებინა, მეძავი გახდა, შემდეგ კი — ნარკოკარტელ ZETAS-ის წევრი. თავდაპირველად ნარკომაფიის მზვერავის როლს ასრულებდა აკვირდებოდა პოლიციისა და პატრულის გადაადგილებას და ინფორმაციას ხელმძღვანელობას გადასცემდა. გოგონა საათობით იდგა თავის კრიმინალურ პოსტზე და, თუ დავალების შესრულებაზე უარს იტყოდა, კოჭავდნენ და მშიერს ტოვებდნენ.**

განგსტერთა წრეში ხუანამ ბევრი სისასტიკე ნახა და მისი გრძნობებიც ნელ-ნელა დაჩლუნგდა. გოგონამ მალე დაიწყო მკვლელობებში მონაწილეობა. დაპატიმრებულმა ქალმა პოლიციელებს განუცხადა, რომ „აღაგზნებდა შეხება ახალდაღუპულების გვამებთან“, მოსწონდა სხეულის დაზელა ადამიანის სისხლით და მისი სმაც კი.

ხუანამ აღიარა, რომ თავისი ვნებების დასაკმაყოფილებლად სექს-სათამაშოებად იყენებდა გვამების თავებსა და სხვა ნაწილებს.



## კანადის პრემიერმა გეიაღლუმში მიიღო მონაწილეობა

**კანადის პრემიერმინისტრი სახელმწიფოს მოქმედ მეთაურებს შორის პირველია, რომელიც ლგბტ-თემის აღლუმს დაესწრო, — იუწყება CP24.**

„ჩემთვის ეს ლგბტ-თემის კიდევ ერთი ზეიმია“, — განუცხადა კანადის პრემიერმა CP24-ის კორესპონდენტს 3 ივლისს ტორონტოში გამართულ ლგბტ-თემის აღლუმის მიმდინარეობისას.

ტრიუდოს გარდა, ჰომოსექსუალთა აღლუმში მონაწილეობდნენ: პროვინცია ონტარიოს პრემიერი **კეტლინ უინი** და ტორონტოს მერი **ჯონ ტორი.** მათ ერთად გაიარეს ტორონტოს ქუჩები ლგბტ-თემის დროშების ფრიალით. სულ მსვლელობაში დაახლოებით 1000-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

კანადაში ერთნაირსქესიანთა ქორწინება 2005 წელს დააკანონეს, კანონი, აგრეთვე, ითვალისწინებს ერთნაირსქესიანი წყვილების მიერ ბავშვის შვილად აყვანას.



### შეუბრალებელი საქორწილო მოდა

საქორწილო სამოსი, რომელსაც ბოლო ხანს დიზაინერები გვთავაზობენ, უწინარესად, შეუბრალებელია ნორმალური ადამიანის ნერვების მიმართ.

აი ნახეთ, რა „დახვეწილ“ სამოსს სთავაზობენ მოდელიერები და დიზაინერები პატარძლებს მათი ცხოვრების ყველაზე საზეიმო დღეს ჩასაცმელად.

## განა ეს მოდაა?!



**რამდენიმე თვის წინათ პარიზში გაიმართა ჰომოსექსუალთა შორის პოპულარული ამერიკული ბრენდის — Hood by Air-ის ახალგაზრდული სამოსის ჩვენება. კოლექციამ მოდის ინდუსტრიის ბევრისმნახველი წარმომადგენლებიც კი განაცვიფრა, ჩვეულებრივი მაყურებელი კი სიცილისგან კინაღამ გაიგუდა.**

ამ ფოტოების დათვალიერების შემდეგ თვითონ გადაწყვიტეთ — დიზაინერთა ეს „მიგნებები“ სასაცილოა თუ სატირალი, რადგან ეს ე.წ. სამოსი უფრო შიზოფრენიკებისთვის არის განკუთვნილი.







გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„არავის შეუძლია აღწეროს სცენა, რომელიც იმჟამად სტალინის კაბინეტში დაიდგა, — იგონებს გოლოვანოვი, — ვხედავდი გაფითრებულ სახეებს, რომლებიც მიმართული იყო ერთი წერტილისკენ. გამახსენდა გოგოლის მიერ აღწერილი გაქვავებული სახეები რეპლიკისგან „ჩვენთან მოდის რევიზორი“.

# სტალინი და მარშალი გოლოვანოვი

## «მზად ვარ, სიმართლისთვის დავიკისრო პასუხისმგებლობა!»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22-26 (251-255)

### ნაწილი VI

**მოსკოვთან მოვარდნილი და იქვე მძიმედ დაჭრილი მხეცი საბჭოეთის დედაქალაქიდან აღმოსავლეთით 250 კილომეტრის დაშორებით მწარედ ღმუოდა. დედამიწის ყველა კუთხიდან მისალოცი დეპეშები მოდიოდა სტალინის სახელზე — მადლიერებას გამოხატავდნენ „ელვისებური ომის“ ჩაშლის გამო.**

**ოპერაცია „ბარბაროსას“ კრახმა ოპტიმიზმი ჩაუსახა, როგორც უმაღლეს მთავარსარდლობას, აგრეთვე, სანგრებში ჩაწოლილ მეომრებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში გასულ ზურგის „მებრძოლებს“.**

კრემლში, როგორც ყოველთვის, არც ამჯერად უღალატიათ ტრადიციისთვის — ფრონტის სარდლები და სამხედრო მრეწველობის სახალხო კომისრები თავს დატეხილი უბედურებისა და ქვეყნის დედაქალაქის დასაცავად გაწეული ცხარე ბრძოლების შედეგებს აჯამებდნენ. საქმეზე საუბრებითა და სასმისით ხელში შეეგებნენ დამდეგ 1942 წელს. ფანჯრების მინები რძისფერად რომ შეფერადდა, სტუმრებმა კრემლი დატოვეს და თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად გაემართნენ. გოლოვანოვი კი სტალინთან დარჩა და მათ შორის გულახდილი და საქმიანი საუბარი გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ ვარშავის ოპერაციით სტალინი აღფრთოვანებული იყო, მას მაინც არ აკმაყოფილებდა გოლოვანოვის დივიზიის საგმირო საქმეები — მეტი უნდოდა და ეძებდა გზას, რომელიც კიდევ უფრო გაზრდიდა დივიზიის ბრძოლისუნარიანობას.

გოლოვანოვმა გამბედაობა გამოიჩინა და სტალინს დაუფარავად განუცხადა, რომ არ იყო სწორი განსაკუთრებული მნიშვნელობის საავიაციო არმიის დაშლა, რომელიც თანდათან ძალას მოიკრებდა და ერთიანი ძლიერი ძალა გახდებოდა მტრის წინააღმდეგ. ურჩია, აღედგინა საავიაციო არმია, თუ ამის საშუალება არსებობდა.

სტალინი ჩიბუხით ხელში დინჯად მიმოდიოდა წითელ ხალიჩაზე. გოლოვანოვი თვალს არ აშორებდა მის სახეს, რათა დაენახა, რა რეაქცია ექნებოდა მის განცხადებაზე. კმაყოფილმა სტალინმა უხმოდ დაუქნია თავი.

„მივხვდი, რომ სტალინს არათუ ჩემი რჩევა სჭირდებოდა საგანგებო საავიაციო არმიის შექმნის თაობაზე, ამაზე ნაფიქრიც ჰქონდა და გადაწყვეტილებაც მიღებული. სტალინი გადაუმოწმებლად გადაწყვეტილებას არ იღებდა და სწორედ ამის შედეგი იყო, რომ ჩემკენ წამოვიდა, ახლოს გამიჩერდა და, როგორც ტოლს, მკითხა:

— რას ფიქრობთ, ამხანაგო გოლოვანოვ, საკითხზე, რომ შევქმნათ არა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არამედ შორს მოქმედი საავიაციო არმია? ამჟამად ხომ გვყავს შორი მოქმედების დივიზიები, რომლებიც სამხედრო-საჰაერო ავიაციაშია გაერთიანებული, ასევე, გვყავს შესაბამისი დანაყოფები ცალკეულ სამხედრო ოლქებში და ფრონტებზეც კი. თუ მათ გავაერთიანებთ და ერთ მუშტად შევკრავთ, თქვენი აზრით, მოგვცემს ეს სასურველ შედეგს? Gგარდა ამისა, შორი მოქმედების საავიაციო არმია იქნება თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს უშუალო დაქვემდებარებაში“.

სტალინი დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში გოლოვანოვს და მისგან პასუხს ელოდა. გოლოვანოვი კი დუმდა. ფიქრობდა, რომ სტალინს სურს, ათასობით თვითმფრინავი და ეკიპაჟი გააერთიანოს ერთ არმიად, რომელიც იქნებოდა სტრატეგიული მნიშვნელობის და, რომელიც მთავარსარდლობის დავალების შესასრულებლად უმაღლეს საბრძოლო ხელოვნებას გამოავლენდა.

„ჩვენი დივიზიის უშუალოდ მთავარსარდლისადმი დაქვემდებარება, — ფიქრობდა გოლოვანოვი, — პირველი ნაბიჯი იყო სტალინის ჩანაფიქრისა, მალე შეექმნა შორსმოქმედი საავიაციო არმია. სწორედ ამისთვის ეძებდა იგი ყველა გზასა და საშუალებას.

ეს უნდა იყოს, — განაგრძო სტალინმა, — არა მხოლოდ თვითმფრინავებისა და მათი ეკიპაჟების გაერთიანება, არამედ ეს უნდა იყოს გამბედაობისა და გმირობის სკოლა, სადაც გვექნება გმირი მფრინავების დანაკარგებიც, მაგრამ მუშაობა ისე უნდა აეწყოს, რომ დანაკარგები სწრაფად ივსებოდეს.

აზრები მყისიერად იცვლებოდა, მაგრამ საუბარი ძირითად მიმართულებას არ კარგავდა.

— ჩვენ წლების განმავლობაში მოგვიწევს ომი. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ნაწილობრივ შეცვალოთ თქვენი მოქმედების არეალი? — იკითხა სტალინმა“.

გოლოვანოვს გაუკვირდა, რისთვის სჭირდებოდა მასთან შეთანხმება სტალინს, როდესაც ის სრულიად ახალ საბრძოლო შენაერთს აყალიბებდა.

„საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ამხანაგო სტალინ, მაგრამ სრულიად ახალი სახეობის სამხედრო ფორმირების შექმნას საქმიანი მიდგომა და ფიქრი სჭირდება. ნაუცბადევად ეს საქმე არ გადაწყდება.

— სერიოზული საკითხი, რა თქმა უნდა, სწრაფად არ წყდება, — იყო პასუხი, — უნდა გამოვცეთ მთავრობის სპეციალური დადგენილება შორსმოქმედი საავიაციო არმიის შექმნის თაობაზე და ამ დადგენილების მომზადებაში თქვენ უნდა მიიღოთ მონაწილეობა. რაც შეეხება წმინდა საავიაციო საკითხებს, ამაზე თქვენ უნდა წარმოადგინოთ კონკრეტული წინადადებანი.

— მაშინ, ნება მიბოძეთ, ამხანაგო სტალინ, შევხვდე ადამიანს, რომელიც უხელმძღვანელებს ამ ახალ არმიას. მე მოვახსენებ მას ჩემს თვალსაზრისს და, თუ ისიც გაიზიარებს ჩემს წინადადებას, ორივე ერთად წარმოგიდგენთ დასამტკიცებლად.





— ჩვენ ასეთ პიროვნებად თქვენ მიგვაჩნიხართ, ამხანაგო გოლოვანოვ, — მომესმა პასუხი.

— გულისხმობთ, რომ მე ვიქნები არმიის სარდალი? — გაკვირვებულმა ვკითხე სტალინს.

— დიახ, თქვენ! — მტკიცედ განაცხადა სტალინმა.

უცბად თვალწინ წარმომიდგა გენერალი **პავლოვი**, რომელიც უზარმაზარ ფრონტს სარდლობდა და არაკომპეტენტურობის გამო საშინლად დაასრულა სიცოცხლე, თუმცა არავისზე ნაკლები პატრიოტი და სამშობლოს მოყვარული არ ყოფილა.

ვფიქრობდი, ავწევდი თუ არა იმ მოვალეობათა ტვირთს, რომელსაც არმიის სარდლობა მაკისრებდა.

— ამხანაგო სტალინ, გთხოვთ, მოსაფიქრებლად მომცეთ დრო, — მივმართე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

— გეშინია? — სტალინმა ზუსტად ამოიცნო ჩემი ფიქრები.

— მშიშარა არასოდეს ვყოფილვარ, ამხანაგო სტალინ.

— ჩვენთვის, დიდი ხანია, ეს ცნობილია, — იყო პასუხი.

— საჭიროა, თავი ხელში აიყვანოთ, ჩვენ თქვენზე ბევრს ვფიქრობთ, ამიტომ ამაზე დროის ხარჯვა უშედეგოა. წადით, მოეთათბირეთ, ვისაც გნებავთ, ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი და ორ დღეში მომახსენეთ.

**ორი დღის შემდეგ სტალინთან გამოვცხადდი. წარვუდგინე ჩემი თვალსაზრისი არმიის შემადგენლობაზე და განვუცხადე, რომ არმიის ძირითადი ბირთვი ჩემი ყოფილი დივიზიის მეთაურები იქნებოდნენ.**

სტალინი ჩემს არჩევანში არ ჩარეულა, მაგრამ ერთი კითხვა მაინც დამისვა:

— ღირს კი არმიის შტაბის უფროსად დაინიშნოს კაცი, რომელმაც არ იცის საშტაბო მუშაობა?

სტალინს ვთხოვე, დაეკმაყოფილებინა ჩემი თხოვნა და უარი არ ეთქვა ჩემ მიერ წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე.

— რა გაეწყობა, რადგან ასეა, ხალხიც შენ შეარჩიე და პასუხიც შენ აგე მათ მუშაობაზე“.

სტალინი გოლოვანოვის ყველა მოთხოვნას დაეთანხმა.

„1942 წლის 5 მარტს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება შორსმოქმედი საავიაციო არმიის შექმნის თაობაზე. აქ ერთი საინტერესო დეტალიც უნდა აღვნიშნო:

დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ არმია იქმნებოდა უმაღლეს მთავარსარდლობასთან. როდესაც სტალინმა დადგენილების პროექტი წაიკითხა, ის ადგილი, სადაც ეწერა „შეიქმნას უმაღლეს მთავარსარდლობასთან“, გადააკეთა და მიაწერა „უმაღლეს მთავარსარდლობაში“, თან დასძინა:

— სიტყვა სრულად უნდა გამოხატავდეს თავის შინაარსს. შორსმოქმედი საავიაციო არმია ვინმესთან კი არ შეიქმნა, არამედ შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში და არის ცალკე დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც შედის კომიტეტის შემადგენლობაში“.

ეს ახალი სამხედრო ფორმირება შეიქმნა გოლოვანოვის დივიზიის ბაზაზე და მას კვლავ ძველი მეთაურები ხელმძღვანელობდნენ.

ინიციატივიან და სახელოვან მებრძოლ გოლოვანოვს სურდა, არმიას თავიდანვე ეთქვა სიტყვა ბრძოლის ველზე, რისთვისაც ჩამოაყალიბა ბრძოლის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა ფრონტზე მოწინააღმდეგის გამაგრებული ხაზის ღამით დაბომბვას, როგორც 250-კილოგრამიანი, აგრეთვე, 500-კილოგრამიან ფუგასური ბომბებით. ამ დაბომბვებს არა მხოლოდ დამანგრეველი ძალა ექნებოდა მოწინაღმდეგის გამაგრებულ ხაზზე, არამედ უზარმაზარ ფსიქოლოგიურ ეფექტს მოახდენდა ჯარისკაცებზე.

არმიის სარდალ გოლოვანოვის მოსაზრებებმა თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს მოწონება დაიმსახურა. **გიორგი ჟუკოვმა** წინადადებით მიმართა სტალინს, რომ პირველი საომარი მოქმედების ჯერ გამოუცდელი მანევრი განეხორციელებინათ მეხუთე არმიის N მონაკვეთზე, რომელსაც იმჟამად გენერალი **ლეონიდ გოვოროვი** სარდლობდა.

შუაღამე იქნებოდა, როდესაც გოლოვანოვმა პირველი განკარგულება გასცადა. სტალინის შევარდნები ცაში აიჭრნენ და კურსი N ობიექტისკენ აიღეს. გამაყრუებელმა გუგუნმა ჯერ თავზარი დასცა სანგრებში ჩაძინებულ ჯარისკაცებს, ხოლო უძლიერესი აფეთქების შემდეგ ზოგიერთი ცნობისმოყვარე გერმანელი ჯარისკაცი სანგრიდან თავს ამოყოფდა და აკვირდებოდა, რა ხდებოდა გარშემო.

გამთენიისას გოვოროვის არმიის ნაწილებმა შეუფერხებლად გაიარეს გერმანელების დანგრეული დაცვის ზღუდეები.

შორსმოქმედი საავიაციო არმიის პირველმა ნათლობამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ბევრმა მფრინავმა მთავრობის უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

1942 წლის მარტში საავიაციო არმიის მფრინავებმა 1560 გაფრენა განახორციელეს, ანგრევდნენ მტრის ხელში ჩაგდებულ სარკინიგზო კვანძებსა და ხიდებს, აფეთქდებდნენ იარაღისა და საწვავის საწყობებს.

**გოლოვანოვს სტალინთან მიჰქონდა ფრონტის ევროპული ნაწილის ოპერატიული რუკა, სადაც ერთად სვამდნენ ნიშნებს, რომელი ობიექტი როდის და რა მარშრუტით უნდა დაბომბილიყო.**

დემიანსკის რაიონში გერმანელების ალყაში მოექცნენ მოთხილამურე მზვერავები, რომელთა სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა. საგანგებო შემთხვევა სტალინის ყურამდე მივიდა. მან დაავალა გოლოვანოვს, ეხსნათ მზვერავები. მათ გადასარჩენად, სარდლის დავალებით, გამოიყო სამი ეკიპაჟი, ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში გოლოვანოვს და მისგან პასუხს ელოდა, გოლოვანოვი კი დუმდა. ფიქრობდა, რომ სტალინს სურს, ათასობით თვითმფრინავი და ეკიპაჟი გააერთიანოს ერთ არმიად, რომელიც იქნებოდა სტრატეგიული მნიშვნელობის და, რომელიც მთავარსარდლობის დავალების შესასრულებლად უმაღლეს საბრძოლო ხელოვნებას გამოავლენდა.**

◀ რომლებმაც არნახული გმირობის ფასად 1942 წლის 15-დან 30 მარტამდე შეძლეს, სამშვიდობოზე გამოეყვანათ მოთხილამურეთა დესანტი.

„გზადაგზა ხდებოდა პოლკებისა და დივიზიების შემადგენლობის განახლება სხვადასხვა მიზეზით, ამიტომ ხშირად მიწევდა ამა თუ იმ საკითხის სტალინთან შეთანხმება. ერთხელ, როდესაც პოლკის მეთაურის კანდიდატურა წარვადგინე, სტალინმა გაკვირვება ვერ დამალა, რადგან პოლკის მეთაური ქალი უნდა ყოფილიყო — **გრიზოდუბოვა.** მოვახსენე, რომ სატრანსპორტო პოლკში გაამართლებს, რადგან მას სამოქალაქო ავიაციაში მიღებული აქვს საკმარისი გამოცდილება. სტალინი დამთანხმდა და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, გრიზოდუბოვას იქვე მიანიჭა მაიორის წოდება“, — იგონებს გოლოვანოვი.

**ეს ის გრიზოდუბოვაა, რომელმაც შემდგომ პოლიტბიუროს სახელზე საჩივარი დაწერა გოლოვანოვის წინააღმდეგ.**

აპრილის შუა რიცხვები იქნებოდა, როდესაც სტალინმა გოლოვანოვს დაურეკა და ჰკითხა, — რამე შეფერხება ხომ არ გქონია გამოყოფილი თვითმფრინავების მიღებისას ქარხნებიდან, ხომ არ ირღვევა თვითმფრინავების გამოშვებისა და ფრონტზე მიწოდების ვადებიო. გოლოვანოვმა უპასუხა, რომ მსგავსი შემთხვევა არ ჰქონია.

სტალინმა იკითხა, დგას თუ არა ამჟამად მათთვის გამოყოფილი თუნდაც ერთი თვითმფრინავი გამომშვები ქარხნის აეროდრომზე.

„— ზუსტად ვერ გეტყვით. ნება მიბოძეთ, შევამოწმო და მოკლე ხანში მოგახსენოთ.

— დააზუსტეთ და სასწრაფოდ გვაცნობეთ, — გაისმა ყურმილში“.

გოლოვანოვმა არმიის მთავარი ინჟინერი **მარკოვი** გამოიძახა და დაავალა, სასწრაფოდ დაკავშირებოდა ქარხნებს, იდგა თუ არა არმიისთვის გამოყოფილი თუნდაც ერთი თვითმფრინავი მათ აეროდრომზე. ცოტა ხანში მთავარმა ინჟინერმა არმიის სარდალს მოახსენა, რომ მათი თვითმფრინავი არც ერთი ქარხნის აეროდრომზე არ დგას.

გოლოვანოვი სასწრაფოდ სტალინს დაუკავშირდა:

— შეგიძლიათ ჩემთან მოხვიდეთ? — ჰკითხა სტალინმა სარდალს.

— შემიძლია, ამხანაგო სტალინ.

— მაშინ წამოდით, — იყო ბრძანება.

როდესაც გოლოვანოვი სტალინის კაბინეტში შევიდა, იქ სამხედრო ავიაციის სარდალი **პავლე ჟიგარევი** დახვდა, რომელიც ძალზე გაღიზიანებული რაღაცას უმტკიცებდა სტალინს. მალე გაირკვა, რომ საქმე ეხებოდა ქარხნების აეროდრომებზე დიდი რაოდენობის თვითმფრინავების დგომას, რომლებიც, იმის გამო, რომ ეკიპაჟები არ ჰყავდა, სამხედრო ავიაციის ხელმძღვანელობას ვერ გაჰყავდა. ბოლო ფრაზა ჟიგარევმა დაამთავრა ასე:

— **შახურინი** (სამხედრო მრეწველობის მინისტრი — გრ. ონიანი) გატყუებთ, ამხანაგო სტალინ.

— რა გაეწყობა, — ჩაილაპარაკა სტალინმა, — უნდა გამოვიძახოთ შახურინი. ღილაკს თითი დააჭირა და ოთახში **პოსკრებიშევი** შემოვიდა.

სთხოვეთ შახურინს, მოვიდეს ჩემთან, — მშვიდად მისცა დავალება თანაშემწეს სტალინმა.

ვიდრე შახურინი გამოჩნდებოდა, სტალინი გოლოვანოვთან მივიდა და ჰკითხა:

— დანამდვილებით იცით, რომ ქარხნების აეროდრომებზე შორსმოქმედი ავიაციის არც ერთი თვითმფრინავი არ დგას?

— როგორც მთავარმა ინჟინერმა მაცნობა, არც ერთი. შესაძლებელია, — განაგრძო გოლოვანოვმა, — თვითმფრინავი დღეს ან გუშინ დააყენეს აეროდრომზე, ერთი ან ორი. ჩვენ ვაკონტროლებთ თვითმფრინავების როგორც გამოშვებას, ისე მათ მიღებას არმიაში.

— აქ ლაპარაკია არა ერთ ან ორ თვითმფრინავზე, არამედ ასეულობით საჰაერო მანქანაზე.

ამ მომენტში კაბინეტში შახურინი შემოვიდა.

— ამხანაგო შახურინ, აქ გვარწმუნებენ, რომ ქარხნების აეროდრომებზე დგას შვიდასამდე თვითმფრინავი და დგას იმიტომ, რომ თვითმფრინავებს აქვთ ქარხნული წუნი და არა იმიტომ, რომ სამხედრო ავიაციის სარდალს არ ჰყავს მათთვის ეკიპაჟები.

— ეს სწორი არ არის, ამხანაგო სტალინ.

— აი, ხედავთ? **შახურინი ამბობს, რომ არის თვითმფრინავები და არ არის ეკიპაჟები. ხოლო ჟიგარევი ამტკიცებს, რომ არის ეკიპაჟები, მაგრამ არ არის თვითმფრინავები. გესმით თუ არა თქვენ, რომ 700 თვითმფრინავი 7 თვითმფრინავი არ არის? ეს მთელი არმიაა, რომელიც ასე საჭიროა ფრონტზე. რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, რომელი ხართ მართალი, რომელს უნდა გენდოთ?**

— სრული პასუხისმგებლობით გიცხადებთ, რომ აეროდრომებზე მდგარი 700 თვითმფრინავი უვარგისია საბრძოლო მოქმედებებისათვის, — მტკიცედ განუცხადა სტალინს ჟიგარევმა.

— თქვენ რას იტყვით, ამხანაგო შახურინ?

— ეს საკითხი ძალიან იოლი გასარკვევია, ამხანაგო სტალინ. თქვენ აქ პირდაპირი კავშირი გაქვთ ქარხნებთან. დაავალეთ, ყველა ქარხნის დირექტორმა მოგახსენოთ, რამდენი საბრძოლო თვითმფრინავი ჰყავთ მზად ყოველგვარი დეფექტის გარეშე. ჩვენ აქ მონაცემებს შევკრებთ და მივიღებთ საბოლოო ციფრს.

— სწორია, ამას ახლავე გავაკეთებთ, — თქვა სტალინმა.

— საჭიროა, თვითმფრინავის ვარგისიანობაზე ქარხნიდან წამოსულ დეპეშას ხელს აწერდეს სამხედრო წარმომადგენელი, — განაცხადა ჟიგარევმა.

— მართალია, — თქვა სტალინმა.

სტალინმა პოსკრებიშევი გამოიძახა და დაავალა, სასწრაფოდ დაკავშირებოდა ქარხნებს.

ჟიგარევმა სთხოვა სტალინს, გამოეძახებინათ გენერალი **სელეზნიოვი,** რომელიც თვითმფრინავების შეკვეთებს ხელმძღვანელობდა. მალე ოთახში სელეზნიოვიც შემოვიდა და მიუჯდა მაგიდას, რომელზეც ელაგა ქარხნებიდან მოსული დეპეშები აეროდრომებზე თვითმფრინავების დგომის შესახებ. დეპეშებს ხელს აწერდნენ ქარხნის დირექტორები და სამხედრო წარმომადგენლები.

სანამ შედეგებზე მოგახსენებთ, უნდა გითხრათ, რომ სტალინს არა მხოლოდ უკიდეგანო ქვეყნის, არამედ მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეეძლო უსწრაფესად მიეღო საჭირო ინფორმაცია, რამაც ბევრი რამ გადაწყვიტა, როგორც ომის, ისე მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდში.

სელეზნიოვი სწრაფად ანგარიშობდა მიღებულ მონაცემებს და ჯამი გამოჰყავდა.

— რამდენი თვითმფრინავი დგას აეროდრომებზე, — ჰკითხა სტალინმა პოსკრებიშევს.

— 701 თვითმფრინავი, ამხანაგო სტალინ.

— თქვენი ანგარიშით, რამდენი გამოდის, ამხანაგო სელეზნიოვ?

— 702 თვითმფრინავი, ამხანაგო სტალინ.

— რატომ არ გადაჰყავთ დანიშნულების ადგილზე? — ჰკითხა სტალინმა სელეზნიოვს.

— იმის გამო, რომ არ გვყავს ეკიპაჟები, — უპასუხა სელეზნიოვმა.

მისი პასუხი ეჭვს არ იწვევდა — თვითმფრინავების დგომის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ უეკიპაჟობა იყო.

„არავის შეუძლია აღწეროს სცენა, რომელიც იმჟამად სტალინის კაბინეტში დაიდგა, — იგონებს გოლოვანოვი, — ვხედავდი გაფითრებულ სახეებს, რომლებიც მიმართული იყო ერთი წერტილისკენ, გამახსენდა გოგოლის მიერ აღწერილი გაქვავებული სახეები რეპლიკისაგან „ჩვენთან მოდის რევიზორი“.

**ჭექა-ქუხილის მოლოდინში ადამიანები თითქოს დაპატარავდნენ, არავინ მოძრაობდა და თითქოს არც არავინ სუნთქავდა. მხოლოდ სელეზნიოვი, რომელმაც არაფერი იცოდა, რა ხდებოდა, გაკვირვებული შეჰყურებდა „გაქვავებულ“ ცოცხალ ფიგურებს.**

გამართლებული შახურინიც გაუნძრევლად იდგა და ელოდებოდა, რით დასრულდებოდა ეს ამბავი. ამას ხომ სამშობლოს ღალატის სუნი ასდიოდა, რომელსაც არ სჭირდებოდა გამოძიება და ბრალდების წაყენება, გამოძიება ხომ რამდენიმე წუთის წინათ აქ, ამ ადგილზე, სტალინის სამუშაო კაბინეტში ჩატარდა ბრალდებულის მონაწილეობით და მის თვალწინ.

— არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი, — წერს გოლოვანოვი. შევხედე სტალინს, რომელსაც სახე გათეთრებოდა და მძიმედ სუნთქავდა. ის გაფართოებული მრისხანე თვალებით შეჰყურებდა დამნაშავე ჟიგარევს.

სტალინმა შახურინსა და სელეზნიოვს მადლობა გადაუხადა და დაემშვიდობა. გოლოვანოვს უნდოდა, მათ გაჰყოლოდა, მაგრამ სტალინმა ხელის მოძრაობით ანიშნა, დარჩენილიყო.

„სტალინი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა გენერალ ჟიგარევს. წინ გაუჩერდა და ცოტა ხნის შემდეგ შეკრული მუშტი მაღლა ასწია, — იგონებს გოლოვანოვი. გაოგნებული შევცქეროდი. „ნუთუ დაარტყამს, ნუთუ დაარტყამს“, — მიტრიალებდა აზრი და თვალთ მიბნელდებოდა.

— უნამუსოვ! — ამოხეთქა გულიდან სიტყვამ და მუშტი დაუშვა. — გაეთრიეთ! გენერალი სასწრაფოდ მოწყდა ადგილს და კაბინეტიდან გაიქცა. ოთახში ორნი დავრჩით.

სტალინი მძიმედ დააბიჯებდა მის მიერ ბევრჯერ გავლილ წითელ ხალიჩაზე და ნერვიულად გაბოლებული ჩიბუხის ბოლში ხედავდა ყოველივეს, რაც მის გარშემო ტრიალებდა. დუმილი დიდხანს გაგრძელდა.

— მოდი და პური ჭამე ან იმუშავე ასეთ ადამიანებთან, ისიც არ იცის, რა ხდება თავის ეპარქიაში, — დუმილი დაარღვია სტალინმა დუმილი.

მე ხმა არ ამომიღია, არც მიცდია გენერლის დაცვა, რადგან უშედეგო იქნებოდა.

სტალინი მომიახლოვდა. გამიღიმა.

— ხომ არ გვეცადა ერთად ამ საქმის გამოსწორება?

მივხვდი, რომ ჟიგარევის ადგილზე უნდა დავენიშნე. რის გამოც ახსნა დავიწყე, რომ ამ საქმეს თავს ვერ გავართმევდი და შევრცხვებოდი.

სტალინი კვლავ მიმოდიოდა კაბინეტში. ღრმა ფიქრებში წასული დროდადრო შეჩერდებოდა და კვლავ ნელი ნაბიჯით განაგრძობდა სვლას. ბოლოს ჩემკენ გამოემართა და წინ ძალიან ახლოს გამიჩერდა.

— მითხარით გულწრფელად, თქვენ ახალ თანამდებობაზე გადასვლა არ გინდათ, თუ მართლა ვერ შეძლებთ?

— რაც გითხარით, ამხანაგო სტალინ, სრული სიმართლეა.

— კარგი, — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ კი თქვა: — თქვენ, ალბათ, მართალი ხართ. კაცმა ის საქმე უნდა აკეთოს, რომელიც უყვარს. ყველაფერი ჩვენ შორის დარჩეს! — გამაფრთხილა და დამემშვიდობა.

**გაგრძელება იქნება**


შორს მოქმედი ავიასიიც თვითმფრინავი TB-7

**სახელოვან მებრძოლ გოლოვანოვს სურდა, არმიას თავიდანვე ეთქვა სიტყვა ბრძოლის ველზე, რისთვისაც ჩამოაყალიბა ბრძოლის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა ფრონტზე მოწინააღმდეგის გამაგრებული ხაზის ღამით დაბომბვას, როგორც 250-კილოგრამიანი, აგრეთვე, 500-კილოგრამიანი ფუგასური ბომბებით. ამ დაბომბვებს არა მხოლოდ დამანგრეველი ძალა ექნებოდა მოწინააღმდეგის გამაგრებულ ხაზზე, არამედ უზარმაზარ ფსიქოლოგიურ ეფექტს მოახდენდა ჯარისკაცებზე**


გოლოვანოვი




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირველი რეზონანსული ტერაქტი იყო 2015 წლის 7 იანვარს — ძმები საიდ და შერიფ კუაშების თავდასხმა ფრანგულ სატირულ გამოცემა „შარლი ებდოს“ რედაქციაზე. ტერორისტები გამოცემის რედაქციის შენობაში შეიჭრნენ და იქ მყოფთ სროლა აუტეხეს. დაიღუპა 12 ადამიანი — 10 ჟურნალისტი და 2 პოლიციელი.**

# კიდევ ერთი სისხლიანი კალო საფრანგეთში

## ყველაზე სისხლიანი ტერაქტები ევროკავშირში

**ნიცის მოსახლეობაზე თავდასხმა მორიგი სისხლიანი ტერორისტული აქტია ევროპაში. შეტევას, რომელიც 14 ივლისს, ბასტილიის აღების საზეიმო დღეს განხორციელდა, წინ უსწრებდა საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადება, რომ არ სურს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება. როგორც ჩანს, ეს ტერორისტული აქტი, რომელზეც პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაიკისრა, ევროკავშირის ქვეყნებში მცხოვრებთა დასაშინებლად მოაწყვეს.**



სატვირთო ავტომობილი, რომელსაც, ფრანგული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საფრანგეთის 31 წლის მოქალაქე, წარმოშობით ტუნისელი **მოჰამედ ლიაუეჟ ბუჰლელი** მართავდა, შეიჭრა ნიცის სანაპიროზე მყოფ ხალხში, რომელიც ბასტილიის აღების (საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული) აღსანიშნავად ფოიერვერკის საყურებლად ემზადებოდა.

თვითმხილველთა თქმით, საათში 60-70 კმ სიჩქარით მოძრავი სატვირთო ავტომობილი ზიგზაგებს აკეთებდა სანაპირო ზოლის 2-კილომეტრიან მონაკვეთზე და ჭყლეტდა ადამიანებს. ამასთანავე, მოძრაობისას მძღოლმა ხალხს ცეცხლი გაუხსნა.

**საზარელი ინციდენტის შედეგად დაიღუპა 84 ადამიანი, მათ შორის — ათამდე ბავშვი; დაიჭრა 200-ზე მეტი, მათგან 18 მძიმე მდგომარეობაშია.**

**ტერორისტი ფრანგმა სამართალდამცველებმა მოკლეს.**

ნიცაში დატრიალებული ტრაგედიის გარდა, ბოლო ხანს ევროპაში კიდევ რამდენიმე საშინელი ტერორისტული აქტი მოაწყვეს:

### „შარლი ებდო“

პირველი რეზონანსული ტერაქტი იყო **2015 წლის 7 იანვარს** — ძმები **საიდ** და **შერიფ კუაშების** თავდასხმა ფრანგულ სატირული გამოცემა „შარლი ებდოს“ რედაქციაზე.

ტერორისტები გამოცემის რედაქციის შენობაში შეიჭრნენ და იქ მყოფთ სროლა აუტეხეს. დაიღუპა 12 ადამიანი — 10 ჟურნალისტი და 2 პოლიციელი. დამნაშავეები მიიმალნენ. თავდასხმის მიზეზი, რომელმაც სათავე დაუდო ტერორისტების სერიას, იყო ჟურნალის მიერ წინასწარმეტყველ მუჰამედზე კარიკატურის გამოქვეყნება.

მეორე დღეს, 8 იანვარს, საფრანგეთის დედაქალაქის სამხრეთში მდებარე გარეუბანში უცნობმა პირმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან დაცხრილა პოლიციის თანამშრომელი ქალი და ავტოსაგზაო სამსახურის წარმომადგენელი. ერთი დღის შემდეგ კი კვლავ ამოქმედდნენ ძმები კუაშები. მათ მძევალი აიყვანეს და ბარიკადებით გადაღობეს ქალაქ დამარტენ-ან გოელის ტიპოგრაფიის შენობა. ტერორისტები პოლიციელებმა გააუვნებლეს, მაგრამ მძევალი ვერ გადაარჩინეს.



ტერაქტი ნიცაში

### პარიზი, 13 ნოემბრის ტერაქტები

„შარლი ებდოს“ რედაქციაში თავდასხმიდან 11 თვის შემდეგ საფრანგეთი ტერორისტთა ახალმა თავდასხმამ შეძრა, რომელსაც ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მეტი მსხვერპლი მოჰყვა.

**„ბოევიკებმა“, რომელთა შორისაც სამი თვითმკვლელი იყო, პარიზის საკონცერტო დარბაზ „ბატაკლანში“ მძევლები აიყვანეს. იმავე დღეს განახორციელეს აფეთქებების სერია საფეხბურთო სტადიონ „სტად დე ფრანსთან“, სადაც მიმდინარეობდა საფრანგეთისა და გერმანიის ეროვნული ნაკრებების მატჩი, ამასთანავე, რამდენიმე რესტორანში დახოცეს ადამიანები.**

**სულ ტერორისტთა ხელით დაიღუპა 130 ადამიანი, დაიჭრა — 350.**

მომხდარის გამო საფრანგეთის პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმა** მიიღო გადაწყვეტილება, დროებით დაეხურა ქვეყნის საზღვრები და შემოეღო საგანგებო მდგომარეობა. სამართალდამცველმა ორგანოებმა საფრანგეთის ტერიტორიაზე განახორციელეს სპეციალური რეიდები თავდასხმის მონაწილეებისა და პოტენციური ტერორისტების გამოსავლენად.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება პარიზული ტერაქტების ორგანიზებაში მთავარი ეჭვმიტანილის — **სალაჰ აბდესლამის** წინააღმდეგ, რომელიც ამა წლის 18 მარტს ბრიუსელში დააკავეს ფრანგმა და ბელგიელმა სამართალდამცველებმა.

### ტერაქტები ბრიუსელში

ევროკავშირზე მორიგი რეზონანსული თავდასხმა ბელგიაში განახორციელეს თვითმკვლელებმა **იბრაჰიმ ელ-ბაქრაუიმ** და **ნაჯიმ ლააშრაუიმ,** რომლებმაც თავი აიფეთქეს ბრიუსელის საერთაშორისო აეროპორტში, მესამე აფეთქების ხმა გაისმა მეტროპოლიტენის სადგურ „მალბეკში“. თავდასხმების შედეგად დაიღუპა 32 ადამიანი, დაიჭრა — 300.

მომხდარზე პასუხისმგებლობა დაიკისრა ტერორისტულმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“.

ბელგიელმა სამართალდამცველებმა ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია ჩაატარეს და დააკავეს თვითმკვლელების თანამზრახველი **მუჰამედ აბრინი**, რომელმაც რაღაც მიზეზის გამო თავი არ აიფეთქა. მან აღიარა, რომ სწორედ ის „შლაპიანი ადამიანია“, რომელიც ბრიუსელის აეროპორტში კამერებმა ფირზე აღბეჭდეს. ამასთანავე, ცნობილი შეიქნა, რომ აბრინიზე ძებნა იყო გამოცხადებული. ის პარიზის ტერაქტებამდე ორი დღით ადრე დაინახეს საფრანგეთის დედაქალაქისკენ მიმავალ შოსეზე. მასთან ერთად ავტომობილში იჯდა პარიზის ტერაქტებში მთავარი ეჭვმიტანილი **სალაჰ აბდესლამი.**

russian.rt.com





ტერაქტი ბრიუსელის აეროპორტში



13 ნოემბრის ტერაქტი

**«ბოევიკებმა», რომელთა შორისაც სამი თვითმკვლელი იყო, პარიზის საკონცერტო დარბაზ „ბატაკლანში“ მძევლები აიყვანეს. იმავე დღეს განახორციელეს აფეთქებების სერია საფეხბურთო სტადიონ «სტად დე ფრანსთან», სადაც მიმდინარეობდა საფრანგეთისა და გერმანიის ეროვნული ნაკრებების მატჩი, ამასთანავე, რამდენიმე რესტორანში დახოცეს ადამიანები. სულ ტერორისტთა ხელით დაიღუპა 130 ადამიანი, დაიჭრა — 350**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმწიფო გადატრიალების უშედეგო მცდელობის შემდეგ თურქეთში მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო. ბოლო მონაცემების მიხედვით, დაკავებულია 1500 ადამიანი. პოსტი დაკარგა 5 გენერალმა და 29 პოლკოვნიკმა. დაიღუპა 194 კაცი, მათ შორის — 104 ამბოხების ორგანიზატორი, 41 პოლიციელი, 47 მოქალაქე და 2 ჯარისკაცი. დაიჭრა — 1154 კაცი.**

**სახელმწიფო გადატრიალების უშედეგო მცდელობის შემდეგ თურქეთში მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო. ბოლო მონაცემებით, დაკავებულია 6 ათასამდე ადამიანი. პოსტი დაკარგა 5 გენერალმა და 29 პოლკოვნიკმა; დაიღუპა 295 კაცი, მათ შორის, 104 ამბოხების ორგანიზატორი, 41 პოლიციელი, 120 რიგითი მოქალაქე და 30 ჯარისკაცი, დაიჭრა — 1440 კაცი.**

## ერდოღანი:
# სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორები მითითებებს აშშ-დან იღებდნენ



16 ივლისის ღამეს თურქეთში სამხედროები ხელისუფლების დამხობას შეეცადნენ. ამბოხებულებმა ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ვერტმფრენი, სტამბოლში ტანკები შეიყვანეს, დაიკავეს ტელეარხების — TRT-სა და CNN Turk-ის სტუდიები და ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ განაცხადეს.

თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** თავის მომხრეებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა, საბოლოოდ კი ერდოღანის მიმართ ლოიალურად განწყობილმა სამხედროებმა აჯანყება ჩაახშეს. გადატრიალების მომხრეები დანებდნენ და სტამბოლში ბოსფორის სრუტეზე გადებულ ხიდებზე განლაგებული ჯავშანტექნიკა ხელებაწეულმა დატოვეს. ადგილობრივი მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჯარისკაცები ესროდნენ ადამიანებს, რომლებიც გადატრიალების მცდელობის გასაპროტესტებლად ბოსფორის სრუტის ხიდებით ცდილობდნენ სტამბოლში შესვლას.

**თურქეთის სამხედრო პოლიციის შტაბში შეტაკებისას მოკლეს 16 სამხედრო, რომლებიც გადატრიალებაში მონაწილეობდნენ, დააპატიმრეს — 250.**

გადატრიალების ჩახშობის შემდეგ თურქეთში მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო. ბოლო მონაცემებით, დაპატიმრებულია 6000-მდე ადამიანი, პოსტი დაატოვებინეს 5 გენერალსა და 29 პოლკოვნიკს.

ანალიტიკოსების აზრით, სამხედროებთან დაპირისპირების პირველი რაუნდი ერდოღანმა მოიგო.

სააგენტო Anadolu-მ დაასახელა გადატრიალების მთავარი ორგანიზატორი — ეს არის პოლკოვნიკი **მუჰარემ კოსე**, რომელიც თურქეთის სამხედრო უწყების იურიდიულ ორგანოს ხელმძღვანელობდა და რომელიც ცოტა ხნის წინათ გადააყენეს თანამდებობიდან.

თავის პირველ გამოსვლაში **ერდოღანმა** განაცხადა, რომ გადატრიალებას ცდილობდა „უმცირესობა არმიაში", მაგრამ თურქეთი ის ქვეყანა არ არის, რომელიც ქედს მოიხრის იაფფასიანი ამბოხების წინაშე და არც ის სახელმწიფოა, რომლის მართვაც შეიძლება პენსილვანიიდან. ამ ფრაზით ერდოღანმა მიანიშნა თურქეთის საზოგადო მოღვაწეზე, ყოფილ იმამზე **ფეთჰულაჰ გიულენზე**, რომელიც 1999 წლიდან აშშ-ში ცხოვრობს და დიდი გავლენა აქვს ისლამურ სამყაროზე. მან მოძრაობა „ჰიზმეთის" მეშვეობით, მსოფლიოს 160 ქვეყანაში 1000-ზე მეტი ისლამისტური სკოლა გახსნა, მათ შორის საქართველოში — 14 სასწავლებელი.

ფეთჰულაჰ გიულენმა სასწავლო ცენტრები, თავდაპირველად, მხოლოდ თურქეთში დააარსა. პარალელურად ბაღებსა და სკოლებს სხვა ქვეყნებშიც ხსნიდა. რელიგიურ იდეოლოგიას ამოფარებული გიულენი ცდილობდა ტოტალური კონტროლის დამყარებას თურქეთის ხელისუფლებაზე. მან თავისი მომხრეების მეშვეობით შეაღწია პროკურატურაში, სასამართლოსა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურებში.

2002-2003 წლებში თურქეთის ხელისუფლებამ გიულენი ტერორიზმში დაადანაშაულა და მის დაპატიმრებას შეეცადა, მაგრამ გიულენმა მოახერხა, აშშ-ში გაქცეულიყო. ამერიკაში გიულენმა რამდენიმე სასწავლებელი დააარსა, რომლებშიც დასაქმებულნი არიან მისი იდეოლოგიის მქონე პედაგოგები.

**ამ საკითხზე საინფორმაციო პორტალმა „კვირამ" 2014 წლის 27 სექტემბერს გამოაქვეყნა მეტად საყურადღებო მასალა სათაურით „სკანდალი: ვინ არის ტერორიზმსა და რელიგიურ ექსტრემიზმში ბრალდებული თურქი, რომელიც საქართველოში არსებული 14 სასწავლებლის უკან დგას". გთავაზობთ ამონარიდს ამ მასალიდან:**

**ვინ არის ფეთჰულაჰ გიულენი, რომლის დაფინანსებით სხვადასხვა ქვეყანაში გახსნილი უნივერსიტეტები რელიგიური ექსტრემიზმის გამოაშკარავების შემდეგ დახურეს, საქართველოში კი მისი სახსრებით დაარსებული 14 სასწავლებელი შეუფერხებლად განაგრძობს ფუნქციობას?**

„ვინ არის თურქი ფეთჰულაჰ გიულენი, რომლის დაფინანსებით სხვადასხვა ქვეყანაში გახსნილი უნივერსიტეტები რელიგიური ექსტრემიზმის გამოაშკარავების შემდეგ დახურეს, საქართველოში კი მისი სახსრებით დაარსებული 14 სასწავლებელი შეუფერხებლად განაგრძობს ფუნქციობას? რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, აშშ, ყირგიზეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი — ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, რომლებშიც ფეთჰულაჰ გიულენის დაფინანსებით დაარსებული სასწავლებლები უკვე დახურეს...



ფეთჰულაჰ გიულენი

ამერიკის შეერთებულ შტატებში გიულენის მიერ სასწავლებლების გახსნას ხელისუფლება დადებითად შეხვდა. მას განათლების სფეროს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი თანხები ერიცხებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც სასწავლებლებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რას ემსახურებოდა გიულენის ჩანაფიქრი და რა დიდი საფრთხე შეიძლება ეწვნია ამერიკას განათლებული რელიგიური ექსტრემისტებისგან, გიულენის სკოლებში გამოძიების ფედერალური ბიურო შევიდა; აშშ-მა, ამ სასწავლებლების დახურვის პარალელურად, რამდენიმე პედაგოგი სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც მისცა.

გიულენის მიერ გახსნილი საგანმანათლებლო დაწესებულებები დახურა თურქმენეთმა, უზბეკეთმა, ყაზახეთმა, ირანმა, რუსეთმა, აზერბაიჯანმა...

საქართველოში გიულენი რამდენიმე სასწავლო დაწესებულებას ფლობს, ესენია: დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი; თბილისის სკოლა-ლიცეუმი „სხივი"; ბათუმის რ. შაჰინის სახ. დაწყებითი სკოლა; ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის დაწყებითი სკოლა; რუსთავის რუსთაველის სახელობის ხელოვნების დაწყებითი სკოლა; ბათუმის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი; დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი; ნიკოლოზ წერეთლის სახ. საერთაშორისო სკოლა; ბათუმის რ. შაჰინის სახ. დაწყებითი ლიცეუმი; ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი; რუსთავის რუსთაველის სახელობის ლიცეუმი; მარნეულის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი. მართალია, გიულენის მიერ საქართველოში დაარსებულ სასწავლებლებში ისლამს არ ასწავლიან, მაგრამ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ დაწყებითი კლასებიდან მის მიერ ნდობით აღჭურვილმა პირებმა ნიჭიერ ბავშვებს შთააგონონ იდეები, რომლებსაც მისი მიმდევრები ატარებენ. ასეთ ბავშვებს გიულენი სწავლების ბოლო საფეხურამდე აფინანსებს და შემდგომ სხვადასხვა ქვეყანაში მის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტებში პედაგოგებად გზავნის.



გიული ალასანია

გიულენის მიერ დაფინანსებული სასწავლებლები საქართველოში განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მომრავლდა, რადგან მას სააკაშვილის ხელისუფლებამ „მწვანე შუქი" აუნთო, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ იმ პერიოდში იხურებოდა გიულენის მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

გიულენს ახლო ურთიერთობა აქვს ექსპრეზიდენტის დედასთან, **გიული ალასანიასთან**, რომელიც გიულენის ინიციატივით საქართველოში გამართული კონფერენციების ორგანიზატორი და მასთან საკმაოდ დაახლოებული პირია.

სხვა ქვეყნების მსგავსად, გიულენი საქართველოშიც აკონტროლებს თურქული ბიზნესის უმრავლესობას. ეს არის სამშენებლო, ტექსტილის, სამედიცინო ბიზნესები, თუმცა პრიორიტეტული მაინც განათლების სფეროა. გიულენი ფიქრობს, რომ სწორედ ამ სფეროს დახმარებით შეძლებს ამა თუ იმ სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას. სწორედ ამიტომაც გიულენი და მისი წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობენ, მათი იდეოლოგიის მიმდევრები სახელმწიფო უწყებებში დაასაქმონ. მათ საქართველოში არსებულ სასწავლებლებში ჰყავთ დამხმარეები, რომლებმაც იციან, რა და როგორ უნდა გააკეთონ".

აღსანიშნავია, რომ აშშ-დან გიულენის ექსტრადირებას, დიდი ხანია, ითხოვს ოფიციალური ანკარა, მაგრამ ამაოდ. გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო წევრი გიულენის ორგანიზაციისა, რომელმაც შარშან, ნოემბერში, რუსული „სუ-24" ჩამოაგდო", — განაცხადა ანკარის მერმა **იბრაჰიმ მელიქ ჰექჩექმა**, — „სწორედ „პარალელურმა სახელმწიფომ" გააფუჭა ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან. ეს იყო ინციდენტი (თვითმფრინავის ჩამოგდება — რედ.), რომელშიც მონაწილეობდა ამ სტრუქტურის ერთ-ერთი პილოტი და ის იყო პუტჩში მონაწილეთაგან ერთ-ერთი. აქამდე ამაზე არ ვლაპარაკობდით, მაგრამ მე, მელიქ ჰექჩექი, ვამბობ, რომ ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან ამ არამზადებმა გააფუჭეს".

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა კი სტამბოლში თავის მომხრეების წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ ამბოხებულები, რომლებიც შეეცადნენ სამხედრო გზით ხელისუფლების დამხობას, ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებდნენ მითითებებს. ერდოღანის განცხადებით, სამხედროების მცირერიცხოვან ჯგუფს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობა ძვირად დაუჯდება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის საზღვრებთან ნატოს სამხედრო ძალების გაძლიერება შეიძლება ხანგრძლივი პროცესის დასაწყისი აღმოჩნდეს. ამასთანავე, კიევი ამზადებს კიდევ ერთ თავდასხმას დონბასის ამბოხებულ ტერიტორიებზე. ზემოჩამოთვლილი თითოეული სცენარით მოვლენების განვითარება კი რუსეთთან ომს გამოიწვევს.**

# შეძლებს კი ევროპა ვაშინგტონის სამხედრო პროვოკაციების შეჩერებას?

**გამოცემა The Nation-ი რუსეთთან ურთიერთობის საკითხზე ევროპელი მშვიდობის „მტრედებისა“ და ამერიკული „ქორების“ ბრძოლაზე წერს.**

ვარშავაში რამდენიმე დღის წინათ გამართული ნატოს სამიტი ცივი ომისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი აღმოჩნდა. ცოტა დააკლდა რუსეთისთვის ომის გამოცხადებას. სამიტზე მიიღეს კომუნიკე უკრაინაში არსებული ვითარების შესახებ, რომელშიც რუსეთის პრეზიდენტი სულ ტყუილად დაადანაშაულეს უკრაინაში სამოქალაქო ომის გაგრძელების ხელშეწყობაში. სწორედ ეს სამოქალაქო ომია აშშ/ნატოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის ეპიცენტრში, რომელიც თანდათან ფართოვდება. **მოსკოველი ანალიტიკოსები მართალნი არიან, როდესაც გამოხატავენ შეშფოთებას, რომ რუსეთის საზღვრებთან ნატოს სამხედრო ძალების გაძლიერება შეიძლება ხანგრძლივი პროცესის დასაწყისი აღმოჩნდეს. ამასთანავე, კიევი ამზადებს კიდევ ერთ თავდასხმას დონბასის ამბოხებულ ტერიტორიებზე. ზემოჩამოთვლილი თითოეული სცენარით მოვლენების განვითარება კი ომს გამოიწვევს რუსეთთან.**

ვარშავაში ალიანსის მიერ მიღებულმა მკვეთრად ანტირუსულმა რეზოლუციამ წარმოაჩინა წინა 40-წლიანი ცივი ომის კიდევ ერთი თავისებურება: **სულ უფრო ინტენსიური საჯარო ბრძოლა მოსკოვთან ურთიერთობის განმუხტვის მომხრე „მშვიდობის მტრედებსა“ და მოწინააღმდეგე „მილიტარისტ-ქორებს“ შორის.**

ნიშანდობლივია: **სამიტის მიმდინარეობისას ნატოს წამყვანი ქვეყნების — გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის ლიდერებმა დაუფარავად განაცხადეს, რომ რუსეთს არ განიხილავენ „მტრად“ ან საფრთხედ და ეჭვი შეიტანეს აღმოსავლეთის მიმართულებით ალიანსის სამხედრო ძალების გაძლიერებასა და რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების გაგრძელების მიზანშეწონილობაში.**

ევროპისთვის ეს ბრძოლა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან ის განვითარების საშუალებას არ აძლევს ახალ ცივ ომს, რომელიც კონტინენტს ემუქრება.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონი აკონტროლებს (ძირითადად, ფინანსებით) ნატოს, მსგავსი ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში არ შეინიშნება. აქამდე საჯაროდ მხოლოდ ორმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა გამოხატა ინტერესი რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის განმუხტვის შესახებ — **დონალდ ტრამპმა** და, შესაძლოა, პრეზიდენტმა **ობამამ.**



როგორც ჩანს, ობამას სურს დაახლოება რუსეთთან, რათა ისტორიაში არ დარჩეს, როგორც ახალი ცივი ომის წამომწყები. ამაზე მიუთითებს ცნობები იმის შესახებ, რომ ობამამ პუტინს შესთავაზა ამერიკა-რუსეთის თანამშრომლობა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში. გასულ კვირას, აგრეთვე, გავრცელდა ინფორმაცია ობამას მზადყოფნაზე, წარუდგინოს პუტინს წინადადებები ატომურ შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების ერთობლივი ნაბიჯების შესახებ. **საუბარია, ბირთვული იარაღის მაღალი საბრძოლო მზადყოფნიდან გამოყვანაზე, აგრეთვე, იმაზე, რომ ვაშინგტონი და მოსკოვი პირველები არ გამოიყენებენ ბირთვულ იარაღს. ეს ზომები მნიშვნელოვნად შეამცირებს ატომური ომის საფრთხეს.**

მაგრამ ევროპელი „მტრედებისგან“ განსხვავებით, ობამა არათანმიმდევრული იყო საქმესა და გამოთქმებში, როგორც სირიის კონფლიქტის, ისე უკრაინაში ნატოს ძალების გაძლიერების მიმართ. მაგალითად, მისი გამოსვლა ვარშავაში საკმაოდ აგრესიული იყო, თუმცა დალასში განვითარებული მოვლენების გამო ჩრდილში დარჩა (საინტერესოა, ამერიკელი ტელემაყურებელი თუ სვამდა კითხვას — რას აკეთებდა აშშ-ის პრეზიდენტი ვარშავაში?). ჯერჯერობით გაურკვეველია, რა არის ობამას გაუბედაობის მიზეზი ომისა და მშვიდობის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემების გადაწყვეტისას — მისი არცთუ მტკიცე ხასიათი თუ ბრძოლა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, რომელიც, როგორც ჩანს, ახლა მძაფრად მიმდინარეობს მის ადმინისტრაციაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკელებს მოუწევთ, ევროპას სთხოვონ დახმარება, რათა თავიდან აიცილონ ვაშინგტონის ახალი ცივი ომის ესკალაცია რუსეთის წინააღმდეგ.

**The Nation**

# «ევროპა მძიმედ არის ავად»

**ევროკავშირი „ბრექსიტის“ შედეგებს იმკის და ამ შედეგებში მთავარია დაძაბულობის მატება თვით ევროკავშირის შიგნით — არსებული განხეთქილების გაღრმავება და ახალი წინააღმდეგობების წარმოქმნა.**

ევროკავშირში ცვლილებების დაწყების პირველი ნიშანი იყო ეკონომიკისა და ფინანსების საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება — ესპანეთისა და პორტუგალიისთვის საჯარიმო სანქციების დაწესება ბიუჯეტის დეფიციტთან ბრძოლაში „არასაკმარისი“ ძალისხმევის გამოჩენის გამო. თუ მადრიდი და ლისაბონი ამ გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებენ, ევროკომისია დაიწყებს ესპანეთისა და პორტუგალიის წინააღმდეგ სანქციების დაწესების პროცედურას. აღსანიშნავია, რომ ჯარიმის ოდენობამ თითოეული ქვეყნისთვის შეიძლება მთლიანი შიგა პროდუქტის 0,2% შეადგინოს.

სანქციების დაწესების პროცედურა ევროკავშირის იმ წევრი-ქვეყნებისთვის, რომლებშიც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანი შიგა პროდუქტის 3%-ს აღემატება, ევროკავშირის წესდებით, არის გათვალისწინებული, მაგრამ აქამდე, 2011-2012 წლების სავალო კრიზისის პერიოდშიც კი, ევროკომისიას საჯარიმო სანქციები არ დაუწესებია. ესპანეთის მიმართ სანქციების დაწესების გადაწყვეტილების მიღების ვადა ევროკავშირმა უკვე სამჯერ გადასწია, პორტუგალიის მიმართ — 2-ჯერ.

სხვათა შორის, **2009-2011 წლებში ესპანეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა მთლიანი შიგა პროდუქტის 11,2% შეადგინა, პორტუგალიისამ — 11%. ამჟამად ორივე სახელმწიფოში ვითარება გაცილებით უკეთესია. ევროკავშირის სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით, 2015 წელს ესპანეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 5,1% იყო, პორტუგალიის — 4,4%.**

ამასთანავე, პორტუგალიის მთავრობა, ფაქტობრივად, „ჯდება“ ამ მონაცემების შემცირების გრაფიკში, რომელიც ევროკავშირთან შეათანხმა. ამის მიუხედავად, ევროკომისიამ და ეკონომიკისა და ფინანსების საბჭომ გადაწყვიტეს, სწორედ ახლა გამოაცხადონ მადრიდისა და ლისაბონის საჩვენებელი დასჯის შესახებ. მიზეზი კონკრეტულ ციფრებში არ არის. **ბრიუსელს ეშინია, რომ „ბრექსიტის“ გავლენის პროცესები შეიძლება წარიმართოს „დომინოს ეფექტის“ პრინციპით და ევროკავშირიდან გასვლის პოტენციურ კანდიდატებს ძალას უჩვენებს.**

ამ გზაზე პირველი ნაბიჯი იყო ესპანეთისა და პორტუგალიის წინააღმდეგ საჯარიმო სანქციების შემოღება; მეორე კი, ალბათ, იქნება ევროკავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მკაცრი უნიფიკაციის გეგმის შემუშავება, რომელიც წევრ-ქვეყნებს წაართმევს სუვერენიტეტის ისეთ ატრიბუტებს, როგორიც არის ცენტრალური ბანკები, საგადასახადო სამსახური და პოლიცია.



ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის ფონზე ესპანეთისა და პორტუგალიის საბიუჯეტო პრობლემები უმნიშვნელოა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ **ევროკომისიამ უკვე შეადგინა სია იმ ქვეყნებისა, რომელთა წინააღმდეგ შეიძლება ამოქმედდეს ანალოგიური სანქციების პროცედურა. ამ სიაში შედის ხორვატია, საბერძნეთი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი.**

„ერთიანი ევროპის“ არსებობას კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის გერმანიისა და იტალიის დაპირისპირება, რომელიც გამოწვეულია „დოიჩე ბანკის“ მდგომარეობით. **პანიკა, რომელმაც მოიცვა იტალიის საბანკო სისტემა „ბრექსიტის“ შემდეგ, არ ცხრება. ადგილობრივმა ექსპერტებმა გამოთვალეს, რომ იტალიური ბანკების „ცუდი“ ვალების რაოდენობამ 360 მლრდ ევროს მიაღწია.** იტალიის პრემიერმინისტრმა **მატეო რენციმ** კი განაცხადა, რომ ყურადღებას არ მიაქცევს ევროკომისიის მიერ დადგენილ ფინანსურ წესებს და მზად არის, სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობა მსხვერპლად შესწიროს იტალიური ბანკების დახმარებას. სხვა სიტყვებით, ის ევროკომისიის მიერ ესპანეთისა და პორტუგალიის მიერ დაწყებული პროცედურის წინააღმდეგ წავა. უფრო მეტიც, იტალიის პრემიერმა მიუთითა თავის ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კრიზისის მთავარ დამნაშავეზე — **გერმანიაზე.**

აქ იტალიის მთავრობის მეთაურმა მოულოდნელი მხარდაჭერა მიიღო გერმანელი ბანკირებისგან. „დოიჩე ბანკის“ მთავარმა ეკონომისტმა **დევიდ ფოლკერტს-ლანდაუმ აღიარა** პრობლემის საერთო ევროპული ხასიათი და ევროკავშირის ხელმძღვანელობას ევროპული ბანკების გადარჩენისკენ მოუწოდა. თვით „დოიჩე ბანკი“ თავისი გადარჩენისთვის აუცილებელ თანხად 150 მლრდ ევროს ასახელებს. ფოლკერტს-ლანდაუს თქმით, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს რაოდენობრივი შემსუბუქების პროგრამის რეალიზაცია, ისეთივე პროგრამისა, რომელიც თავის დროზე აამოქმედა აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ.

**„ევროპა მძიმედ ავად არის და მის წინაშე არსებულ პრობლემებს სასწრაფო გადაწყვეტა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას კრახი ელის“,** — განაცხადა „დოიჩე ბანკის“ მთავარმა ეკონომისტმა და დასძინა, რომ ევროკავშირმა უნდა გადახედოს ფინანსურ პოლიტიკას, რომელსაც აქამდე ატარებდა. „დოიჩე ბანკის“ ეს მოთხოვნა პირდაპირი გამოწვევაა ევროკომისიისა და ევროპის ცენტრალური ბანკისთვის, აგრეთვე, დარტყმა **ანგელა მერკელის** პოლიტიკაზე.

ევროკომისიის სანქციები ესპანეთისა და პორტუგალიის მიმართ, საბანკო კრიზისი იტალიაში, კონფლიქტი ევროპის ცენტრალურ ბანკსა და „დოიჩე ბანკს“ შორის ევროკავშირის სტრუქტურული კრიზისის მხოლოდ პირველი ნიშნებია. კრიზისი ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებით არ არის გამოწვეული, „ბრექსიტმა“ მხოლოდ ამ კრიზისის გამწვავებას შეუწყო ხელი.

ვიდრე დიდ ბრიტანეთში რეფერენდუმი გაიმართებოდა, გერმანულმა გამოცემა Handelsblatt-მა გამოაქვეყნა ბრიტანელთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც, კითხვაზე — ვისთვის უფრო მომგებიანია ევროკავშირის არსებობა? — რესპონდენტთა უმრავლესობამ უპასუხა: — გერმანიის. და ეს თვალსაზრისი, რომელიც გავრცელებულია არა მხოლოდ ბრიტანეთის კუნძულებზე, არამედ კონტინენტურ ევროპაშიც, ხსნის იმ პროცესების არსს, რომლებიც ახლა იწყება და რომლებიც „ერთიანი ევროპის“ საძირკველს ანგრევს.

**Fondsk.ru**

ობამას მოწოდებამ ბრიტანელებისადმი, დარჩენილიყვნენ ევროკავშირში, ძალიან გააბრაზა ჯონსონი, რომელმაც დაწერა: „ობამა — ეს არის პრეზიდენტი კენიური ფესვებით, რომელიც იზიარებს თავისი წინაპრების სიძულვილს ბრიტანეთის იმპერიისა და მისი გულმხურვალე დამცველის — უინსტონ ჩერჩილის მიმართ“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ვაშინგტონ პოსტი»: ის ჰილარი კლინტონს სადისტ მედდას უწოდებდა, პუტინს კი აქებდა

**ამერიკული გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ახალ მინისტრზე წერს.**



რა უცნაური აღმოჩნდა ბოლო რამდენიმე კვირა **ბორის ჯონსონისთვის?!** ლონდონის ყოფილი მერის პოლიტიკური ვარსკვლავი ამობრწყინდა გასულ თვეს, როცა ის სათავეში ჩაუდგა ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის კამპანიას, რომლის მომხრეებმაც გამაოგნებელი გამარჯვება მოიპოვეს რეფერენდუმში. შემდეგ ჯონსონის აქციები მკვეთრად დაეცა, როდესაც თანაშემწემ ულალატა და ხელი შეუშალა ჯონსონის ჩაჯდომას პრემიერმინისტრის სავარძელში ბრიტანეთისთვის ახალ, „ბრექსიტის“ ეპოქაში.

ბევრმა პოლიტიკური ნეკროლოგიც მიუძღვნა ჯექსონს და გააკრიტიკა პოლიტიკური ცინიზმისა და ოპორტუნიზმის გამო. ის ხომ თავდაპირველად „ბრექსიტის“ წინააღმდეგ გამოდიოდა. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ბორისი თამაშში ბრუნდება.

13 ივლისს დიდი ბრიტანეთის ახალმა პრემიერმინისტრმა **ტერეზა მეიმ** ჯონსონი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა **ფილიპ ჰემონდის** ნაცვლად, რომელმაც ხაზინის კანცლერის პოსტი დაიკავა.

ბორის ჯონსონი ამ საქმისთვის უჩვეულო კანდიდატია. ყოფილი ჟურნალისტი ცნობილია თავისი წინასწარგანზრახული პროვოკაციული მანერებით, მოუწესრიგებელი გარეგნობითა და ზოგჯერ შეურაცხმყოფელი კომენტარებით.

ორი თვის წინათ ჯონსონმა მოიგო მთავარი პრიზი ჟურნალისა The Spectator, რომელმაც ჩაატარა კონკურსი თურქეთის პრეზიდენტის — **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** შეურაცხმყოფელი ლექსების შექმნაში. ჯონსონმა თავის ლექსში მიანიშნა თურქეთის პრეზიდენტის სექსუალურ ურთიერთობაზე თხასთან.

რაც შეეხება კონფლიქტებს ახლო აღმოსავლეთში, ჯონსონის თვალსაზრისი დასავლეთის თვალსაზრისისგან მკვეთრად განსხვავდება, ის აქებს სირიის პრეზიდენტ **ბაშარ ასადს** და მის ბრძოლას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ბორის ჯონსონი, აგრეთვე, მიესალმა „ულმობელ სიცხადეს“, რომელსაც ავლენს ასადისადმი მხარდაჭერაში რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი.**

საერთაშორისო ურთიერთობების მიმომხილველმა **იენ ბერიმორმა** გესლიანად შენიშნა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ჯონსონის ყოფნისას დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ურთიერთობა „განსაკუთრებულიდან“ გადავა „თავისებური“ ურთიერთობის სტადიაში. და ეს იმიტომ, რომ ლონდონის ყოფილმა მერმა რამდენიმე მწვავე განცხადება გააკეთა ამერიკის ლიდერების მიმართ.

2007 წელს The Daily Telegraph-ში ჯონსონი ასე აღწერდა **ჰილარი კლინტონის** პირველ საპრეზიდენტო კამპანიას: „მას აქვს ღიად შეღებილი თმა და ფოლადისებრი მზერა ცისფერი თვალებიდან, როგორც სადისტ მედდას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. თუ ამერიკელებს სურთ, ბილ კლინტონის დაბრუნება თეთრ სახლში, მხარი უნდა დაუჭირონ ჰილარის. თუკი ბილს საქმე ჰილარისთან ექნება, ის ნებისმიერ გლობალურ კრიზისს გაუმკლავდება“.

ცოტა ხნის წინათ კი ბორის ჯონსონი რასიზმში დაადანაშაულეს. მან ტაბლოიდ The Sun-ში გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი, რომელიც მიუძღვნა პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** ვიზიტს დიდ ბრიტანეთში. ობამას მოწოდებამ ბრიტანელებისადმი, დარჩენილიყვნენ ევროკავშირში, ძალიან გააბრაზა ჯონსონი, რომელმაც დაწერა: **„ობამა — ეს არის პრეზიდენტი კენიური ფესვებით, რომელიც იზიარებს თავისი წინაპრების სიძულვილს ბრიტანეთის იმპერიისა და მისი გულმხურვალე დამცველის — უინსტონ ჩერჩილის მიმართ“.**

The Washington Post



# ჯორჯ ბუში დალასში დაღუპული პოლიციელების სამგლოვიარო ცერემონიაზე აცეკვდა

**ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დალასში რამდენიმე დღის წინათ მოკლული 5 პოლიციელის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო ცერემონიაზე აცეკვდა. ინციდენტის ამსახველი კადრები Usa Today -მ გაავრცელა.**



გავრცელებულ ვიდეოში ჩანს, რომ ჰიმნის შესრულებისას ჯორჯ ბუში ღიმილს ვერ იკავებს და ცეკვავს. აღსანიშნავია, რომ ცერემონიაში ამერიკელი მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ, მათ შორის, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა, მისი მეუღლე მიშელი, აგრეთვე, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი და მისი მეუღლე. ყოფილი პრეზიდენტის უცნაურ ქმედებაზე ღიმილი ვერ შეიკავეს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და მისმა მეუღლემ.

ჯორჯ ბუშის საქციელმა ამერიკელები აღაშფოთა. სოციალური ქსელების მომხმარებელთა უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ბუში ძლიერი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, დალასში პოლიციელების მიერ ფერადკანიანი მოქალაქეების მკვლელობის გამო საპროტესტო აქცია გაიმართა, სადაც შეტაკება მოხდა. თავდასხმისას 5 პოლიციელი დაიღუპა და 7 დაიჭრა. ინციდენტის შედეგად ასევე დაშავდა 2 მშვიდობიანი მოქალაქე. სამართალდამცავებმა მომხდარში ეჭვმიტანილი 3 ადამიანი დააკავეს. თავდამსხმელი 25 წლის ავღანეთის ომის ვეტერანი აღმოჩნდა. პოლიცია ფიქრობს, რომ ის მარტო მოქმედებდა.

# სკანდალი: ნატოში უკრაინას პორნოვარსკვლავი და პოროშენკოს საყვარელი წარმოადგენს





**პოლონური მედია წერს, თუ რის წყალობით მიაღწია წარმატებას კარიერაში ირინა ფრიზმა.**

ვარშავაში ნატოს სამიტის მიმდინარეობისას, აგრეთვე, გაიმართა ნატო-უკრაინის კომისიის სხდომა. უკრაინის დელეგაციას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო. სიტუაციას პიკანტურობის საზურველში ხვევდა ამ კავშირის მუშაობაში პოროშენკოს ყოფილი პრესმდივნის, ამჟამად უკრაინის პარლამენტის დეპუტატისა და უკრაინა-ნატოს სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის — ირინა ფრიზის მონაწილეობა.

პოლონური ინტერნეტპორტალი Dziennik Polityczny წერს, რომ ირინა ფრიზის კარიერა მაღაზიის გამყიდველობით დაიწყო და მოკლე ხანში მან უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას მიაღწია.

„მაგრამ დასაწყისში მისი კარიერა ყოველთვის არ მიდიოდა წარმატების გზით, — ხაზს უსვამს პორტალი, — გარკვეული დროის განმავლობაში ფრიზის შემოსავალი პორნოფილმებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები იყო“. ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ პოლონური გამოცემა სვამს კითხვას **ხომ არ დაჩრდილავს ირინა ფრიზი უნგრული წარმოშობის იტალიელ პორნომსახიობს ანა ილონა შტალერს, რომლის „სცენური“ ფსევდონიმი არის ჩიჩოლინა?**

„აქამდე ჩიჩოლინა იყო ერთადერთი პორნოვარსკვლავი, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს პარლამენტში აირჩიეს დეპუტატად. და, როგორც ჩანს, ბოლო არ უნდა იყოს“, — ასკვნის Dziennik Polityczny.

# თურქეთის პრემიერი: ქვეყანა, რომელიც იმამ გიულენს შეიფარებს, თურქეთის მტერი იქნება



**ნებისმიერი ქვეყანა, რომელშიც იმამი ფეთჰულაჰ გიულენი გაჩერდება, თურქეთის მტერი იქნება, — განაცხადა თურქეთის პრემიერმინისტრმა ბინალი იილდირიმმა და დასძინა, რომ გიულენის მიმართ, რომელიც, უკვე დიდი ხანია, აშშ-ში იმყოფება, სამხედრო გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორობის გამო, დევნას დაიწყებენ.**

თურქეთის ხელისუფლების ინფორმაციით, გიულენი „საპარლამენტო სტრუქტურის“ შექმნასა და ხელისუფლების ჩამოგდებას ცდილობდა.

თვითონ გიულენი ბრალდებებს უარყოფს.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სხვისი უბედურებით „გაბედნიერებულმა“ კაცებმა, თუ სინდისის ნატამალი შერჩათ, მართლა უჩუმრად უნდა აკეთონ კეთილი საქმეები და ასე გამოისყიდონ მილიონთა წინაშე ჩადენილი ცოდვები.**

# ბიძინა და ქილა ოცნება

**ეს სტატია 2013 წელს გერმანიაში ყოფნისას დავწერე და საქართველოში გამოვგზავნე. სამწუხაროდ, მისი გამოქვეყნებისგან იმხანად თავი შეიკავეს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. მე დევნილობიდან სამშობლოში დავბრუნდი. გერმანიას კი გასულ წელს მილიონამდე ლტოლვილი მიაწყდა. საერთო ჯამში, გაეროს მონაცემებით, 2015 წელს პირველად მსოფლიოს ისტორიაში ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ 60 მილიონს გადააჭარბა და 65,3 მილიონს მიაღწია. გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილების მტაცებლურმა სურვილმა, თავსმოხვეულმა ფერადმა რევოლუციებმა, სახელმწიფო გადატრიალებებმა თუ პირდაპირმა სამხედრო აგრესიამ თავისი შედეგები გამოიღო. ამ ფონზე ახლახან ევროკავშირის ერთ-ერთი გავლენიანი წევრის — ინგლისის მოსახლეობამ ამ გაერთიანებას უარი უთხრა. დღეს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში აშკარად შეიმჩნევა სოციალური და ნაციონალური ტენდეციების გაძლიერება. ამ ყველაფრის უმთავრეს მიზეზად დასავლელი უბრალო ადამიანები და რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსები მიიჩნევენ საბჭოთა კავშირის შემდგომ დარჩენილ ერთადერთ ზესახელმწიფოს — შეერთებული შტატებს.**

**საით მივდივართ ჩვენ? რას გვიქადის მომავალი? — აი თემები, რომლებმაც მაიძულა, ჩემი თვალსაზრისი ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამომეტანა.**

**ზურაბ დგებუაძე,**
**საქართველოსა და გერმანიის მოქალაქე, ყოფილი პოლიტიკური დევნილი**




დასასრული. დასაწყისი იხ. №26 (255)

## კადრები წყვეტენ ყველაფერს!

„ხეს ვერ გაზრდი იმ დროზე ადრე, რაც ბუნებას დაუნიშნავს“
ილია ჭავჭავაძე

2013 წლის იანვარში რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც გულისტკივილით ვამბობდი: „ნამდვილად არ მოველოდი, თუ „ქართული ოცნება“ და პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილი საკადრო საკითხებში ასეთ შეცდომებს დაუშვებდნენ-მეთქი. არადა, უფრო ადრე, 2012 წლის ივნისში, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „პოპულისტების, დემაგოგებისა და მარიონეტების ასპარეზი“ მთავარი ოპოზიციური ძალის გასაგონად ვამბობდი: „გამარჯვება ისეთი რთული არ იქნება, როგორც ქვეყნის სტაბილურობა და რეალური აღმშენებლობა. განვლილი პერიოდის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ამჯერად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ერთ დროს გაფეტიშებულ ცნობილ ლოზუნგს „კადრები წყვეტენ ყველაფერს“. საუბედუროდ, **პოლიტიკურმა დილეტანტიზმმა არა მხოლოდ წარმოების საშუალებები, არამედ კვალიფიციური კადრებიც გაანადგურა.** სასწავლო პროცესების „ამოვარდნამ“ და გაუაზრებელმა რეფორმებმა კიდევ უფრო მოარყია ის საძირკველი, რომელზეც უნდა იდგეს ცივილიზებული სახელმწიფო. ეს საკითხი, სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკის აქილევსის ქუსლად რჩება. არასწორად განვითარებული ტრადიცია, მეგობრულ-ნათესაური ჩარჩოები კარიერის მწვერვალზე მოხვედრილ კაცს ხშირად საშუალებას არ აძლევს, სწორი არჩევანი გააკეთოს. წარმატებულ პოლიტიკურ ლიდერს ზოგჯერ უძნელდება ჯანსაღი და საქმის მცოდნე ადამიანების შემოკრება. **მაღალი თანამდებობების ირგვლივ სარეველასავით ხარობენ უნიჭო კარიერისტები, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ, ახლოს არ გაიკარონ მოკრძალებული ინტელექტუალები.** ამ საშიში ტენდენციის დაძლევა შესაძლებელია გონიერი საკადრო სისტემით და კონკურენტუნარიანი გარემოს დამკვიდრებით. დადგა დრო, კატეგორიული უარი ვთქვათ ქარიზმულ, საეჭვოდ პოპულარულ სახეებზე და ქვეყნის მომავალი ფუტკარივით მოფუსფუსე პროფესიონალებს მივანდოთ“.

ძველი თაობის წარმომადგენლები დამემოწმებიან, რომ ლოზუნგი „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ დიდ საბჭოეთში მართლაც ცნობილი დევიზი იყო. თუმცა, საბჭოთა სისტემა გამონაკლისი არ ყოფილა. სხვათა შორის, იმ ევროპასა და დასავლეთში, რომლისკენაც ნაციონალები და „მეოცნებენი“ მიისწრაფვიან, ეს პრინციპი კიდევ უფრო დახვეწილი და განვითარებულია. ამიტომაც არის, რომ პოლიტიკური ელიტის ცვლილება გავლენას ვერ ახდენს სახელმწიფოს სტაბილურობაზე. იქ ქვეყნის სტაბილურობა, პოლიტიკურ მესიანიზმს კი არა, პროფესიონალთა კასტას ეფუძნება. სამწუხაროდ, **პოლიტიკურ სცენაზე მეტეორივით შემოვარდნილმა მილიარდერმა იმედი გაგვიცრუა. მან „პოლიტიკური მიწისძვრებიდან“ უმოკლეს ვადაში პასუხისმგებლობის ტვირთი მოიხსნა, გაკაშკაშებული „სცენიდან“ ხელი დაგვიძნია და ისევ კულისებში გაუჩინარდა.** ტახტს ამოფარებულმა გვირგვინოსანმა, წარმოუდგენლად გაახალგაზრდავებულ და საეჭვო კადრებთან ერთად, სხვა მრავალი თავსატეხიც შემოგვაჩეჩა. ივანიშვილმა სააკაშვილის რეკორდიც კი მოხსნა, როცა თავის „მემკვიდრედ“ ახალგამოჩეკილი პოლიტიკური ლიდერი, 31 წლის **ღარიბაშვილი** დაასახელა. გინესის რეკორდების წიგნში შესატანად შეიძლება ჩაითვალოს შინაგან საქმეთა მინისტრად ნაციონალების „კალთაში განებივრებული“ 28 წლის **ჭიკაიძის** დანიშვნა, ხოლო მთავარი პროკურორის სკამზე გერმანიაში ქურდობისთვის ნასამართლევი და ასევე ნაციონალების ხელში დაფრთიანებული **ფარცხალაძის** დასმა უვიცობისა და უზნეობის ზენიტს ჰგავდა. საქართველოში დემოკრატიის აღზევებასა და კაი ცხოვრებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ, ამ მხრივ, ივანიშვილმა უმოკლეს ვადაში მართლაც გააკვირვა მსოფლიო. 35 წლის ვიცეპრემიერმა **კახა კალაძემ** საფეხბურთო კარიერის წყალობით მაინც უნდა იცოდეს, რომ **„პროფესიონალი“ „მოყვარულების“ გუნდს გამარჯვების არავითარი შანსი არ აქვს.**

**ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გააცურეს. დიდი რეჟისორები ამჟამად ახალი კლონის შესაქმნელად ემზადებიან. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და სულაც არ გამიკვირდება, თუ მომავალში ხელისუფლების მწვერვალზე ოდნავ სახეშეცვლილ ნაციონალებს ვიხილავთ.** თუმცა ამას საქართველოსათვის მნიშვნელობა არ აქვს, უბრალო არითმეტიკაა: შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

## უზნეობასა და უსამართლობაზე დაფუძნებული პოლიტიკის მწარე ნაყოფი

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლას წითელ ზოლად გასდევდა კომპრომატების ომი, რომელსაც ამორალური ხასიათი ჰქონდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. ციხის კადრები. **მავანმა ისე „იღვაწა“, რომ ცოცხით „გაუპატიურებულ“ ნიღაბჩამოხსნილ მსხვერპლს სახეზე ღიმილიც კი შეარჩინა.** და მაინც, რეჟისორებმა მიზანს მიაღწიეს — ემოციური ქართველები ქუჩაში გამოიყვნეს, ხოლო „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ პარლამენტსა და მთავრობაში შეაბრძანეს. და მაინც, რა იყო ისეთი გაუგონარი, რამაც საზოგადოება ფეხზე დააყენა? — არაფერი განსაკუთრებული. საპატიმრო ადგილებში ცემატყეპა, წამება, გაუპატიურება და ათასი საზიზღრობა სააკაშვილის პერიოდში რომ არ დაწყებულა და წარსულში კიდევ უფრო „ნოყიერი ნიადაგი“ ჰქონდა, ჩვენმა საზოგადოებამ არ იცოდა?! ამაში ვერავინ დამარწმუნებს. **კომპრომატების ომში ამორალური და ამაზრზენი საქციელი კიდევ ის იყო, რომ ამ საზიზღრობის ჩამდენებმა და შემქმნელებმა გმირობა მოინდომეს. უფრო მეტიც, გაცილებით დიდმა დამნაშავეებმა მორალის კითხვა დაიწყეს.** ყველა ჯურის ავაზაკი, ყოფილი თუ მოქმედი, მაღალი თუ დაბალი რანგის მოხელე შარაგზაზე გამოეფინა და აყაყანდა, — ეს რა ჭირი შეგვყრიაო. სხვათა შორის, ერთმანეთისთვის ტალახის სროლამ კარგად წარმოაჩინა ორივე მხარის ჭეშმარიტი სახე. ნაციონალების მიერ შემოგდებულმა ერთმა კომპრომატმა დამიტოვა განსაკუთრებული შთაბეჭდილება. **ერთ-ერთი ფარული აუდიოჩანაწერიდან აშკარად ჩანს, რომ თანამდებობას დახარბებულ მოქიშპეებს „მეფის კარზე“ აღსაზევებლად დიდი მტრობა აქვთ.** აუდიოჩანაწერიდან ისმის ორი ახალგაზრდა მამაკაცის საუბარი, რომელიც დეგრადირებული ქუჩის ბიჭების დიალოგს უფრო ჰგავს, ვიდრე ქვეყანაზე მზრუნველი ადამიანების წუხილს. **იქ დანთხეულ ზიზღსა და ბილწსიტყვაობაზე მეტად „პირაქაფებული“ ახალგაზრდა კაცის ვერაგულმა განზრახვამ შემაძრწუნა. იგი მოსაუბრეს მხიარულად ამცნობს, რომ მიუღებელი ქალბატონის „გასაჟიმავად“ და ამ მეთოდით მის ჭკუაზე მოსაყვანად უკვე შერჩეული ჰყავს „კურო“. კომპრომატების ხელოვნებაში განსწავლული ეს ახალგაზრდა კაცი კი არის ივანიშვილის მემკვიდრე — ირაკლი ღარიბაშვილი.** ირაკლი რომ უდავოდ „ნიჭიერი“ ახალგაზრდაა, ამ აუდიოჩანაწერიდანაც კარგად ჩანს, თუმცა, ვფიქრობ, „პროფესიონალზმში“ მას თავისი სიმამარი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის — **კახა თარგამაძის** თანამებრძოლი, გენერალი **თამაზ თამაზაშვილიც** წაეხმარა. არადა, ბატონი ივანიშვილი საქვეყნოდ გაიძახოდა, — ყველაზე მეტად რაშიც ვერკვევი და მესმის, ეს საკადრო საკითხებიაო. სხვათა შორის, პოლიტიკურ არენაზე გამოჩენილ უმდიდრეს კაცს მავანი ხშირად შეახსენებდა ხოლმე რუსეთში დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ ქონებას. გალიზიანებული ივანიშვილი კი მენტორული ტონით უმტკიცებდა „უმწიფარ“ ჟურნალისტებს, რომ მისი წარსული უმწიკვლოა. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მეც ვარ, ვინც კარგად იცის, როგორ იშვა საბჭოურ სივრცეში მილიონობით გაუბედურებული ადამიანის ხარჯზე ერთი მუჭა მდიდრების კასტა. სწორედ იმ პერიოდში, **როცა ბატონი ბიძინა რუსეთში დიდ ფულს „ჭრიდა“, მე იქ გაცრეცილი პიჯაკით ვხვდებოდი უმაღლესი თანამდებობის პირებს. ერთ-ერთი ასეთი მაღალი დონის შეხვედრა 1993 წლის 23 სექტემბერს ქალაქ ვოლგოგრადში გაიმართა. ამ დიდ ღონისძიებას, „ეს-ენ-გე“-ს შინაგან საქმეთა მინისტრების გარდა, ავსტრიის იუსტიციის მინისტრიც ესწრებოდა.** დასავლეთევროპელი მინისტრი დამაფიქრებელი მოხსენებით გამოვიდა. სწორედ ეს გარემოება გახდა საბაბი იმისა, რომ 1993 წლის 6 ნოემბერს გაზეთ „კრიმინალურ ქრონიკაში“ გამოვაქვეყნე სტატია „ვიდრე მაფია მომძლავრდება“. ამ სტატიაში სწორედ ავსტრიის იუსტიციის მინისტრის მოხსენების მონაკვეთი მაქვს მოყვანილი: „ბოლო წლებში შეიმჩნევა სახიფათო ტენდენცია. ორგანიზებულმა მაფიამ დაიწყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფინანსური საშუალებების ეკონომიკის სფეროში დაბანდება. იქმნება საშიშროება, რომ იგი ზემოქმედებას მოახდენს საზოგადოებრივი სისტემის საფუძველზე. ჩვენ რუსეთის გენერალურ პროკურორს ხმამაღლა ვუთხარით საყვედური იმის შესახებ, რომ საბანკო სისტემაში კორუფციაა, ხშირია გაფლანგვისა და ქურდობის ფაქტები. 160 ბანკი და საწარმო კომპრომეტებულია იმით, რომ იქ საქმიანობენ კრიმინალური დაჯგუფებები. მაფია ცდილობს სახელმწიფოში გაძლიერებას, რათა მიაღწიოს საბანკო სისტემაზე ზეგავლენას... ჩვენ სამჯერ გავაფრთხილეთ რუსეთის გენერალური პროკურორი, რომ რუსეთში ეკონომიკის ძირითად სადავეებს დამნაშავეები ეუფლებიან და, თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე მათ პოლიტიკური ხელისუფლების მწვერვალზეც ვიხილავთ“. ასე რომ, მე თუ მკითხავთ, **სხვისი უბედურებით „გაბედნიერებულმა“ კაცებმა, თუ სინდისის ნატამალი შერჩათ, მართლა უჩუმრად უნდა აკეთონ კეთილი საქმეები და ასე გამოისყიდონ მილიონთა წინაშე ჩადენილი ცოდვები.** ეს ბატონები ნურც იმაზე გამოიდებენ თავს, აქაოდა, პოლიტიკა არ მიზიდავს და არსდროს მქონია პოლიტიკოსებთან კავშირიო. **ბატონი ბიძინას გასაგონად მინდა განვაცხადო: ზოგჯერ თუ გამონათქვამები და განვლილი ცხოვრება გავიწყდებათ, მაშინ იგი ვილაცამ უნდა შეგახსენოთ.** თქვენ უკვე საჯაროდ დაუდასტურეთ საზოგადოებას, რომ, კარგა ხანია, პოლიტიკაში ხართ. ამის თვალსაჩინო მაგალითია თქვენი პასუხი 9 აპრილის მემორიალთან ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვაზე „აფინანსებდით თუ არა რუსეთში გენერალ ლებედის საარჩევენო კამპანიას?“. **„მე მეამაყება, რომ რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების დროს ელცინის საარჩევნო შტაბის წევრი ვი-**

**ვითომ მართლა აღარ გვახსოვს, რომ XVII საუკუნის ბოლოს შინაური მტრობითა და მუსლიმანური ქვეყნების შემოტევით დასუსტებული ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა?! ნუთუ მართლა დაგვავიწყდა ან არ ვიცით, რომ XVII საუკუნის მიჯნაზე ირანის, ოსმალეთისა და ჩრდილოკავკასიელთა თარეშისგან გალეული ქართველობა საგანგაშო დემოგრაფიულ ზღვარს — 400 ათასს მიუხლოვდა?! ნუთუ მართლა არაფერი გვსმენია „ქართლის ჭირზე“, ჩვენს დიდ წინაპრებზე, თუნდაც სულხან-საბასა და დავით გურამიშვილზე?! და თუ ეს ყველაფერი გვახსოვს, მაშინ დიდი მეზობლისგან უკუქცევა და ერთადერთ დაუძინებელ მტრად მისი შერაცხვა უვიცობასთან ერთად უზნეობაც არის.**

## ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 20 წელზე მეტია, რუსეთი პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ შეფარვით გვაფრთხილებს, — თუ დასავლურ თამაშს თავს არ დაანებებთ, სახელმწიფოს დაქუცმაცება არ აგცდებათო. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ერთ-ერთ გამოსვლაში ჩვენს გასაგონად ისიც კი განაცხადა, რომ იმხანად, როცა საქართველომ რუსეთს მფარველობა სთხოვა, ქვეყანა სამთავროებად და კუთხეებად იყო დანაწევრებულიო. რუსეთის პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, რომ ქართული ტერიტორიები რუსებმა ქართველებთან ერთად იარაღითა და სისხლით გამოსტაცეს უზარმაზარ მუსლიმანურ იმპერიებს

**ყავი და მის საარჩევნო კამპანიას ვაფინანსებდი. მე მოვნახე მექანიზმი, როგორ უნდა გაემარჯვა იმ დროს ელცინს. ძალიან მძიმე პერიოდი იყო მაშინ. არსებობდა დიდი საფრთხე, კომუნისტებს რევანში აეღოთ და ის სისტემა, რომლის წინააღმდეგაც 1989 წელს ასე აქტიურად იბრძოდნენ ქართველები, უკან შემოებრუნებინათ. მაშინ ელცინს მხარს უჭერდა მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოება. სხვა უკეთესი არჩევანი მაშინ არ გვქონდა. მეორე მხარეს იდგნენ კომუნისტები. ლებედი იქ მექანიზმად იყო გამოყენებული, რადგან მან მოახერხა კომუნისტების ხმების დაბალანსება და, საბოლოო ჯამში, ელცინმა გაიმარჯვა. მე ამაში დიდი წვლილი მიმიძღვის, რასაც დღესაც სიამაყით ვიხსენებ“.** ახლა ეს ფრაზა გავაანალიზოთ. ივანიშვილი ამაყად ამბობს, რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ელცინის საარჩევნო კამპანიას ვაფინანსებდიო. იქვე აღიარებს, რომ პარალელურად გენერალი ლებედის არჩევნებსაც აფინანსებდა, რათა მას ელცინის სასარგებლოდ კომუნისტებისთვის ხმები წაერთმია, თანაც ეს ვირეშმაკური ფანდი თვითონ ბატონ ბიძინას მოუფიქრებია. რა გამოდის? — გამოდის ის, რომ **მედროვე თანამემამულე დაუფარავად გვეუბნება, — იმ კაცს ვეხმარებოდი, რომელმაც აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვაო. განა ელცინის უდიდესი დამსახურება არ არის, რომ დღეს აფხაზეთიდან 250 000 ათასი ქართველია გამოძევებული, ხოლო ომში 30 000 ქართველი დაიღუპა?**

**ახლა იმასაც მივაპყროთ ყურადღება, როგორ ამართლებს ივანიშვილი თავის საქციელს:** კომუნისტები რომ მოსულიყვნენ ხელისუფლებაში, ქართველები რისთვისაც იბრძოდნენ 1989 წელს, ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდაო. მგონი, სადავო არ არის, რომ იმხანად აღტყინებული ქართველობა ერთიანი საქართველოსთვის იბრძოდა და არა ივანიშვილის მილიარდებისთვის. ქართველ პატრიოტებს არც ის ადარდებდათ, კომუნისტები რევანშის შემთხვევაში დაიწყებდნენ თუ არა ივანიშვილის ქონების ექსპროპრიაციას. ასე რომ, **პროდასავლელი „ძმების“ გასაგონად ვამბობ: ივანიშვილი თქვენი კაცი უფროა, ვიდრე რუსეთის ინტერესების გამტარებელი ან საქართველოსთვის თავდადებული რაინდი. დიდი შანსია, რომ იგი სწორედ საერთაშორისო ელიტური ბიზნესწრეებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციული ინტერესების გამტარებელი აღმოჩნდეს, ვიდრე სამშობლოს ბედ-იღბალზე მზრუნველი პატრიოტი. ასეა, ფულის მოტრფიალე კაცებს მეტწილად ეშმაკთან აქვთ კუდი გადანასკვული, მათი ქველმოქმედება და სათნოება კი ადამიანებისთვის თვალში შეყრილი ნაცარია.** სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიო ძალზე დაპატარავდა. დიდმა კაპიტალმა შეძლო ვიწრო სახელმწიფოებრივი ბარიერების გარღვევა და თავის საცეცებში სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების მოქცევა. ფული და ძალაუფლება ინტერნაციონალური გახდა. ის, რაც ვერ მოახერხეს კომუნისტებმა და სოციალისტებმა, შეძლო მსოფლიო კაპიტალმა, თუმცა დღეს ევროპაში საპირისპირო დინებაც შეიმჩნევა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც ცივილიზაციის ნაყოფია, ხშირად ცალკეულ პიროვნებებს სრულიად დაუმსახურებლად აძლევს საშუალებას, უზარმაზარი კაპიტალი ჩაიგდოს ხელში, რაც უკვე ნიშნავს ქონების არასამართლიან გადანაწილებას. სხვათა შორის, მსხვილი კაპიტალის თავაშვებულობით შეშფოთებულ ევროპაში შემთხვევითი არ არის მემარცხენეების გამოცოცხლება. დღეს ევროპის ბევრ წამყვან ქვეყანაში ლიბერალიზმი ადგილს სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტიურებული პარტიებს უთმობს. **ისიც ფაქტია, რომ ცნება „სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“ გერმანიის კონსტიტუციის ფუძემდებლური პრინციპია. ამ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ნებისმიერი უმუშევარი მოქალაქე და მასთან გათანაბრებული პირი უზრუნველყოფილია საცხოვრებლით, საჭმელ-სასმელითა და უფასო სამედიცინო მომსახურებით.** ევროპის ქვეყნებში მდიდრებმა და დასაქმებულმა საშუალო ფენამ კარგად იციან, რომ უმუშევარი და შრომის უუნარო თანამოქალაქე უნდა არჩინონ. ეს მათი მორალური ვალდებულებაა. ასე რომ, **იქ, სადაც ადამიანების უდიდესი ნაწილი შიმშილობს, სიმდიდრე არა მხოლოდ დიდი უსამართლობაა, არამედ დიდი უზნეობაც. აღარაფერს ვამბობ იმაზე, როცა ეს სიმდიდრე მილიონობითი ადამიანის უბედურების ხარჯზეა ნაშოვნი.**

## საგარეო ორიენტირი

**„აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“**
**გოტფრიდ ლაიბნიცი**

ევროკავშირის „ლოკომოტივად“ აღიარებული გერმანია მართლაც გამოირჩევა მძლავრი ინდუსტრიით, მყარი სოციალური გარანტიებითა და მრავალეროვნულობით. სხვისი არ ვიცი და მე, პირადად, აქ ჩამოსულს, თავი მეორე საბჭოთა კავშირში მეგონა. არცთუ დიდი ხნის წინათ ხაკისფერი ნაციონლიზმით გახუნებულ მიწა-წყალზე დღეს ინტერნაციონალიზმის ფერადი ნაყოფი ყვავის. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები, კარგა ხანია, ევროკავშირის წევრობის სტატუსს ფლობენ, მათი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავის გადასარჩენად და ოჯახის გამოსაკვებად ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში მიემგზავრება. მეორე მხრივ, მიგრაციის საკითხი, საკმაოდ მტკივნეულია თვითონ მაღალგანვითარებული სახელმწიფოებისთვისაც. ამ პრობლემის დროულად მოუგვარებლობა, დიდი ალბათობით, ძალიან ცუდი შედეგით დამთავრდება. ამის საუკეთესო მაგალითია სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება — ძმური კავშირიდან მტრობამდე და სისხლისღვრამდე ერთი ნაბიჯია. ამასთანავე, დასავლეთში გაცილებით სახიფათო ტენდენციები შეინიშნება. ავიღოთ თუნდაც შობადობის მაჩვენებელი გერმანიაში. **დღეს უკვე თვითონ გერმანელები საუბრობენ ქვეყანაში შექმნილ სახიფათო „დემოგრაფიულ პირამიდაზე“, რაც იმაში გამოიხატება, რომ გერმანული ტრადიციული ოჯახების ადგილს „მეგობრობის“ ინსტიტუტი იკავებს, შესაბამისად, საგანგაშოდ მცირდება ახალგაზრდების რაოდენობა, ხოლო პენსიონერებისა — დღითიდღე იმატებს.** რაოდენობრივი მატების სალდო აქ მხოლოდ ემიგრანტებზე მოდის. არის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც, რომლებიც სწორედ ევროკავშირის სპონტანურად გაფართოების გამოძახილია. ნათელია, რომ ევროკავშირის საზღვრების გაფართოება, უწინარესად, უმსხვილესი კაპიტალის ინტერესებში შედის, მოგებული მხოლოდ ისინი რჩებიან, თუმცა ეს ყოველივე ძალზე სახიფათოა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

მიმდინარე გლობალური პროცესები განსაკუთრებით საშიშია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო. **საბჭოური სისტემის ნგრევის შემდეგ გაუსაძლის ყოფაში ჩავარდნილი საქართველოს დემოგრაფიული მაჩვენებლები განსაკუთრებით საგანგაშოა. ევროკავშირის წევრობა კი კიდევ უფრო გაზრდის საქართველოდან ძირძველი მოსახლეების გადინებას.** არ ვიცი, რას ეყრდნობიან პროდასავლელი ქართველი პოლიტიკოსები, რომლებსაც იდეაფიქსად დაუსახავთ ევროკავშირისა და ნატოს წევრობა. ფაქტია, რომ დაბალი განვითარების, მოუწესრიგებელი ქვეყანა ყოველთვის წაგებული დარჩება მაღალგანვითარებული სახელმწიფოების თანამეგობრობაში. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის, რომ დასავლეთთან საქართველოს ინტეგრაციას კატეგორიულად ეწინააღმდეგება მსოფლიოში ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა — რუსეთი. **ჩრდილოელი მეზობლის მიერ მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნების გარანტიას კი ვერც ევროკავშირი იძლევა და ვერც ოკეანისგაღმელი „მეგობრები“.** უფრო მეტიც, დასავლეთმა უკვე დაამკვიდრა სახელმწიფოების დაქუცმაცების ჩვენთვის საშიში ტენდენცია. ამის მაგალითია იუგოსლავიის მწარე გამოცდილება (იუგოსლავიის ტერიტორიაზე დღეს შვიდი ჯუჯა სახელმწიფო წარმონაქმნი არსებობს).

არც ისე დიდი ხნის წინათ საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა **დავით თევზაძემ** ათი წლისწინადელ ამბავზე განაცხა დასაყურადღებო რამ: მოსკოვიდან დარეკეს და გაგვაფრთხილეს, — **საქართველოში ხელისუფლება აფხაზეთზე იცვლებაო. დავით თევზაძემ თავის ინტერვიუში საზოგადოებას ის მოსაზრებაც გაუზიარა, რომ 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ მეშვეობით ხელისუფლების ცვლილებას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაკარგვა მოჰყვაო.**

ახლა 2003 წლის დრამატულ მოვლენებს გადავავლოთ თვალი. იმხანად პარლამენტის შენობის წინ ორი დაპირისპირებული ძალა იდგა: ერთ მხარეს დასავლეთის მიერ ფრთაშესხმული „ვარდოსნების“ გაბრუებული მასა ბობოქრობდა, მეორე მხარეს კი — პრორუსული ორიენტაციის **ასლან აბაშიძის** მომხრეები. **სწორედ იმ ასლან აბაშიძისა, რომელსაც დასავლეთისგან გაცუცურაკებულმა შევარდნაძემ ეთნოკონფლიქტების მოგვარება ოფიციალურად მიანდო. შევარდნაძეს ეს გადაწყვეტილება შემთხვევით არ მიუღია. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები მხოლოდ რუსების ხელში იყო.**

ამიტომ ვფიქრობ, რომ ბატონი თევზაძის ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება. სწორედ ამ გაუაზრებელი და დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგია ჩვენი გაუბედურებული ყოფა — **დაკარგული ტერიტორიები, უცხოეთში საშოვარზე გადახვეწილი თანამემულეები, უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა და საგანგაშოდ დასუსტებული ქვეყანა.**

**20 წელზე მეტია, რუსეთი პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ შეფარვით გვაფრთხილებს, თუ დასავლურ თამაშს თავს არ დაანებებთ, სახელმწიფოს დაქუცმაცება არ აგცდებათო. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ერთ-ერთ გამოსვლაში ჩვენ გასაგონად ისიც კი განაცხადა, რომ იმხანად, როცა საქართველომ რუსეთს მფარველობა სთხოვა, ქვეყანა სამთავროებად და კუთხეებად იყო დანაწევრებულიო. რუსეთის პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, რომ ქართული ტერიტორიები რუსებმა ქართველებთან ერთად იარაღითა და სისხლით გამოსტაცეს უზარმაზარ მუსლიმანურ იმპერიებს.**

ამნეზია სახიფათო დაავადებაა. **ვითომ მართლა აღარ გვახსოვს, რომ XVII საუკუნის ბოლოს შინაური მტრობითა და მუსლიმანური ქვეყნების შემოტევით დასუსტებული ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა?! ნუთუ მართლა დაგვავიწყდა ან არ ვიცით, რომ XVII საუკუნის მიჯნაზე ირანის, ოსმალეთისა და ჩრდილოკავკასიელთა თარეშისგან გალეული ქართველობა საგანგაშო დემოგრაფიული ზღვარს — 400 ათასს მიუხლოვდა?! ნუთუ მართლა არაფერი გვსმენია „ქართლის ჭირზე“, ჩვენს დიდ წინაპრებზე, თუნდაც სულხან-საბასა და დავით გურამიშვილზე?! და თუ ეს ყველაფერი გვახსოვს, მაშინ დიდი მეზობლისგან უკუქცევა და ერთადერთ დაუძინებელ მტრად მისი შერაცხვა, უვიცობასთან ერთად, უზნეობაც არის.**

ჯერ კიდევ 2012 წლის მარტში ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში ვწერდი: „რეალობას ვერ გავექცევით, ქართული სახელმწიფოს მომავალი ამჯერადაც მჭიდროდ არის გადანასკვული საგარეო ორიენტირზე. შექმნილია რადიკალურად პროდასავლური სახელისუფლო ცენტრი. ამ სიტუაციაში ლოგიკური იქნებოდა მეორე საპირისპირო საყრდენის შექმნა, რომელიც ჩრდილოელ მეზობელთან მჭიდრო კანტაქტების აღდგენის რეალისტურ პროგრამას შესთავაზებს საზოგადოებას. ამგვარ პოლიტიკურ განლაგებაში მესამე ცენტრის ფუნქცია „ქართულმა ოცნებამ“ უნდა იტვირთოს, სწორედ მან უნდა შეძლოს ორ პოლუსს შორის გაჭედილი პოლიტიკური ცნობიერება იმპერიათა ციცაბო ბილიკებზე ისე ატაროს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა გადარჩეს. ჩვენ შეგვწევს უნარი, ჩავშალოთ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ ნებისმიერ ძალებს შორის დადებული ღია თუ ფარული გარიგება. ცივილიზებული მსოფლიოს ღირსეული წევრობა კი მხოლოდ გონიერებით, ურთიერთშეთანხმებული მოქმედებითა და მოთმინებით მიიღწევა“.

ასე ვფიქრობდი იმხანად, მაგრამ შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ კლონირებულმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ, „ქართული ოცნების“ სახით, წინამორბედის გზა განაგრძო. უფრო მეტიც, ახალმა მესიამ „კოაბიტირებულ“ საზოგადოებას კიდევ ერთი სამშვიდობო ლოზუნგი გადმოუგდო — „ნატოსა და ევროკავშირში რუსეთთან ერთად!“.

გონიერი მკითხველისთვის მიმინდვია დასკვნის გაკეთება, როგორ დაანაყრებს ეს პოლიტიკური მანანა გაუსაძლის ყოფაში ჩავარდნილ ერს. კიდევ რომელი კლონირებული ძალა მოევლინება მხსნელად გაწამებულ და გზააბნეულ ამომრჩეველს. მე კი ისევ ძველ თვალსაზრისზე დავრჩები და ამ ვრცელ წერილს შემდეგი სიტყვებით დავასრულებ: **დადგა დრო, უარი ვთქვათ სახელისუფლო პარტიებიდან პოლიტიკური კლონების გამოყვანაზე. აუცილებელია, შეიქმნას ისეთი სამართლებრივი მოდელი, სადაც, ღმერთმა დაგვიფაროს და, იმ ერთ რჩეულს „აგური“ რომ მოხვდეს ან „ფეხი გადაუბრუნდეს“, საზოგადოება ფეტვივით არ დაიბნეს, პოლიტიკური სისტემა ხუხულასავით არ ჩამოიქცეს. თუმცა აქ მარტოდენ სამართლებრივი მოდელი არას გვარგებს, თუ ნებისმიერმა პოლიტიკოსმა არ გაითავისა თამაშის ახალებური წესი — არ გააცნობიერა პასუხისმგებლობა, რომელიც უკანონო ქმედებისთვის დასჯას გულისხმობს.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1973 წელს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ ჰომოსექსუალიზმი ამოშალა ფსიქიატრიული გადახრების სიიდან. მანამდე კი ამ ასოციაციის ფორმულირებით ეს გადახრა ასე იყო შეფასებული: „ჰომოსექსუალი არის ინდივიდუუმი ემოციური სფეროს გადახრებით, რომელსაც უნარი არ აქვს ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის ფორმირების“. ჰომოსექსუალობა დაავადებად ითვლებოდა 1992 წლამდე, მანამ, სანამ ჰომოსექსუალების პოლიტიკურმა ძალამ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას არ ამოაშლევინა იგი დიაგნოზების სიიდან.**

# პედერასტიის ტრიუმფი

**დასასრული. დასაწყისი იხ. №26 (255)**

**სრული სახელწოდება წერილისა, რომლის საგაზეთო ვერსიის დასასრულსაც დღეს გთავაზობთ, ასეთია: „პედერასტიის ტრიუმფი: საკითხის ისტორია“. ეს წერილი გამოქვეყნდა 2016 წლის 19 ივნისს publikatsii.ru -ში; ავტორები — ილია და იური ბელოუსები. ჩვენი პუბლიკაციის პირველ ნაწილში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №26) ავტორებმა ასე ახსნეს აღნიშნული წერილის გამოქვეყნების საჭიროება: „... უპრიანია ვიცოდეთ, როგორ დაიწყო მოძრაობა ალვირახსნილი სექსის, პედოფილიისა და ნარკოდამოკიდებულების დასამკვიდრებლად, გავეცნოთ ამ ყველაფრის მოთავე ადამიანს სახელად ალენ გინზბერგს“ (და არა გრინზბერგს).**



დიკ ჩეინის ქალიშვილი ლესბოსელი მერი ჩეინი ოფიციალურად დაქორწინდა ჰიზერ პოსთან 2012 წელს.

**ჰომოსექსუალები სხედან დღეს ამერიკის კონგრესში, სასამართლოებში და რელიგიურ მოღვაწეობასაც კი ეწევიან. 2005 წლის თებერვალში გამჟღავნდა, რომ, აშშ-ის ანგლიკანური საეპისკოპოსო ეკლესიის გადაწყვეტილებით, ნიუჯერსის შტატის ეპისკოპოსად დაინიშნა ჯინ რობინსონი, რომელიც არ მალავს თავის ჰომოსექსუალურ ორიენტაციას, ხოლო კანადის ერთ-ერთი ანგლიკანური ეკლესიის გადაწყვეტილებით, ერთნაირსქესიან წყვილებს დაქორწინების ნება დართეს**

აღმოჩნდა, რომ არც ისე უცნობი ყოფილა ეს პიროვნება საქართველოში: საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა რედაქციას აცნობეს, რომ გინზბერგი თავის დროზე თბილისში სტუმრობდა ცნობილ კინორეჟისორ **სერგო ფარაჯანოვს.**

მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებასაც, რომ 1972 წლიდან გინზბერგი „საზოგადოებას ნამდვილ მეამბოხედ მოევლინა — დაიწყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მხილება, კრიტიკული თვალით შეხედა ამერიკის მთავრობის დამოკიდებულებას ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ“.

**1970-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში გაიშალა სოციალური მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ჰომოსექსუალი წყვილების ქორწინების იურიდიული დაცვის დასაკანონებლად. ამ მოძრაობას მხარი დაუჭირა ორგანიზაციების მთელმა არმიამ, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ადმინისტრაციული უფლებებით.**

**ქვემოთ წარმოგიდგენთ მათ სრულ ნუსხას.**

ამ პუბლიკაციის ეს მონაკვეთი წასაკითხად შეიძლება მოსაწყენიც კი იყოს, მაგრამ, როგორც დოკუმენტურ მტკიცებულებას, უდავოდ ფასი ადევს.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ნუსხა ერთგვარი ილუსტრაციაა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მორალური გახრწნისა, ეს ერთი; და მეორე — აშკარად ეტყობა ძლიერი და შემძლე ორგანიზატორის ხელი, რომელიც სახელმწიფოზე მაღლაც კი დგას.

„მსოფლიო მთავრობა“ „ოქროს მილიარდის“ უპირველესი მიზნით?

რატომაც არა!

**ახლა კი აღიჭურვეთ მოთმინებით და დაიწყეთ ამ ორგანიზაციების სიის წაკითხვა:**

*ქორწინების პროექტის ალტერნატივა;

*სამოქალაქო თავისუფლებათა ამერიკის კავშირი;

*ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაცია;

*ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაცია;

*ქორწინების თავისუფლება;

*გეებისა და ლესბოსელების დამცველი ადვოკატები;

*გეებისა და ლესბოსელების კავშირი ცილისწამების წინააღმდეგ;

*ადამიანის უფლებათა კამპანია;

*აშშ-ის ქორწინების თანაბარუფლებიანობა;

*ლესბოსელების უფლებათა ეროვნული ცენტრი;

*ქალთა ეროვნული ორგანიზაცია;

*პრესვიტერული ეკლესია;

*რეფორმირებული იუდაიზმი;

*უნივერსიტეტების უნიტარული ასოციაცია;

*ქრისტეს გაერთიანებული ეკლესია;

*გაერთიანებული სოფლის მეურნეობის მუშაკები;

*ეპისკოპური ეკლესია და ა.შ.

**მამათმავალთა ქორწინებას მხარი დაუჭირა მრავალმა პარტიამ, მათ შორის:**

*აშშ-ის კომუნისტურმა პარტიამ;

*აშშ-ის მწვანეთა პარტიამ;

*აშშ-ის ლიბერტარიანელთა პარტიამ;

*აშშ-ის სოციალურმა პარტიამ და ა.შ.

ასევე — ცალკეული შტატების დემოკრატიულმა პარტიებმა.

***1973 წელს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ ჰომოსექსუალიზმი ამოშალა ფსიქიატრიული გადახრების სიიდან. მანამდე კი ამ ასოციაციის ფორმულირებით ეს გადახრა ასე იყო შეფასებული: „ჰომოსექსუალი არის ინდივიდუუმი ემოციური სფეროს გადახრებით, რომელსაც უნარი არ აქვს ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის ფორმირების“. ჰომოსექსუალობა დაავადებად ითვლებოდა 1992 წლამდე, მანამ, სანამ ჰომოსექსუალების პოლიტიკურმა ძალამ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას არ ამოაშლევინა იგი დიაგნოზების სიიდან.**

*1977 წელს სექსუალურ უმცირესობათა შესახებ ინფორმაცია ჩართეს სან ფრანცისკოს სკოლების მოსწავლეთა სქესობრივი აღზრდის სასწავლო პროგრამაში. ამავე ქალაქში პირველად მსოფლიოში გაიმართა გეებისა და ლესბოსელების პირველი კინოფესტივალი. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ნებას რთავს ჰომოსექსუალებს, იმუშაონ ამ უწყების სტრუქტურით გათვალისწინებულ ყველა თანამდებობაზე, მათ შორის, ქვეყნის გარეთაც.

***1978 წელს კალიფორნიელმა მხატვარმა ჯილბერტ ბეიკერმა შექმნა სექსუალური უმცირესობების დროშა.**

*1982 წელს სანფრანცისკოში გაიმართა გეებისა და ლესბოსელების პირველი სპორტული თამაშები. ვისკონსინის შტატმა ადგილობრივ კანონმდებლობაში შეიტანა სექსუალურ უმცირესობათა სამოქალაქო უფლებების დაცვის დებულება.

***1985 წელს მსახიობმა ვანესა რედგრეივმა პირველმა მიიღო „ოსკარის“ პრემია ფილმ „ბოსტონელებში“ ლესბოსელი ქალის როლის შესრულებისთვის, ერთი წლის შემდეგ კი იგივე პრემია მიანიჭეს მსახიობ უილიამ ჰარტს ჰომოსექსუალის განსახიერებისთვის ფილმში „ქალი-ობობას კოცნა“. ერთი წლის თავზე კი გაზეთმა „ნიუ იორკ ტაიმსმა“ თავის ჟურნალისტებს ოფიციალურად მოსთხოვა „ჰომოსექსუალის“ ნაცვლად გამოეყენებინათ სიტყვა „გეი“.**

პრეზიდენტი **ბილ კლინტონი** შეეცადა, კანონმდებლობით გაეუქმებინა აშშ-ის არმიაში ჰომოსექსუალების მსახურების აკრძალვა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ იძულებული შეიქნა, უკან დაეხია. 1993 წელს მიაღწიეს კომპრომისს: პენტაგონი დათანხმდა, არ ეკითხათ სექსუალური ორიენტაციის შესახებ არმიაში სამსახურის მსრულველებისთვის. მაგრამ, თუ სამხედრო მოსამსახურე თვითონ განაცხადებდა ამგვარი გადახრის შესახებ ან შემჩნეული იქნებოდა გარყვნილ ქმედებაში, იგი აუცილებლად გაირიცხებოდა შეიარაღებული ძალების რიგებიდან. ამგვარ პოლიტიკას უწოდეს „არ შეეკითხო, არ თქვა“.

**1999 წელს ამერიკულმა ფსიქიატრიულმა ასოციაციამ მიმართა მსოფლიო ფსიქიატრიულ საზოგადოებას, ამოეღო ყველა სახელმძღვანელო დოკუმენტიდან ჰომოსექსუალიზმის, როგორც ფსიქიური აშლილობის, განსაზღვრა, ე. ი. ეღიარებინა, რომ ჰომოსექსუალიზმი არც ავადმყოფობაა და არც ფსიქიკური გადახრა.**

2003 წელს, ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციამდე ზუსტად 12 წლის წინათ, აშშ უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჰომოსექსუალურ ურთიერთობათა ამკრძალავი კანონები არ შეესაბამება აშშ-ის კონსტიტუციას. ეს ნიშნავს, რომ აშშ-ის ყველა შტატში ჰომოსექსუალიზმი ლეგალიზებულია.

**ერთი წლის შემდეგ ამერიკის სენატმა მიიღო შესწორებები იმ კანონებში, რომლებითაც აშშ-ში ისჯებოდა ე. წ. შეუწყნარებლობის დანაშაული. ამჟამად ასეთ დანაშაულებს მიეკუთვნება სექსუალურ უმცირესობათა წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა და ქმედება.**

ამ ცვლილების წინააღმდეგ გამოვიდა აშშ-ის რამდენიმე რელიგიური ორგანიზაცია, რომლებსაც მოესპოთ ყველა შესაძლებლობა, საჯაროდ გამოთქვან ნეგატიური დამოკიდებულება გეებისა და ლესბოსელების მიმართ. ქრისტიანები შეიძლება დასაჯონ ბიბლიის ციტირებისთვის, რადგან კანონი კრძალავს ჰომოსექსუალიზმის ცოდვად ხსენებას.

დღეს ამერიკის ელიტის ბევრი წარმომადგენელი სიამაყით აცხადებს საკუთარი პერვერსიის — სექსუალური გახრწნილობის — შესახებ.

„ახლა ჩვენ ლეგალურად ვართ დაქორწინებულები, სულ ცოტა, ვაშინგტონში ჩვენი პირველი შეხვედრიდან ოცი წლის შემდეგ“ (მერი ჩეინი).

**ჰომოსექსუალები სხედან დღეს ამერიკის კონგრესში, სასამართლოებში და რელიგიურ მოღვაწეობასაც კი ეწევიან. 2005 წლის თებერვალში გამჟღავნდა, რომ, აშშ-ის ანგლიკანური საეპისკოპოსო ეკლესიის გადაწყვეტილებით, ნიუჯერსის შტატის ეპისკოპოსად დაინიშნა ჯინ რობინსონი, რომელიც არ მალავს თავის ჰომოსექსუალურ ორიენტაციას, ხოლო კანადის ერთ-ერთი ანგლიკანური ეკლესიის გადაწყვეტილებით, ერთნაირსქესიან წყვილებს დაქორწინების ნება დართეს.**

ეგებ იმიტომ, რომ აღზევდა გახრწნილების კულტი აშშ-ში, იმიტომაც, რომ ცნობილი პოლიტიკოსებისა და დიდმოხელეთა ოჯახები ჩაეფლნენ გარყვნილების ჭაობში, ისინი, ეს გამორჩეული პიროვნებები, გაცოფებით იცავენ ლგბტ თემის უფლებებს.

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა **რიჩარდ ნიქსონმა**, რომელიც სან ფრანცისკოს ჰომოსექსუალთა კლუბის „ბოჰემის კლუბის“ (რომლის ხშირი სტუმარია დიკ ჩეინი) კომენტირებისას აღნიშნა:

**„იგი (ეს კლუბი) ამ ქალაქის ვირთხების უბანია. სან ფრანცისკოს უმაღლესი საზოგადოებაც ვირთხების კრებულია... აქ ჩამოდიან აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებნიც. ეს ხომ ყველაზე უფრო ჰომოსექსუალური ეშმაკეთია, იმაზე მეტი, როგორის წარმოდგენაც შეგიძლიათ... ეს არის საშინელება! პირადად მე სანფრანცისკოს არც ერთ მოქალაქეს ხელს არ ჩამოვართმევ!“**

ამ მიმართულებას რუსეთი „ჩამორჩა“. „ნაკლის გამოსწორებას“ ცდილობენ ამჟამად არაკომერციული ორგანიზაციების უცხოური აგენტების წარმომადგენლები, ლიბერალები, მეხუთე კოლონა, დასავლეთის სახელმწიფოების გავლენის აგენტები. **იქ, სადაც გათელილია ტრადიციული ფასეულობები, ნორმალურობის რანგში აღზევებულია დახვეწილი ავხორცობა, იოლია სხვა ისეთი ცოდვების ჩანერგვა, როგორიცაა სიხარბე, მეღიდურობა, შური, მრისხანება, ღორმუცელობა და გაუმაძღრობა, სიზარმაცე და ა.შ. ამ გზით შეიძლება საზოგადოების შიგნიდან დაშლა, მისი საძირკვლის შერყევა და, რაც მთავარია, ამ საზოგადოების უპრობლემოდ მართვა. ადამიანის ისეთი ნაკლოვანებების დაკმაყოფილებით, როგორიცაა სიხარბე, ავხორცობა, მედიდურობა, ადვილია მისით მანიპულირება: აკმაყოფილებ და, ამასთანავე, ართმევ უმთავრესს ღირსებას, სინდისს.** ეს ყველაფერი შესანიშნავად იციან დასავლეთის ფინანსური ელიტების უმაღლესმა წარმომადგენლებმა.

ადამიანებზე ამგვარი ექსპერიმენტის შედეგები კარგად ჩანს უკრაინაში: ნაციზმი, გენოციდი და დეგრადაცია აშკარაა.

დასარულ, გვინდა ვთქვათ: არსებობს უწმინდესი ჭეშმარიტებები, რომლებსაც ვერ გააუქმებს ვერანაირი ამერიკული სასამართლო ან ამერიკის მარიონეტული ფსიქიატრიული ასოციაცია:

**„არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით. ეს სისაძაგლეა“** *(ლევ. 18, 22);*

**„ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა საგინებელ ვნებებს, ვინაიდან ქალებმა მათი ბუნების წესი არაბუნებითით შეცვალეს.**

**ასევე კაცებმაც დაუტევეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი, და გულისთქმით გახურებულნი აღერივნენ ერთმანეთს, მამრი მამრთან იქმოდა სარცხვინელს, და თვითონვე იღებდნენ თავიანთი ცთომის საკადრის სასჯელს“** *(რომაელთა მიმართ, 1,26-27).*

**„ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს? თავს ნუ მოიტყუებთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი“** *(პირველი კორინთელთა მიმართ, 6,9).*



Blame these 4 men for the Beatnik horror

THEIR CULT OF DESPAIR IS DRIVING THE TEENAGERS TO VIOLENCE

გაზეთ „პიპლზის“ 1960 წლის 7 აგვისტოს პუბლიკაცია

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

**დღეს ამერიკა რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირებას ცდილობს — საქართველოში შემოაქვს ნატოს თავდაცვის საშუალებები, რომლებიც თავდასხმის საშუალებებად გადაიქცევა, რადგან რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება. რუსეთისგან საპასუხო რეაქციის შემთხვევაში ამერიკა შეეცდება, მსოფლიო დაარწმუნოს, რომ რუსეთი აგრესორია, ხოლო თვითონ — საქართველოს მეგობარი ქვეყანა. ვინ იქნება დაზარალებული და როგორ მოიქცევიან ამერიკელთა ძაღლისშვილი „ნაც-ქოცები"? — ტრაილერებს დააყენებენ წითელ ხიდთან საქართველოდან გასაქცევად და ნაძარცვი ქონების გასატანად, ხოლო ხალხს ისევე დაიკიდებენ ფეხზე, როგორც 2008 წელს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს მოაზროვნე საზოგადოების ოცნება რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება და ევრაზიული ეკონომიკური სივრცეა

„ფულის უქონლობა კი არა, ნიჭიერთა და მხნე კაცთა უყოლობა ქმნის ერსა ულონოდ"
ფრანსუა ვოლტერი



**საქართველოში რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს, რათა საკანონმდებლო დონეზე ვუთხრათ უარი ერთნაირსქესიანთა ქორწინებასო. ეს იდეა „ეროვნულებს" ეკუთვნით, რომელიც „პატრიოტებმაც" აიტაცეს და საარჩევნო გამოკითხვის ფორმატშიც გამოიყენეს.**

21-ე საუკუნის საქართველოში რატომ გაჩნდა შეკითხვა — თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის? ანუ გვეკითხებიან: თანახმა ხართ თუ არა, რომ კაცმა კაცთან სექსუალური ურთიერთობა დაამყაროს? ვის და რატომ მოუვიდა აზრად, ამ სამარცხვინო, ღირსებისშემლახველ აქტზე ხმაურის ატეხვა?!

**ეს აზრად არავის მოსვლია მუსლიმანური სამყაროს გავლენის ქვეშ მოქცეულ და დამონებულ საქართველოში, მაგრამ ეს იდეა გაჩნდა ე.წ. ცივილიზებულ სამყაროსთან „პარტნიორობის" შედეგად.** არც ერთ ეროვნულ და პატრიოტ მუსლიმს აზრად არ მოუვა, მსგავსი შეკითხვის დასმა გაუბედოს საკუთარ მოსახლეობას, რადგან ეროვნული იდეოლოგია და რწმენა სახელმწიფო მმართველობის დონეზე აქვთ აყვანილი. **საქართველოში იმიტომ ბედავენ მსგავსი უზნეობის დამკვიდრებას, რომ ხელისუფლებაში მოსულ მარიონეტებს მხოლოდ დასავლეთიდან წამოსული დირექტივების გატარება ევალებათ და სახელმწიფოს ეროვნული იდეოლოგია არ აქვს.**

როცა 200 ათას ხელმოწერას შეაგროვებენ „ეროვნულები" თუ „პატრიოტები", ჩათვლიან რომ უდიდესი მამულიშვილური საქმე გააკეთეს და ჩვენ „ბედნი ერი" ვიქნებით, რადგან ქართველები მსოფლიო ისტორიაში პირველნი იტყვიან: „არა სიბილწეს!" ამის შემდეგ „ეროვნულები" აანონსებენ, რომ ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და უცხოელებისთვის მიწის გაყიდვასაც შეეწინააღმდეგებიან.

ექიმი, როცა მასთან ავადმყოფი მიდის, თავდაპირველად ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებს იკვლევს. ეს სიბილწეც, რომელიც გარე ძალებმა მოგვახვიეს თავს, ავადმყოფობაა, ხოლო მისი გამომწვევი მიზეზი კი ე.წ. ევროინტეგრაციაა. **იქნებ უზნეობის სინდრომი შეგვეყარა მას შემდეგ, რაც ფსიქოპათი სააკოვი ვაზოგინეთ ქვეყანაში 10 წლის განმავლობაში?** ეს დაავადება, როგორც ჩანს, გადამდებია; აბა, საიდან მოაგროვა ამდენი ჩირქგროვა თავის გარშემო ამ მანიაკმა? რატომ გავიხადეთ მსჯელობის საგნად ეს სიბილწე? **რატომ ვებრძვით შედეგს და არა მიზეზს? რატომ არ ვსაუბრობთ საგარეო კურსის ცვლილებაზე, რომელიც ყველა უზნეობას წერტილს დაუსვამს?** — იმიტომ, რომ არც ერთნი არიან „ეროვნულები" და არც მეორენი — „პატრიოტები", ორივე ბედკრული საქართველოს უძლები შვილია. „პატრიოტი" **თარხან-მოურავი** ტელეეთერიდან გვმოძღვრავს, ჩვენი ეროვნული მეფეები ლავირებდნენ და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთო. დიახ, ლავირებდნენ მუსლიმანურ სახელმწიფოებს შორის მართლმადიდებლობის გადასარჩენად, მაგრამ **ჩვენ ვისთან ან რასთან ვლავირებთ — ჰომოსექსუალიზმსა და მართლმადიდებლობას შორის?!** რატომ უნდა შევეწინააღმდეგოთ დასავლელი პრიმიტივების ბინძურ თავებში მოხარშულ სიბილწეს? ახლახან პარლამენტმა ერთსულოვნად დაამტკიცა ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ოჯახების გახლეჩისკენ არის მიმართული. **იუვენალური იუსტიციის გავლენით ნორვეგიაში 5 შვილი წაართვეს ოჯახს. პირველი შვილის წართმევის მიზეზი კი ბავშვის მიერ საბავშვო ბაღში მართლმადიდებლური ლექსის წაკითხვა იყო.**

თუ ბრიტანელებმა თავიანთი ეროვნული ინტერესების შესაბამისად უთხრეს უარი ევროკავშირს, **ქართული სახელმწიფოს ქართული ოცნება ეროვნული იდეოლოგიისგან დაცლილ ამერიკულ ოცნებად იქცა და ხელისუფლების ინტერესი მხოლოდ ფული და ძალაუფლებაა, რომლის სანაცვლოდაც უზნეო კანონებს იღებენ და გაუკუღმართებულ სექსურთიერთობას აკანონებენ საქართველოში.** ამ ცნობიერების ადამიანები ზემოაღნიშნული იდეის პრაქტიკულად განხორციელებაზეც არ იტყვიან უარს დასავლელ პრიმიტივებთან, რათა დაუმტკიცონ, რომ „ერთხორც" და „ერთსულ" არიან, რადგან ცნობიერება განსაზღვრავს მზადყოფნას შესაბამისი აქტის ჩასადენად. პოლიტიკანები და ოპოზიციის ერთი ნაწილი საკუთარ თავს სთავაზობენ დასავლეთს და უკეთეს პარტნიორობას ჰპირდებიან — ეს კი პოლიტიკური პროსტიტუციაა. **სხეულით მოვაჭრე მეძავებისაგან განსხვავებით, პოლიტიკანი-ლიბერასტები საქართველოს, დედასამშობლოს, გვიყიდიან.** პოლონეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა — **რადოსლავ სიკორსკიმ** პოლონეთისა და ამერიკის ურთიერთობა ორალურ სექსს შეადარა. მსგავსი შედარება საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობასაც მიესადაგება.

**რატომ არ ეწინააღმდეგებიან ე.წ. ეროვნულები თუ პატრიოტები საგარეო კურსს? პასუხი მარტივია — სასწორზე მათი პარლამენტარობა დევს.** პრემიერის განცხადების თანახმად, ვისაც კითხვები უჩნდება საქართველოს საგარეო კურსის მიმართ, მისი ადგილი პარლამენტში არ არის. თუმცა ამ განცხადებამდეც თავქუდმოგლეჯილნი დარბოდნენ დასავლეთსა და ამერიკაში „პატრიოტთა ალიანსის" წევრები და თავს „მაღალი დონის" სენატორებთან ურთიერთობით იწონებდნენ. ახლა ევროპიდან აპირებს ეს ძალა მეზობელ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას. პოლიტიკანების სირბილს ევროპაში კი ერთი ქართული ანდაზის პერიფრაზი სრულიად შეესაბამება: „ძაღლი შინ არ ვარგოდა და ევროპაში გარბოდაო".

**დასავლეთისგან თავსმოხვეულ სიმახინჯეებს თავი რომ დავაღწიოთ, ერთადერთი გზა არსებობს: უარი უნდა ვუთხრათ დასავლეთს და რუსეთთან გავაფორმოთ სამოკავშირეო ხელშეკრულება, მაგრამ ამერიკულ ოცნებას, ჩვენი ხელისუფლების სახით, სად აქვს ღირსება და თავმოყვარეობა?!**

* დღეს საქართველოს დაცვა სჭირდება არა რუსეთისგან, არამედ ე.წ. ცივილიზებული კანიბალებისგან, გახრწნილი სამყაროსგან, რომლისგან უკვე ყროლის სუნი მოდის!

*** დღეს საქართველოს, ლიბერასტ-პედერასტები კი არა, რადიკალი ქართველები სჭირდება, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულნი, უარს ეტყვიან ევროპიდან თავსმოხვეულ ყოველგვარ სიმახინჯეს.**

* საქართველოს ჭეშმარიტი მამულიშვილები, ის ქართველები და არაქართველები გადაარჩენენ, რომლებსაც უანგაროდ უყვართ საქართველო და სამშობლოდ მიაჩნიათ!

*** დღეს საქართველო უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგას, ვიდრე მუსლიმანური სახელმწიფოების გავლენის შედეგად იდგა და პატრიოტის ნიღაბაფარებული, ამერიკულ ოცნებად ქცეული ხელისუფლება ამ საფრთხეს ვერ აგვაცილებს. ეს მისია საზოგადოებამ უნდა იტვირთოს, რადგან საქართველოს მოაზროვნე საზოგადოების ქართული ოცნება რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება და ევრაზიული სივრცეა.**

„მე არც ამერიკა მინდა და არც რუსეთი, მაგათი დედაც..." — ხშირად მოისმენთ საქართველოს ყალბი გულშემატკივრებისგან. ამ ცნობიერების ადამიანებს ვეკითხები: **თურქეთის მიერ აჭარის დაპყრობა გინდათ? სომხური ლობის გაძლიერება გინდათ, რომლის ძალისხმევითაც გერმანიამ თურქების მიერ სომხების გენოციდი აღიარა? ჯავახეთის დაკარგვაც გინდათ ამ ლობის გავლენით?** აფხაზეთში ეს ლობი განსაკუთრებით გაძლიერდა, სომხების რაოდენობამ აფხაზების რაოდენობას გადააჭარბა და ავტონომიასაც ითხოვენ. 2008 წლის ომის შემდგომ ქართული ბიზნესი რუსეთში სომხებმა ჩაიგდეს ხელში და ამ ყოველივეს გაანალიზება სჭირდება. ჩვენ რა გვინდა — ამაზე ფიქრმა დაღუპა ქვეყანა, საქართველოს რა გადაარჩენს, იქნებ, ამაზე ვიფიქროთ? არ ვგულისხმობ იზოლაციას სხვა ქვეყნებისგან, მაგრამ, **თუ გვინდა, რომ ზნეობრივი ღირებულებების და ტრადიციების მქონე ერად დავრჩეთ, რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება უნდა გავაფორმოთ.** რატომ ცხოვრობენ უფრო მშვიდად სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები — აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი? იმიტომ, რომ შეინარჩუნეს რუსეთთან სტაბილური ურთიერთობა, არ ინდომეს დასავლური ლიბერალიზმი, თუმცა მათ მოხიბლვას დღესაც ცდილობენ. ყველაზე სულგაყიდული კი საქართველოს ხელისუფლება აღმოჩნდა შევარდნაძიდან დაწყებული დღემდე.

რა ქნას ბიძინამ, ეს პოლიტიკა უნდა გაატაროს, ყველაფერს ხომ არ დაკარგავსო, — ვერ ისვენებენ ბიძინისტები. რა თქმა უნდა, არ უნდა დაკარგოს, ამისთვის კი მზად უნდა ვიყოთ, საქართველოს მოაზროვნე საზოგადოებასთან ერთად უფსკრულში გადავჩეხოთ, გავმათხოვრდეთ, ზნეობა დავკარგოთ, უცხო თესლის მონად ვიქცეთ?! საქართველოს მოსახლეობის ქართული ოცნება ბიძინას ფინანსური კეთილდღეობაა სახელისუფლო მარიონეტებთან ერთად?! **საქართველო ბიძინას წილხვედრი ქვეყანაა თუ ღვთისმშობლის?** საიდან ასეთი ლოგიკა, ბიძინისტებო?! პოლიტიკური მეძავების დრო უნდა დასრულდეს: ქართველებს ქვეყნის გადაქცევა არც სააკოვის სინგაპურად გვინდა და არც ივანიშვილის დუბაიდ. ჩვენ **ჩვენი საქართველო უნდა დავიბრუნოთ — ყვავილების ქვეყანა, რომელიც ნაბიჭვრების ქვეყნად გვიქციეს.** დღეს თამარის, დავითის, ილიას საქართველო საფრთხეშია და კვლავ გვიხმობს. **თუ ადრე გამუსლიმანებისგან გვიხსნა რუსეთმა, დღეს მის გარეშე უფრო დიდი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით. რუსეთის სიძლიერე ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და მართლმადიდებელ ქართველებად დარჩენის გარანტია.**

**დღეს ამერიკა რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირებას ცდილობს — საქართველოში შემოაქვს ნატოს თავდაცვის საშუალებები, რომლებიც თავდასხმის საშუალებებად გადაიქცევა, რადგან რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება. რუსეთისგან საპასუხო რეაქციის შემთხვევაში ამერიკა შეეცდება, მსოფლიო დაარწმუნოს, რომ რუსეთი აგრესორია, ხოლო თვითონ — საქართველოს მეგობარი ქვეყანა. ვინ იქნება დაზარალებული და როგორ მოიქცევიან ამერიკელთა ძაღლისშვილი „ნაც-ქოცები"? — ტრაილერებს დააყენებენ წითელ ხიდთან საქართველოდან გასაქცევად და ნაძარცვი ქონების გასატანად, ხოლო ხალხს ისევე დაიკიდებენ ფეხზე, როგორც 2008 წელს.**

კატეგორიულად ვემიჯნები ყველა იმ ძალას, რომელსაც კურსი ევროპისკენ აქვს აღებული. ამ ვექტორმა დაგვაკარგვინა ეროვნება და მამის სახელი; მიგვაღებინა ღირსების შემლახველი ანტიდისკრიმინაციული კანონი; კანონიერ ჩარჩოებში მოაქცია კრიმინალი და მის რეანიმაციას ცდილობს „ნაცების" სახით; გამოიწვია საზოგადოების ზნეობრივი დეგრადირება, განსაკუთრებით — ახალგაზრდების; ქართული მიწები უცხოელებზე იყიდება, რაც სოფლის მეორნეობასაც დაანგრევს და მალე ქართველი დომინანტი აღარ იქნება საქართველოში; გაუსაძლისმა გაჭირვებამ გააძლიერა ქართველთა მიგრაცია საქართველოდან, მათ ადგილს კი უცხო თესლი იკავებს. ამ კურსის გაგრძელება კვლავ ამერიკისა და ევროპის დიქტატის ქვეშ ცხოვრებას ნიშნავს. **არც „ქოცი" ვარ, არც — „ნაცი", არც — „რესპი", მაგრამ, როგორც რიგითი რადიკალი ქართველი და სტალინის თანამებრძოლის შვილიშვილი, ვემიჯნები „ეროვნულების" მიერ დაანონსებულ რეფერენდუმს. რეფერენდუმი მხოლოდ საგარეო კურსის ცვლილებას უნდა ისახავდეს მიზნად, რომელშიც მონაწილეობას ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებიც მიიღებენ!**

**იზა თამაზაშვილი**

# «საქართველოს რადიკალი ქართველები სჭირდება და არა ლიბერასტ-პედერასტები»

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ახალ ჯუჯა პლანეტას აქვს საკმაოდ უცნაური ორბიტა. ის თითქმის ორჯერ შორს მდებარეობს, ვიდრე ნეპტუნი მზისგან და დაახლოებით 120-ჯერ დიდია დედამიწის ორბიტაზე. მიუხედავად იმისა, რომ RR245 ნეპტუნის მიღმა განლაგებულ სხვა ობიექტებზე უკეთ მოჩანს, ჯუჯა პლანეტის ზუსტი ზომები ჯერ უცნობია. მეცნიერები ვარაუდობენ: ის ან ძალიან დიდია, მაგრამ მქრქალი; ან — პატარა და ნათელი.

# რა მოსდის ტვინს ძილის წინ სმარტფონის მოხმარების შემთხვევაში



**თუ ტვინი მავნე ნივთიერებებისგან არ გათავისუფლდება, ადამიანს ფიქრი და კონცენტრაცია უჭირს, ექმნება მეხსიერების პრობლემები, აქვს შენელებული რეაქცია, ხშირია, მეხსიერების ჩავარდნაც.**

ახალი ამბების გაცნობა ტრანსპორტში, მეგობრებთან საუბრისა და სადილის დროს; სიარულისას შეტყობინების კითხვა; ნებისმიერ დროს სმარტფონის ეკრანზე მიშტერება... ასეთი საქციელით ვერავის გააკვირვებთ. მეცნიერებმა დაითვალეს და აღმოჩნდა, რომ თანამედროვე, მოდური ტელეფონის მფლობელიებ სიახლეებს საშუალოდ ყოველ 6 წუთში ერთხელ ამოწმებენ. ყველამ მიიღო ეს ფაქტი და შეეგუა, მაგრამ მკვლევარებმა არ შეწყვიტეს ამ მიმართულებით ძიება, რადგან სმარტფონების გავლენა ჯანმრთელობაზე აშკარაა. როგორც აღმოჩნდა, **სმარტფონის გამოყენებას ყველაზე დიდი ზიანი ძილის წინ მოაქვს.**

ძილი მგრძნობიარე ფიზიოლოგიური პროცესია. იმისთვის, რომ ადამიანმა სწრაფად დაიძინოს და ენერგიის აღდგენა შეძლოს, ორგანიზმში გარკვეული სახის ჰორმონები უნდა გამოიყოს. ამისთვის კი გარკვეული პირობებია საჭირო: საძინებელი განიავებული უნდა იყოს, ბნელოდეს და ადამიანი კომფორტულად გრძნობდეს თავს. სმარტფონის განათებული ეკრანი ნამდვილად ვერ მოხვდება ძილისთვის იდეალური პირობების ჩამონათვალში, რადგან ეკრანის სინათლე ხელს უშლის მელატონინის ჰორმონის გამომუშავებას, რომელიც დაღლილობის განცდასა და ძილის მოთხოვნილებას იწვევს. სმარტფონის ეკრანიდან მომდინარე ფოტონები სიგნალს იძლევა: „ჯერ ძილის დრო არ არის“. შედეგად, ჩაძინების პროცესი ნელა მიმდინარეობს და საჭიროზე ნაკლები სძინავს ადამიანს.

**მეცნიერები იმასაც ხსნიან, რატომ არის საჭირო მშვიდი ძილი, ორგანიზმის ნორმალური ფუნქციობისთვის:** 7-9 საათის განმავლობაში ნეირონებმა სრულად უნდა დაისვენონ. გარდა ამისა, ტვინი უნდა გაიწმინდოს ნეიროტოქსინებისგან (ტოქსიკური ნივთიერება, რომელიც ნერვულ უჯრედებზე მოქმედებს). ეს კი მხოლოდ ხანგრძლივი ძილისას არის შესაძლებელი. **თუ ტვინი მავნე ნივთიერებებისგან არ გათავისუფლდება, ადამიანს ფიქრი და კონცენტრაცია უჭირს, ექმნება მეხსიერების პრობლემები, აქვს შენელებული რეაქცია. ხშირია, მეხსიერების ჩავარდნაც. ადამიანი, რომელსაც ცოტა სძინავს — ზომბირდება.** ეს კი ძალიან დიდი მსხვერპლია... გაერთეთ, რა თქმა უნდა, მაგრამ უშუალოდ ძილის წინ — არა!




# მზის სისტემაში კიდევ ერთი ჯუჯა პლანეტა აღმოაჩინეს

**პლანეტა ნეპტუნთან ახლოს პატარა ყინულოვანი სამყაროების მთელი წრეა, რომელსაც, მეცნიერთა აზრით, შეუძლია მოგვითხროს ჩვენი მზის სისტემის ადრეულ ისტორიაზე.**

გამოიყენეს რა ჰავაიზე მაუნა კეაზე მდგარი ტელესკოპი, ასტრონომებმა აღმოაჩინეს ახალი ჯუჯა პლანეტა იქ, სადაც ჩვეულებრივ მოჩანდა ხოლმე პლუტონი და ერიდა. ახალმა ჯუჯა პლანეტამ მიიღო სამუშაო სახელწოდება RR245.

მსგავსი მოცულობის ობიექტის შემჩნევა ნეპტუნის მიღმა ადვილი სულაც არ არის. დოქტორ **მიშელ ბანისტერი**, რომელმაც ეს პლანეტა აღმოაჩინა, ამბობს:

„ნეპტუნის მიღმა არსებულმა ყინულოვანმა სამყარომ, შესაძლოა, გვიამბოს, როგორ ყალიბდებოდა და შემდეგ როგორ დაშორდა მზეს ჩვენი სისტემის გიგანტური პლანეტები. ისინი დაგვეხმარებიან ჩვენი მზის სისტემის ისტორიის ერთ მთლიანობად შეკვრაში. სასიამოვნოა, რომ ვიპოვეთ ასეთი ობიექტი“.

ახალ ჯუჯა პლანეტას აქვს საკმაოდ უცნაური ორბიტა. ის თითქმის ორჯერ შორს მდებარეობს, ვიდრე ნეპტუნი მზისგან და დაახლოებით 120-ჯერ დიდია დედამიწის ორბიტაზე. მიუხედავად იმისა, რომ RR245 ნეპტუნის მიღმა განლაგებულ სხვა ობიექტებზე უკეთ მოჩანს, ჯუჯა პლანეტის ზუსტი ზომები ჯერ უცნობია. მეცნიერები ვარაუდობენ: ის ან ძალიან დიდია, მაგრამ მქრქალი; ან — პატარა და ნათელი.

მეცნიერები RR245-ის ორბიტის ზუსტი ტრაექტორიის დადგენას აწი აპირებენ. ასტრონომები განაგრძობენ მასზე დაკვირვებას და მის შესწავლას, მხოლოდ ამის შემდეგ მისცემენ მას ოფიციალურ სახელწოდებას.



# 75 წლის პელე მესამედ დაქორწინდა



**ფეხბურთის მეფის რჩეულია იაპონური წამოშობის 50 წლის ბრაზილიელი ქალბატონი მარსია სიბელა აოკი.**

პელემ აოკი ჯერ კიდევ 1980-იან წლებში გაიცნო, მაგრამ შემდგომ მათი გზები გაიყარა. 2010 წელს ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ლიფტში და მას შემდეგ წყვილი ერთმანეთს არ დაშორებულა. ქორწილი შარშან უნდა გამართულიყო, მაგრამ პელეს ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადაიდო.

ქორწილი 9 ივლისს გაიმართა სან-პაულუს სანაპიროზე. საზეიმო ღონისძიებას 120 სტუმარი ესწრებოდა. პელესთვის ეს მესამე ქორწინებაა, ხოლო აოკისთვის — მეორე. წინა ქორწინებებიდან ლეგენდარულ ფეხბურთელს 5 შვილი ჰყავს. მათგან სამი პირველი ცოლისგან — **როზმარი შოლბისგან**, რომელთან ერთად პელე 16 წელი ცხოვრობდა, ხოლო ორი შვილი — გოსპელის მომღერალ **ასირია ლემოს სეშალისგან**, რომელთანაც 14 წელი გაატარა.

# 80 წლის ბოდიბილდერი ბებო — ერნესტინა შეპარდი

**ამ ქალბატონს ახლახან შეუსრულდა 80 წელი. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ის პროფესიონალი ბოდიბილდერია.**



მისი ასაკის ქალბატონები ან სახლში ფუსფუსებენ, ან შვილიშვილების აღზრდითა და „ჭკუის სწავლებით“ არიან დაკავებულნი, ეს ქალბატონი კი რკინის სავარჯიშო ინვენტართან ატარებს მეტ დროს და ყოველდღიურად ახალგაზრდებისათვის შესაშურ მანძილზეც დარბის.

ბოდიბილდინგმა და სირბილმა საოცარი კვალი დაატყო 80 წლის ქალბატონის გარეგნობას. მისი სხეულის შემხედვარე, ვერავინ იტყვის, რომ ეს ბალტიმორელი ქალბატონი 80 წლისაა.

1936 წელს დაბადებული ერნესტინა შეპარდი სპორტულ დარბაზში სავარჯიშოდ პირველად 1992 წელს მივიდა, როცა 56 წლის იყო.

მიუხედავად ასაკისა, მან შეძლო ამ არცთუ მარტივ სპორტში მოეგო რამდენიმე ტურნირი და მიეღო რამდენიმე პრესტიჟული ტიტული.

მისი მიღწევები არ დარჩენილა გინესის რეკორდების წიგნის მესვეურების ყურადღების მიღმა და მას მიანიჭეს ყველაზე ასაკოვანი ბოდიბილდერი ქალბატონის ტიტული, რომელსაც კი მონაწილეობა მიუღია ოფიციალურ შეჯიბრებებში ბოდიბილდინგის ისტორიაში.

„რკინის ბებო“ გულღიად საუბრობს წარმატებების მიზეზებზე, მისი აზრით, ეს სარის: მკაცრი დისციპლინა, მაღალი მოტივაცია და ჯოჯოხეთური შრომა (ვარჯიში).

ეს ქალბატონი, ამინდის მიუხედავად, დგება ღამის 3 საათზე და იწყებს სირბილს (საშუალოდ კვირაში 130 კილომეტრს დარბის), მიირთმევს დაბალკალორიულ საკვებს და იღებს დიდი რაოდენობით წყალს. ერნესტინა შეპარდი აღიარებულია ყველაზე ასაკოვან ბოდიბილდერად მსოფლიოში. ქალბატონი მიღწეულ წარმატებებს არ სჯერდება და კვლავაც თავდაუზოგავად ვარჯიშობს.

„სიცოცხლისთვის ბრძოლა — ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მჟავიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. სიბერე, ენერგიის უკმარისობა, ცუდი განწყობა, თავის ტკივილი, ალერგია, ეგზემა, გულის დაავადებები, ასთმა და ათეროსკლეროზი სხვა არაფერია, თუ არა ორგანიზმში დაგროვილი მჟავიანობა“.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ ვებრძოლოთ კიბოს? — გერმანელი მეცნიერის სენსაციური განცხადება

**მედიცინაში გამუდმებით დავობენ იმაზე, როგორ ჩნდება და რატომ მრავლდება ადამიანის ორგანიზმში კიბოს უჯრედები. გერმანელი მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ნობელის პრემიის ლაურეატის — ოტო ჰენრიხ ვარბურგის აზრით, კიბოს იწვევს ჟანგბადის მწვავე უკმარისობა ორგანიზმში.**

1931 წელს **ოტო ჰენრიხ ვარბურგმა** ნობელის პრემია მიიღო ნაშრომისათვის „კიბოს გამომწვევი მიზეზები და მისი პროფილაქტიკა“. დისერტაციაში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, რა იწვევს კიბოს და როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება.

მარტივად რომ ვთქვათ: **თუ ორგანიზმი ჟანგბადის დეფიციტს განიცდის, „იჟანგება“ და მასში შედარებით სწრაფად ვრცელდება კიბოს უჯრედები.** ვარბურგმა აღმოაჩინა, აგრეთვე, რომ კიბოს უჯრედები ანაერობულები არიან და არ შეუძლიათ გამრავლება ჟანგბადის გარემოში, ანუ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზმში ტუტე გარემოა.

მეცნიერი ამბობს, რომ საკვები, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, ძირითადი განმსაზღვრელია ორგანიზმის pH დონისა და ხშირ შემთხვევაში სწორედ ისაა ამ მაჩვენებლის გამაწონასწორებელი.

**ჩვენს ორგანიზმს სჭირდება, რომ მასში PH დონე მუდმივად იყოს 7,345; თუ თქვენი PH დონე გაცილებით დაბალია, იცოდეთ, რომ ეს გამოწვეულია არასწორი კვებით.**

უჯრედების ნორმალური ფუნქციობა შეიძლება დარღვეული იქნას არაბალანსირებული pH დონით, რაც იწვევს მრავალი დაავადების გაჩენას, როგორიცაა ოსტეოპოროზი, კუჭის მომატებული მჟავიანობა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, დიაბეტი და, რა თქმა უნდა, კიბო. ეს მაჩვენებელი აჩქარებს, აგრეთვე, დაბერების პროცესს.

ჩვენს ორგანიზმში მრავალ ბაქტერიას, ვირუსს, პარაზიტს, ინფექციურ სოკო კანდიდას (რომელიც ითვლება კიბოს გამომწვევად) შეუძლია „დაბინავება“ და არსებობა, მაგრამ, თუ მოვახერხებთ, pH ოდნავ მაინც გავატუტიანოთ, ისინი მალე დაიღუპებიან.

იმისათვის რომ დიდხანს და ბედნიერად ვიცხოვროთ, უბრალოდ, შეწყვიტეთ ცხიმიანი, ტკბილი საკვებისა და გაზიანი სასმელის შეძენა, დაივიწყეთ სწრაფი კვების ობიექტების, ბურგერების, კრემიანი ფუნთუშების შესახებ; გადადით ჯანსაღ კვებაზე, რომელიც მდიდარი იქნება ვიტამინებითა და მინერალებით.

**შაქარი საწვავია კიბოსთვის!**

თუ გამოვრიცხავთ ყოველდღიური რაციონიდან შაქარს, ჩვენ ამით შევძლებთ დიდი ინვესტიციების ჩადებას ჩვენივე მომავალში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცოცხლეს გავიხანგრძლივებთ, გვექნება კარგი ჯანმრთელობა სიბერემდე და მინიმუმამდე დავიყვანთ ისეთი სერიოზული დაავადებების გაჩენის საფრთხეს, როგორიც კიბოა.

მეცნიერი ოტო ვარბურგი საუბრობდა კიბოსა და შაქარს შორის არსებულ კავშირზე, კონკრეტულად კი იმაზე, თუ როგორ „უყვარს“ სიმსივნეს ის ადამიანები, რომლებიც დიდი რაოდენობით შაქრის ან გლუკოზის შემცველ პროდუქტებს მიირთმევენ.



მიუხედავად მსგავსი ინფორმაციის არსებობისა, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და უამრავი სამედიცინო აღმოჩენების ფონზე, ექიმებს არ უყვართ თავისი პაციენტებისთვის იმის თქმა, რომ სრულად შეწყვიტონ ზოგიერთი პროდუქტის მიღება, იმისთვის რომ ეფექტიანად ებრძოლონ ისეთ სერიოზულ დაავადებას, რომლის სახელიც კიბოა; დაავადება, რომელიც არც ბავშვს ინდობს და არც ზრდასრულ ადამიანს, და რომლის ანტიდოტი დღემდე არ აღმოუჩენიათ.

გერმანელმა ფიზიოლოგმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, წამყვანმა ბიოქიმიკოსმა, რომელიც კვლევებს ატარებდა აღნიშნულ სფეროში, დაადგინა რომ არსებობს ერთი საშუალება რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ავადმყოფობის პრევენცია. მის ნაშრომებში წერია, რომ **აუცილებელია საკვების შეზღუდვა — არ უნდა ჭამოთ ყველაფერი, რაც გემრიელია. უმჯობესია, იკვებოთ იმით, რაც სასარგებლოა და შესაძლოა, ასეთ შემთხვევაში კიბო თქვენი ორგანიზმით არ „დაინტერესდეს“.**

**რომელი საკვები მატებს მჟავიანობას და რომელი ტუტიანობას?**

**მჟავიანობას მატებს:**

* რაფინირებული შაქარი და ყველა სხვა პროდუქტი, რომლებიც მისი დამატებით მიიღება;
* ყველა სახის ხორცი;
* რძე და რძის პროდუქტები;
* ხორბლის თეთრი ფქვილი და ყველა სახის ფქვილოვანი ნაწარმი;
* რაფინირებული მარილი;
* პურ-ფუნთუშეული;
* მარგარინი;
* გაზიანი სასმელები;
* კოფეინი;
* ალკოჰოლი;
* ნებისმიერი მოხარშული საკვები, მათ შორის მოხარშული ბოსტნეული;
* პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ კონსერვანტებს, საღებავებს, არომატიზატორებს, ფერმენტებს;
* ყველა სახის წამალი.

**ტუტიანობას მატებს:**

* ყველანაირი უმი ბოსტნეული (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს მჟავე გემო აქვს, ისინი ორგანიზმში ტუტე რეაქციებს იწვევს);
* ხილი;
* კაკალი, თხილი, ნუში... ყველა სხვა სახის თხილეული;
* მარცვლოვანები, ოღონდ არა რაფინირებული;
* თაფლი, რომელსაც ტუტიანობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს;
* მცენარეული ქლოროფილი, განსაკუთრებით ეფექტიანია ალოე;
* წყალი, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ჟანგბადით გამდიდრებისთვის;
* ფიზიკური ვარჯიში, რომელიც ამარაგებს ორგანიზმს ჟანგბადით.

გერმანელი მეცნიერი წერდა: **„სიცოცხლისთვის ბრძოლა — ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მჟავიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. სიბერე, ენერგიის უკმარისობა, ცუდი განწყობა, თავის ტკივილი, ალერგია, ეგზემა, გულის დაავადებები, ასთმა და ათეროსკლეროზი სხვა არაფერია, თუ არა ორგანიზმში დაგროვილი მჟავიანობა“.**

აი, მაღალი მჟავიანობის წინააღმდეგ ბრძოლის უმარტივესი რეცეპტი, რომელსაც ვარბურგი გვთავაზობს:

ავიღოთ ერთი ჩაის კოვზი სოდა და ორი ჩაის კოვზი ლიმონის წვენი ან ვაშლის ძმარი, შევურიოთ ერთმანეთს და აშიშხინებულ მასას კიდევ დავამატოთ ცოტაოდენი სოდა მანამ, სანამ ნარევი არ დაცხრება. ეს მასა ჩავასხათ 1 ჭიქა წყალში და დავლიოთ.

გააკეთეთ ეს დღეში ორჯერ და შედეგიც არ დააყოვნებს — ორგანიზმის ტუტე გარემო და მიკრობებთან და ინფექციებთან ბრძოლის უნარი გარანტირებული გექნებათ.



# ორიგამი — რობოტი კაფსულში, რომელიც დაეხმარება ქირურგებს

პატარა რობოტი თავსდება ყინულის კაფსულში, რომელიც მოცულობით არ აღემატება აბს. როგორც კი კაფსული გადნება, ის იწყებს მოქმედებას. რობოტის შიგნით მოთავსებული მაგნიტი არა მხოლოდ საშუალებას აძლევს სპეციალისტს, გადააადგილოს მოწყობილობა საჭირო მიმართულებით, არამედ უფრო რთულ რამეშიც დაეხმაროს — „პატარა“ კარგად იკრავს მომცრო უცხო სხეულებს, ამიტომ მისი დახმარებით გაცილებით ადვილია სხეულიდან პატარა ბურთულისა თუ ჭანჭიკის ამოღება, ერთი სიტყვით, ყველაფრის, რისი პირში ჩადებაც და გადაყლაპვაც უყვართ ბავშვებს.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევარები რამდენიმე წელია, მუშაობენ მსგავს მოწყობილობაზე. როგორც ჩანს, მეცნიერები სულ უფრო ხვეწენ თავიანთ გამოგონებას.

პროფესორი **დანიელა რუსი**, რომელიც კურატორობს ორიგამის რობოტებს, მოხარულია, რომ პატარა, თუმცა ჯერ კიდევ საკმაოდ პრიმიტიული მოწყობილობა, რომელიც მისმა გუნდმა შექმნა, ძალიან მალე გამოადგება სამედიცინო პერსონალს მუშაობაში.

ჩვეულებრივი რობოტი, რომელიც იმართება და მიბმულია სადენზე, ყოველთვის მოსახერხებელი როდია. პატარა ორიგამი ჯერ საკმარისად ჭკვიანი არ არის ავტონომიური მუშაობისთვის, ამიტომ მეცნიერთა ჯგუფი ამჟამად მის სრულყოფაზე მუშაობს. **იგეგმება რობოტი-ორიგამების კონსტრუქციის იმგვარად გადაკეთება, რომ მათ შეძლონ მოძრაობა დამოუკიდებლად — შიგა მაგნიტური ველის დაუხმარებლად.**

# თევზი-მოჩვენება წყნარ ოკეანეში

**ოკეანისა და ატმოსფეროს კვლევის ამერიკის ეროვნული სამმართველოს (National Oceanic and Atmospheric Administration, NOAA) მეცნიერთა ჯგუფი კვლევას ატარებს მარიანას ღრმულში.**

ამჯერად ღრმულის ფსკერზე კიდევ ერთი უცნაური არსება — თევზი-მოჩვენება (ძალიან ჰგავს მოჩვენება კასპერს) აღმოაჩინეს, რომელიც დღემდე ცოცხალი არავის უნახავს, მაგრამ სამეცნიერო წყაროებში მის შესახებ ინფორმაცია მოიძებნეოდა. **ის პატარა ზომის (დაახლოებით, 10 სმ-ის სიგრძის) წვრილტანიანი თევზია დიდი თავით.**



მას არც საცურაო ბუშტი აქვს, არც ქერცლი და, ფაქტობრივად, „შეშველია“, კანი მთლიანად დეპიგმენტირებულია, მხედველობის ორგანოს ფუნქცია — დაქვეითებული, სუსტად აქვს განვითარებული ძვლოვანი ჩონჩხი; ეკუთვნის სხივფარფლიანი თევზების — აფიონიდების (Aphyonidae) ოჯახს.

**ჰიდროსტატიკური ორგანოს არარსებობის გამო, მისი ბინადრობის არეალი ზღვებისა და ოკეანეების ფსკერია — 2000-6000 მ სიღრმეზე.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლგაზრდობის შენარჩუნების საიდუმლო ორგანიზმის ხარისხიანი წყლით და იმ რაოდენობით მომარაგებაშია, რომელიც აუცილებელია ნორმალური ნივიერებათა ცვლის პროცესისთვის.**

# ეს ყველამ უნდა იცოდეს!



## როგორ გარდაქმნის ცივი წყალი თქვენს საკვებს საწამლავად

**ზაფხულის პაპანაქებაში ცივი წყალი არის ის, რაზეც უარის თქმა წარმოუდგენელია, თუმცა უარის თქმა არც არის საჭირო, უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ, როდის და რასთან ერთადაა მისი მიღება სასაგებლო ან მავნე ჩვენი ორგანიზმისთვის.**

წყალი, ადამიანის ორგანიზმისთვის მნიშვნელობით მეორე ნივთიერებაა ჟანგბადის შემდეგ. ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმის თითქმის 2/3 შედგება წყლისგან. შემთხვევითი არ არის, რომ **ადამიანს უსკვებოდ შეუძლია გაძლოს 4 კვირას, მაშინ, როცა უწყლოდ იგი ვერ გაძლებს არაუმეტეს 7 დღისა.** წყალი დაბერების პროცესის ინდიკატორია. ბავშვის ორგანიზმი დაბადებიდან ერთი წლამდე შეიცავს 80-85% წყალს. 18 წლის ადამინის ორგანიზმში წყლის შემცველობა მცირდება 65-70%-მდე, ხოლო მოხუცებულობაში — 25%-მდე.

**ბევრი მეცნიერი იხრება იმ აზრისკენ, რომ ახალგაზრდობის შენარჩუნების საიდუმლო ორგანიზმის ხარისხიანი წყლით და იმ რაოდენობით მომარაგებაშია, რომელიც აუცილებელია ნორმალური ნივთიერებათა ცვლის პროცესისთვის.** წყალი უნივერსალური გამხსნელია, იგი ასრულებს „სატრანსპორტო სისტემის" როლს (გადააქვს მკვებავი ნივთიერებები, ანტისხეულები, ენზიმები, მეტაბოლიზმის პროდუქტები და ა.შ.), გამოაქვს ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის პროცესის პროდუქტები და ხელს უწყობს თერმული წონასწორობის შენარჩუნებას.

წყალი ერთადერთი ნივთიერებაა, რომელიც გვხვდება უზარმაზარი რაოდენობით და ბუნებრივ პირობებში სამივე აგრეგატულ (ფიზიკურ) მდგომარეობაში — მყარი, თხევადი და აირადი (ორთქლი).

XVIII საუკუნის შუა პერიოდამდე წყალი ითვლებოდა დაუყოფელ ნივთიერებად. მხოლოდ 1783 წელს ფრანგი ქიმიკოსი **ანტუან ლორან ლავუაზიე** მივიდა დასკვნამდე, რომ წყალს რთული აგებულება აქვს და მის შემადგენლობაში შედის წყალბადი და ჟანგბადი. ამის შემდეგ, ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, წყალს ყველა თვლიდა უსუნო, უგემო და უფერო შენაერთად, რომლის აღწერაც შეიძლებოდა ერთადერთი ფორმულით — წყალბადის ოქსიდი — $H_2O$.

1932 წელს მსოფლიოში გავრცელდა სენსაციური ცნობა, რომ ბუნებაში, ჩვეულებრივი წყლის გარდა, არსებობს ე. წ. მძიმე წყალი. დღეს კი ცნობილია წყლის 135 იზოტოპური ნაირსახეობა.

მაშასადამე, წყალი უმნიშვნელოვანესია ჩვენი სასიცოცხლო ფაქტორებიდან, მაგრამ, თუ სწორად არ გამოვიყენებთ, ზიანს მოუტანს ჩვენს ორგანიზმს, უფრო კონკრეტულად კი, **ყინულივით ცივ წყალს შეუძლია თქვენი საკვები მომწამვლელი გახადოს.**

მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტები და დაადგინეს, რომ, თუ საკვებს მივირთმევთ ცივ წყალთან ან ნებისმიერ ცივ სასმელთან ერთად, მაშინ მონელების პროცესი, რომლისთვისაც 4-5 საათი ნორმალური დროა, შემცირდება 20 წუთამდე. რეგულარულად ამგვარი კვება კი ხელს უშლის ნორმალურ მონელებას და იწვევს ნაწლავების დაავადებას — ხრწნას, აგრეთვე, სიმსუქნეს.

**ასე რომ, ვინც საკვებთან ერთად რეგულარულად მიირთმევს ცივ სასმელებს, უნდა იცოდეს, რომ ცილები არ გაიხლიჩება ამინომჟავებად. ეს კი გამოიწვევს ნაწლავების ანთებას, კოლიტს, მუცლის ტიფს, დისბაქტერიოზს.**

ის, რომ ცივი წყალი კლავს წყურვილს, მცდარი მოსაზრებაა, ვინაიდან ყველა სითხე, რომელიც ორგანიზმში ხვდება, უნდა იქნას ორგანიზმის მიერ გათავისებული და მისი მიღების შემდეგ წყურვილის გაქრობას დასჭირდება იმდენი დრო, რამდენიც მიღებული სითხის 36,6 გრადუსამდე, სხეულის ტემპერატურამდე, გათბობა. ამრიგად, ნუ დალევთ ცივ სითხეს ჭამის წინ და შემდგომ, თუმცა რეკომენდაციას, საზოგადოდ, ჭამის წინ და შემდგომ პერიოდში არც ოთახის ტემპერატურის სითხეების მიღებაზე გვაძლევენ.



**ვინც საკვებთან ერთად რეგულარულად მიირთმევს ცივ სასმელებს, უნდა იცოდეს, რომ ცილები არ გაიხლიჩება ამინომჟავებად. ეს კი გამოიწვევს ნაწლავების ანთებას, კოლიტს, მუცლის ტიფს, დისბაქტერიოზს**

## როგორ შევარჩიოთ და მივირთვათ ნესვი

**ნესვი ზაფხულის ცხელ დღეებში ერთ-ერთი პოპულარული, ბევრისთვის საყვარელი ხილია, მაგრამ, თუ არ ვიცით მისი სწორად შერჩევა და მირთმევა, სიამოვნების მაგივრად, შესაძლოა, ჯანმრთელობის პრობლემებიც კი შეგვიქმნას.**



მაღაზიის დახლებზე ნესვი უკვე ივნისის შუა რიცხვებიდან ჩნდება, მაგრამ სპეციალისტები გვირჩევენ, სიფრთხილით მოვეკიდოთ ადრეულ პროდუქტს, რადგან დამწიფების პროცესის დასაჩქარებლად ნაყოფი გამოჰყავთ ცელოფანში და აძლევენ დიდი რაოდენობით აზოტს. ამ პირობებში ნესვი სწრაფად იზრდება და რამდენიმე თვეში აღწევს სასურველ ზომას, მაგრამ ასე მცირე პერიოდში ვერ ასწრებს დაგროვილი ნიტრატებისგან გათავისუფლებას. თუ ამას დაემატება მზის სხივების ზემოქმედების ქვეშ დიდი ხნით ყოფნა, ამ ყველაფერმა შეიძლება სერიოზული მოწამვლა გამოიწვიოს, განსაკუთრებით ბავშვებში.

**როგორ ავარჩიოთ ნესვი?**

ნესვი (ისევე, როგორც სხვა ბაღჩეული) უმჯობესია, შეიძინოთ სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ ადგილზე — იქნება ეს მაღაზია თუ ბაზრის დახლები. მოერიდეთ ტრასაზე გამოტანილი ნესვის ყიდვას და არავითარ შემთხვევაში არ შეიძინოთ გაჭრილი პროდუქტი — მასში სწრაფად მრავლდება მიკრობები და ჭუჭყი.

*** ყიდვისას ყურადღებით დააკვირდით კანს — მასზე არ უნდა იყოს ლაქები და ნახეთქები. შეძენამდე დაყნოსეთ — მწიფე ნესვს საკმაოდ საგრძნობი არომატი აქვს, რომელიც არაფერში შეგეშლებათ.**

* ნესვი აუცილებლად გულდასმით უნდა გაირეცხოს, რათა გაჭრისას ზედაპირიდან რბილობში არ მოხვდეს ჭუჭყი. ნაყოფის გაჭრა კი რეკომენდებულია უშუალოდ სუფრაზე მიტანის წინ და უმჯობესია, არ მიირთვათ არც ერთ სხვა საკვებ პროდუქტთან ერთად, მათ შორის — არც ხილთან.

*** ნესვის ჭამა მშიერ კუჭზე მიზანშეუწონელია. სჯობს, მიირთვათ კვებიდან არაუადრეს 2 საათის შემდეგ, თანაც მხოლოდ რბილი ნაწილი. კანთან ახლოს მდებარე შედარებით მაგარ ნაწილში დიდი რაოდენობით მავნე ნივთიერებაა.**

* გაჭრილი ნესვის მაცივარში შენახვა არ შეიძლება ერთ დღე-ღამეზე მეტხანს.

*** არ მიაყოლოთ ნესვს ცივი წყალი, იოგურტი ან რძე.**

## რატომ უნდა მივირთვათ კიტრი

**კიტრი გოგრისებრთა ოჯახის სითბოს, სინათლისა და ტენის მოყვარული ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. მისი ფესვთა სისტემა შედგება მთავარი ღერძისა (1 მ-მდე სიგრძის) და გვერდითი ფესვებისგან, ღერო მხოხავი ან ხვიარაა. გვხვდება ნახევარბუჩქისებრი ფორმებიც. ის ცალსქესიანი მცენარეა. ნაყოფი 5-100 სმ-მდე სიდიდისაა. ცილინდრული ფორმა აქვს. მისი სამშობლოა ინდოეთი.**



აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში კიტრი სუფრის მშვენებაა და სტუმარს განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად მიართმევენ ხოლმე. ჩვენში მას ძირითადად სხვა ბოსტნეულთან — პომიდორთან, ხახვთან, მწვანილთან ერთად მიირთმევენ ან კიდევ სადილობისას კერძს აყოლებენ; სხვაგან კი, მაგალითად, ირანში, კიტრი ჩაროზად მოაქვთ ატამსა და გარგართან ერთად. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ კიტრი ფართოდ აღიარებული კულტურაა.

კიტრს უამრავი სასარგებლო თვისება აქვს, რომელთა გამოც ის აუცილებლად უნდა მივირთვათ:

**1. კიტრში 90% წყალია. ორგანიზმში წყლის რაოდენობას ყოველთვის ზრდის. დღის განმავლობაში, წყალი რომ არ დალიოთ და ჭამოთ დაახლოებით 3-4 კიტრი, შესაძლოა, წყურვილის განცდა 60%-მდე შეგიმცირდეთ;**

2. ანადგურებს ტოქსინებს;

**3. ეფექტიანია სიცხის საწინააღმდეგოდაც. ორგანიზმში ტემპერატურას არეგულირებს;**

4. ყოველდღიურად ორგანიზმს ამატებს A, B და C ვიტამინებს;

**5. სასარგებლო მინერალებს შეიცავს კანისთვის;**

6. კიბოსთან ბრძოლისთვის ეფექტიანი საშუალებაა;

**7. ეხმარება საჭმლის მომნელებელ სისტემას, დიეტურია;**

8. სასარგებლოა ართრიტისთვის და ეფექტიანია სახსრების დაავადებისას ტკივილის შესამსუბუქებლად;

**9. ამცირებს სისხლში შაქრის დონეს, ქოლესტერინს და არეგულირებს არტერიულ წნევას;**

10. აძლიერებს თმასა და ფრჩხილებს.





ჰალდენის ციხე 10 წელი შენდებოდა. მის აშენებაში 30 მლნ დოლარი დაიხარჯა. ის გათვლილია 252 პატიმარზე და ცნობილია, როგორც მსოფლიოს ყველაზე ჰუმანური ციხე, რომელშიც სასჯელს განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეები იხდიან — მკვლელები, მანიაკები, ნარკომოვაჭრეები, მოძალადეები.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანდერს ბრეივიკი კვლავ უჩივის მსოფლიოს ყველაზე ჰუმანურ ციხეს

**ანდერს ბრეივიკი ჰალდენის ციხეს მინი აბუ-გრეიბს უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიის ჰალდენის ციხე, რომელშიც ბრეივიკი სასჯელს იხდის, საშუალო დონის სასტუმროს უფრო ჰგავს, ვიდრე დამნაშავეთა დაწესებულებას. ამჯერად პატიმარი უკმაყოფილებას ბადრაგების მიმართ გამოხატავს. კონკრეტულად კი მას ტკბილეულობის სიმცირე და სამაგიდო ლამპის არქონა აწუხებს, აცხადებს, რომ მას თვითმკვლელობისკენ უბიძგებენ. ბრეივიკი იმითაც უკმაყოფილოა, რომ ბადრაგები მას ყოველდღე ამოწმებენ.**



ბრეივიკის წინა პროტესტი დაკმაყოფილდა და მას საშუალება მიეცა, კამერაში რამდენიმე წყვილი ტანსაცმელი და შესანახი ყუთი ჰქონოდა.

**ჰალდენის ციხე 10 წელი შენდებოდა. მის აშენებაში 30 მლნ დოლარი დაიხარჯა. ის გათვლილია 252 პატიმარზე და ცნობილია, როგორც მსოფლიოს ყველაზე ჰუმანური ციხე, სადაც სასჯელს განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეები იხდიან — მკვლელები, მანიაკები, ნარკომოვაჭრეები, მოძალადეები.**

აქ ყველა დამნაშავეს საკუთარი კამერა აქვს თავისი ბრტყელეკრანიანი ტელევიზორითა და მინი მაცივრით. პატიმრებს უფლება აქვთ, იქონიონ საკუთარი ტანსაცმელი, წიგნები, საწერი და სახატავი საშუალებები, ელექტროსაპარსი და რამდენიმე მუსიკალური დისკი თავისი CD ფლეერით, კარგად მოქცევის შემთხვევაში ნებადართულია ინტერნეტიც.

**აქ არის „ოჯახური სახლიც", რომელშიც პატიმრები ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ. ბავშვებისათვის გამოყოფილია საბავშვო მოედნები და ცალკე საძინებლები. მცველების უმეტესი ნაწილი მდედრობითი სქესისაა, რადგან, ხელმძღვანელების თქმით, ეს ამცირებს პატიმრების აგრესიას. ზედამხედველები და დამნაშავეები ერთად სადილობენ. პატიმრებისთვის ჰალდენის ციხეში გამოყოფილია, მაგალითად, მუსიკალური სტუდიები.**



**აქ ყველა დამნაშავეს საკუთარი კამერა აქვს თავისი ბრტყელეკრანიანი ტელევიზორითა და მინი მაცივრით. პატიმრებს უფლება აქვთ, იქონიონ საკუთარი ტანსაცმელი, წიგნები, საწერი და სახატავი საშუალებები, ელექტროსაპარსი და რამდენიმე მუსიკალური დისკი თავისი CD ფლეერით, კარგად მოქცევის შემთხვევაში ნებადართულია ინტერნეტიც**











„მე არ მეშინია ციხეში მოხვედრის, — განაცხადა სასამართლო სხდომაზე ანდერს ბრეივიკმა, — მე დავიბადე ციხეში, სადაც არ შემეძლო ჩემი მსოფლმხედველობის გამოხატვა. თავს დამნაშავედ არ მივიჩნევ. მე თავისუფალი უნდა ვიყო".

იტალიელმა ფოტოგრაფმა **გუგი ფასინომ** ნორვეგიაში, მსოფლიოს ყველაზე ჰუმანურ ჰალდენის ციხეში 3 დღე გაატარა. ამის შემდეგ კი საზოგადოებას შთაბეჭდილებები გაუზიარა. აი, რას წერს ის:

**„ამ ციხეში, რომელიც 2010 წელს აშენდა, სასჯელს მძიმე დანაშაულის ჩამდენი პატიმრები იხდიან. აღსანიშნავია, რომ არც ერთ მათგანს აქ 21 წელზე მეტი ხნის გატარება არ შეუძლია, რადგან ნორვეგიის კანონმდებლობით პატიმრობის მაქსიმალური ვადა 21 წელია.**

ნორვეგიის ციხიდან გამოსული პატიმრების 20% 2 წლის განმავლობაში უკან ბრუნდება, მაშინ, როცა ევროპაში ეს რიცხვი 3-ჯერ მეტია.

**ერთი პატიმრის შენახვა ნორვეგიის ბიუჯეტს ყოველწლიურად 185 ათასი დოლარი უჯდება.** ჰალდენის ციხის საკანში ტელევიზორი და მაცივარი ჩვეულებრივი ამბავია.

შენობის ირგვლივ 30 ჰექტარზე ტყეა გაშენებული. იქ პატიმრებს სეირნობა ზედამხედველების გარეშე შეუძლიათ.

**თითოეულ პატიმარს სასპორტო დარბაზში დღეში 1,5 საათის გატარების უფლება აქვს. კვირაში ერთხელ კი — მარკეტში წასვლისა და საკვების ყიდვის საშუალება; ხელფასი დღეში 9 დოლარს შეადგენს.**

ნებისმიერ მსურველს თავისთვის საკვების მომზადება საკუთარი ხელით შეუძლია. ბიბლიოთეკაში კულინარიული წიგნები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

აქ არის მუსიკალური სტუდია, სადაც რეპეტიციებს ციხის ბენდი გადის.

პატიმრებს კვირაში სამჯერ აქვთ მოკლევადიანი შეხვედრის უფლება, ხოლო გრძელვადიანის — კვირაში ერთხელ. ამისათვის ცალკე კოტეჯებია გამოყოფილი.

ციხის დირექტორის თქმით, ჰალდენში ჯერ არ ყოფილა თავდასხმის, ჩხუბის ან გაქცევის მცდელობა".

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



1919 წლის 20 ივლისს ოკლენდში (ახალი ზელანდია) დაიბადა ახალზელანდიელი საზოგადო მოღვაწე, მთამსვლელი, ნეპალის საპატიო მოქალაქე, სერ **ედმუნდი ჰილარი**, რომელიც 1953 წლის 23 მაისს შერპ ნორგეი ტენცინგთან ერთად პირველი ავიდა დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (ევერესტზე) — 8848 მ.
გარდაიცვალა 2008 წლის 11 იანვარს.

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები



*** 1783 წლის 24 ივლისს ციხესიმაგრე გეორგიევსკში (ჩრდ. კავკასია) გაფორმდა შეთანხმება რუსეთის იმპერიასა და გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ გადავიდა.**

ირანისა და ოსმალეთის რეგულარული თავდასხმები საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობას საფრთხეს უქმნიდა. ამ ვითარებაში ქართლ-კახეთის მეფეს **ერეკლე II** რუსეთთან კავშირის გამყარება ერთადერთ მართებულ გადაწყვეტილებად მიაჩნდა და 1782 წლის ბოლოს მან რუსეთის იმპერატრიცა **ეკატერინე II** თხოვნით მიმართა ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობის შესახებ.

1783 წლის 18 ივლისს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს საქართველოს დელეგაცია. 24 ივლისს კი გეორგიევსკის ტრაქტატს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერეს **იოანე მუხრან-ბატონმა** და **გარსევან ჭავჭავაძემ,** რუსეთის მხრიდან — გენერალ-პორუჩიკმა **პავლე პოტიომკინმა.**

1783 წლიდან გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ დაიწყო საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის გასწვრივაც აშენდა რამდენიმე სამხედრო ობიექტი, მათ შორის ვლადიკავკაზის ციხესიმაგრე.



*** 1945 წლის 24 ივლისს პოტსდამის კონფერენციის მიმდინარეობისას აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა სსრკ-ის ლიდერ იოსებ სტალინს განუცხადა, რომ აშშ-მა შექმნა ზემძლავრი „სუპერიარაღი“.**

პოტსდამის (ბერლინის) კონფერენციაზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების (სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთი) ლიდერები, რათა ემსჯელათ ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობაზე, ამერიკის პრეზიდენტმა **ჰარი ტრუმენმა სტალინს** აცნობა, რომ აშშ-მა შექმნა „საშინელი დამანგრეველი ძალის იარაღი“, ამასთანავე, მან დააზუსტა, რომ ლაპარაკი იყო ატომურ ბომბზე. ტრუმენისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის — **უინსტონ ჩერჩილის** გასაკვირად, საბჭოეთის ბელადს, რომელმაც უკვე იცოდა ამერიკელების ე.წ. მანჰეტენის პროექტისა და ინგლისელთა მიერ ანალოგიური სამუშაოების შესახებ, „წარბიც არ შეუხრია“. „მანჰეტენის“ ჯგუფში ჩანერგილი საბჭოთა აგენტები სტალინს რეგულარულად აწვდიდნენ ცნობებს ატომური ბომბის შესახებ, საბჭოთა ფიზიკოსები კი 1943 წლიდან მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ ატომური ბომბის შექმნაზე.

ატომური ბომბის საშინელი ძალის შესახებ მსოფლიომ 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს შეიტყო, როდესაც ამერიკელებმა დაბომბეს იაპონიის ქალაქები — ჰიროსიმა და ნაგასაკი. ამ დაბომბვებმა 300 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.



*** 1858 წლის 26 ივლისს დუბლინში (ირლანდია) დაიბადა ირლანდიური წარმოშობის ინგლისელი დრამატურგი და რომანისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1925 წ.), საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ლონდონის სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, აშშ-ის კინოაკადემიის ჯილდოს „ოსკარის“ მფლობელი (1938 წ. ფილმ „პიგმალიონის“ სცენარისთვის) ჯორჯ ბერნარდ შოუ.**

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „იარაღი და ადამიანი“; „ეშმაკის მოსწავლე“; „კეისარი და კლეოპატრა“; „პიგმალიონი“; „მეჩეჩზე“; „მილიონერი ქალი“; „ჟენევა“ და სხვ.

გარდაიცვალა 1950 წლის 2 ნოემბერს.



*** 1942 წლის 25 ივლისს დაიწყო კავკასიის დაცვა (ბრძოლა კავკასიისთვის).**

დიდი სამამულო ომის პერიოდში კავკასიისთვის ბრძოლებში მონაწილეობდნენ საბჭოთა მეომრები და გერმანელები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ რუმინელები და სლოვაკები. გერმანელებს სურდათ, ხელში ჩაეგდოთ ნავთობით მდიდარი კავკასიის რეგიონი და ამიტომ გააფთრებით ცდილობდნენ საბჭოთა მეომრების განადგურებას.

ბრძოლა დაიწყო 1942 წლის 25 ივლისს და ფაშისტების სასტიკი მარცხითა და უკუგდებით დასრულდა 1943 წლის 9 ოქტომბერს. ამ ბრძოლებში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეომრებმა გენერალ-მაიორმა **კონსტანტინე ლესელიძემ** და სსრკ-ის შინაგან საქმეთა იმჟამინდელმა სახალხო კომისარმა **ლავრენტი ბერიამ.**



*** 1304 წლის 20 ივლისს ქალაქ არეცოში (იტალია) დაიბადა იტალიელი პოეტი, იტალიური პროტორენესანსის თვალსაჩინო წარმომადგენელი ფრანჩესკო პეტრარკა.**



მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „სიმღერების წიგნი“, „ტრიუმფები“, ეპიკური პოემა „აფრიკა“, „ბუკოლიკური სიმღერები“, სონეტები, ბალადები, მადრიგალები და სხვ.

გარდაიცვალა 1374 წლის 19 ივლისს.



*** 1899 წლის 21 ივლისს ილინოისის შტატის დასახლებულ პუნქტ ოუკ-პარკში დაიბადა ამერიკელი მწერალი, ჟურნალისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1954წ.) ერნესტ მილერ ჰემინგუეი.**

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: **„და აღმოხდების მზე ფიესტა“; „მშვიდობით იარაღო“; „მამაკაცები უქალებოდ“; „აფრიკის მწვანე ქედები“; „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“; „მეხუთე კოლონა“; „ვის უხმობს ზარი“; „მოხუცი და ზღვა“ და სხვ.**

გარდაიცვალა 1961 წლის 2 ივლისს.



*** 1802 წლის 24 ივლისს ვილე-კოტრეში (საფრანგეთი) დაიბადა გამოჩენილი ფრანგი მწერალი, დრამატურგი და ჟურნალისტი, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ფრანგი ავტორი ალექსანდრე დიუმა.**

ალექსანდრე დიუმას შვილიც მამის სახელს ატარებდა და ისიც მწერალი იყო, ამიტომ უფროს დიუმას გვარს ხშირად უმატებენ სიტყვა „მამა“-ს.

ალექსანდრე დიუმას სახელი გაუთქვა ორმა ძალიან პოპულარულმა რომანმა. ესენია: „გრაფი მონტე-კრისტო“ და „სამი მუშკეტერი“. მისი ნაწარმოებებიდან, აგრეთვე, აღსანიშნავია: „ოცი წლის შემდეგ“; „ვიკონტ დე ბრაჟელონი, ანუ 10 წლის შემდეგ“; „დედოფალი მარგო“; „გრაფინია დე მონსორო“; „ორმოცდახუთი“; „ასკანიო“; „კაპიტანი რიშარი“; „შავი ტიტა“ და სხვ.

გარდაიცვალა 1870 წლის 5 დეკემბერს.



*** ჩვ.წ.აღ-მდე 356 წლის 20 ივლისს მაკედონიის დედაქალაქ პელაში, გადმოცემის თანახმად, იმ ღამეს, როდესაც ჰეროსტრატემ არტემიდას ტაძარი დაწვა, დაიბადა მაკედონიელთა მეფე, დიდი მხედართმთავარი, თითქმის მთელი მსოფლიოს დამპყრობი ალექსანდრე მაკედონელი.**

ის სამეფო ტახტზე ავიდა 20 წლისა, ჩვ.წ.აღ-მდე 334 წელს კი დაიწყო ლეგენდარული ლაშქრობა აღმოსავლეთით. 7 წლის განმავლობაში დაიპყრო სპარსეთის იმპერია და შეეცადა, ძალაუფლება განევრცო ინდოეთზეც.

ალექსანდრე მაკედონელი გარდაიცვალა 33 წლისა, ჩვ.წ.აღ-მდე 323 წლის 10 ივნისს.

20 ივლისს სავსემთვარეობაა. შეეცადეთ, თავი არ გადაიტვირთოთ ფიზიკურად და ემოციურად. ნუ ისესხებთ და გაასესხებთ ფულს. სასიკეთო პერიოდია ლომისა და მორიელის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**20 – 26 ივლისი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

დიდი სირთულეების მიუხედავად, მაინც შეძლებთ დასახულ მიზნებამდე მიღწევას. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს, სჯობს, დაწყებული დაასრულოთ და ცოტა ხნით შეისვენოთ.

თავი აარიდეთ ახლობლებთან საქმის გარჩევას. წვრილმანებზე უაზრო კამათი კონფლიქტამდე მიგიყვანთ და განაწყენებულ ადამიანებთან შერიგებას კარგა ხანს ვერ მოახერხებთ.

მაღალია უხარისხო პროდუქტით მოწამვლის ალბათობა, ამიტომ კარგად დააკვირდით პროდუქტის ვარგისიანობის ვადას.

**დადებითი დღე: 22 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 24 ივლისი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

მოგზაურობისას ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებისას, შესაძლოა, გაიცნოთ საინტერესო ადამიანი. მიუხედავად სასიამოვნო ურთიერთობისა, პირადი ცხოვრების დეტალებზე მასთან ნუ ილაპარაკებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნება არ აგცდებათ.

კარგად გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია, რადგან მასზე დიდად იქნება დამოკიდებული თქვენი წინსვლა კარიერაში.

ზოგიერთმა კურომ, შესაძლოა, განაახლოს გაწყვეტილი სასიყვარულო ურთიერთობა, მაგრამ ეს ურთიერთობა სამომავლოდ პრობლემების მეტს არაფერს მოუტანს.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მხოლოდ ნატურალური პროდუქტებით იკვებოთ.

**დადებითი დღე: 20 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 22 ივლისი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

ამ პერიოდში ტყუპებს ბევრი კონტაქტი ექნებათ გარშემო მყოფებთან და თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით სასიკეთო საქმეებში დაეხმარებიან ახლობლებს.

წარმატებით შეძლებთ იურიდიული და ფინანსური საკითხების მოგვარებას.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება, თუკი მას მეტისმეტ მოთხოვნებს არ წაუყენებთ და არ აიძულებთ, ამა თუ იმ საკითხზე მხლოდ თქვენი თვალსაზრისი გაიზიაროს.

შესაძლოა, გაგიმწვავდეთ კუჭ-ნაწლავთა სისტემის დაავადება, დაიცავით კვების რეჟიმი და რაციონიდან ამოიღეთ მაღალკალორიული საკვები.

**დადებითი დღე: 22 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 25 ივლისი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

შეეცადეთ, ურთიერთობა გქონდეთ მხოლოდ იმ ადამიანებთან, რომლებიც პროფესიული საკითხების გადაწყვეტაში დაგეხმარებიან, დანარჩენს უარი უთხარით. მხოლოდ ასეთი საქციელით შეძლებთ მშვიდად მუშაობასა და საფინანსო პრობლემების მოგვარებას.

ოჯახურ პრობლემებს, რომელთა მოგვარებასაც კარგა ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდით, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტთ და შვებით ამოისუნთქავთ. მადლობა გადაუხადეთ იმ ადამიანებს, რომლებიც დაგეხმარებიან.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ მეტს იმოძრავებთ და მეტ დროს გაატარებთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 25 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 22 ივლისი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

თუ არ იზარმაცებთ და მუხლჩაუხრელად იშრომებთ, პროფესიულ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შექმნილ ყველა პრობლემას მოაგვარებთ.

მაღალია კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან დაპირისპირების ალბათობა. ენას კბილი დააჭირეთ და მხოლოდ დავალების შესრულებაზე იფიქრეთ.

გამორიცხული არ არის, მოგიწიოთ საყვარელი ადამიანის მხრიდან სამართლიანი კრიტიკის მოსმენა. გულწრფელად დაელაპარაკეთ მას თქვენი პრობლემების შესახებ და უთხარით, თქვენ რა არ მოგწონთ მის საქციელში.

ლომებმა, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა დაავადება აწუხებთ, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 20 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 24 ივლისი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

პროფესიული საქმიანობა ისე წარიმართება, როგორც დაგეგმილი გქონდათ. რთული გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევა გამოცდილ ადამიანებს დაეკითხეთ. საზოგადოდ კი, გაითვალისწინეთ, გასწვდება თუ არა თქვენი შესაძლებლობები იმ მიზნამდე მიღწევას, რომელსაც დაისახავთ.

მარტოხელა ქალწულებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთანაც რომანტიკული ურთიერთობას დაიწყებენ და მოიწადინებენ, რომ ეს ადამიანი მათი ცხოვრების მეგზური იყოს.

დაძაბულმა სამუშაო რეჟიმმა შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემა შეგიქმნათ. შეეცადეთ, სრულფასოვნად დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 25 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 23 ივლისი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

სამსახურში შეიძლება შეგექმნათ პრობლემები, რომლებთან გამკლავებაც ძალიან გაგიჭირდებათ, მაგრამ ამის გამო რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ და ხელმძღვანელობასთან საქმის გარჩევას ნუ შეეცდებით. სჯობს, მოთმინებით განაგრძოთ თქვენი საქმე.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გასაღრმავებლად კარგი იქნება, თუ ერთად წახვალთ სამოგზაუროდ ან დაისვენებთ.

იმის გამო, რომ სამსახურებრივი საქმეები არც ისე კარგად მიდის, გუნება-განწყობა გაგიფუჭდებათ, მაგრამ შეეცადეთ, ეს არ დაუშვათ. ფიზიკურად დაიტვირთეთ და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 25 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 21 ივლისი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

გამოგიჩნდებათ უამრავი საქმე, რომელთა შესრულებაც ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. შეეცადეთ, უწინარესად, ის პრობლემები მოაგვაროთ, რომლებიც, დიდი ხანია, გაწუხებთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება — შეძლებთ უთანხმოების მოგვარებას, რომელიც ცოტა ხნის წინათ შეგექმნათ დაუფიქრებელი საქციელის გამო.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით — უმცროსებს. დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

შეეცადეთ, აქტიურად დაისვენოთ — ივარჯიშოთ, იბანაოთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 25 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 22 ივლისი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

მოთოკეთ ემოციები და თავი აარიდეთ ისეთ საკითხებზე კამათს, რომლებშიც კომპეტენტური არ ხართ, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლეგებთან უთანხმოებას თავიდან ვერ აიცილებთ.

მოიმატებს თქვენი შემოსავალი, მაგრამ ჯერ კიდევ შორს იქნებით ფინანსური სტაბილურობისგან.

მშვილდოსნების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან შესანიშნავად წარიმართება. დაქორწინებულმა მშვილდოსნებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ.

დაიცავით კვების რეჟიმი და რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი და ცხარე საკვები.

**დადებითი დღე: 23 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 20 ივლისი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

აღივსებით ენერგიით, რაც საშუალებას მოგცემთ, აქტიურად შეუდგეთ სვლას იმ მიზნებისკენ, რომლებიც დასახული გქონდათ. ოღონდ რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნე შეეჭიდებით — ნელა, მეთოდურად იმოქმედეთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ. მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

მარტოხელა თხის რქებს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც შესაძლოა, ქორწინებით დაგვირგვინდეს.

ყურადღება მიაქციეთ საკვები პროდუქტების ხარისხს, ვარგისიანობას. დიდია მოწამვლის ალბათობა.

**დადებითი დღე: 25 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 22 ივლისი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

სასიკეთო პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად და ცოდნის მისაღებად. წარმატებას მიაღწევენ მერწყულები, რომლებიც მომსახურების სფეროში მოღვაწეობენ. მათი შემოსავალი მნიშვნელოვნად მოიმატებს.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოსაგვარებლად, აგრეთვე, იმ ადამიანებთან ურთიერთობის გასაღრმავებლად, რომელთა მიმართაც კარგა ხანია, სიმპათია გაგიჩნდათ.

თავი აარიდეთ ტკბილ, ცხარე ან ცივ კერძებს, რადგან არ არის გამორიცხული, კბილების პრობლემა შეგექმნათ.

**დადებითი დღე: 27 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 20 ივლისი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

თუ საქმე ისე არ გამოგდით, როგორც დაგეგმილი გქონდათ, მიზნის მიღწევას ნებისმიერი ხერხით ნუ შეეცდებით.

მოთოკეთ ემოციები და თავი აარიდეთ გარშემო მყოფების გაკრიტიკებას, რადგან ეს უსიამოვნების მეტს არაფერს მოგიტანთ.

კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად.

საყვარელ ადამიანთან თევზების ურთიერთობა სიმტკიცეზე გამოცდას გაივლის. შეეცადეთ, უთანხმოება კომპრომისის გზით მოაგვაროთ.

თუ გადაწყვეტილი გაქვთ შვებულების აღება და დასვენება — ეს საუკეთესო პერიოდია. თბილი ზღვა და შესანიშნავი ამინდი თქვენს ფიზიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

**დადებითი დღე: 24 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 21 ივლისი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# იესო ქრისტეს 80-მეტრიანი ქანდაკება პეტერბურგის მახლობლად აღიმართება





**ლენინგრადის ოლქის გუბერნატორისა და მთავრობის პრესსამსახურში გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტს აცნობეს, რომ იესო ქრისტეს ქანდაკებისთვის ადგილი უკვე გამოინახა. ამ მონუმენტური ქმნილების ავტორია ცნობილი მოქანდაკე, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი.**

მან „იზვესტიის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ მონუმენტი 80 მეტრის სიმაღლის არ არის — თვით ქანდაკება მხოლოდ 33 მეტრია. 80 მეტრს კვარცხლბეკთან ერთად აღწევს. მისივე თქმით, ეს ქანდაკება სოფისთვის შექმნა, მაგრამ იქ მისთვის შესაფერი ადგილი ვერ გამონახეს. ქრისტეს მონუმენტის შექმნა მისი ოდინდელი ოცნება იყო. შეიძლება ითქვას, რომ ეს ქანდაკება მისი შემოქმედებითი გზის ერთგვარი გვირგვინია.

ეს ქანდაკება 2013 წელს ჩამოასხეს სწორედ ნევისპირა ქალაქში. წერეთლის ნამუშევარი რაღაცით ჰგავს ქრისტეს ცნობილ სკულპტურას, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს თავზეა აღმართული, მაგრამ წერეთლის ვარიანტი იქაურზე გაცილებით მაღალია — ბრაზილიური ქანდაკება კვერცხლბეკთან ერთად 38 მეტრის სიმაღლისაა. წერეთლის ნამუშევარს ლისაბონში მდგარ ქრისტეს ქანდაკებასაც ადარებენ. პორტუგალიაში ეს ფიგურა 28 მეტრისაა, მაგრამ კვარცხლბეკთან ერთად მისი სიმაღლე 100 მეტრზე მეტია.

ზურაბ წერეთლის სახელი ადრეც არაერთხელ ყოფილა პეტერბურგთან და მის შემოგარენთან დაკავშირებული. რამდენიმე თვის წინათ განიხილავდნენ ბრინჯაოში ჩამოსხმული ქრისტეს ქანდაკების დადგმის შესაძლებლობის საკითხს სანკტ-პეტერბურგის 300 წლის სახელობის პარკში „რომანოვების რუსეთის ისტორიის“ კომპოზიციის გვერდით.

წლეულს, იანვარში, ადგილობრივი მედია იუწყებოდა, რომ წერეთლის სკულპტურები შეიძლებოდა დაედგათ ფორტებზე კრონდშტატის გარშემო. ათი წლის წინათ კი აქტიურად განიხილავდნენ სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის მიერ შექმნილი პეტრე დიდის ქანდაკების დადგმის სურვილს ჩრდილოეთის დედაქალაქის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე. ქანდაკება მართლაც დაიდგა, მაგრამ არა ცენტრში, არამედ სასტუმრო „პრიბალტიისკაიას“ შესასვლელთან.

izvestia.ru



# გერმანული სასამართლოს «შემწყნარებლური» განაჩენი

**ფრანკფურტის მიწის უმაღლესმა სასამართლომ სირიიდან დაბრუნებულ 21 წლის გერმანელ ახალგაზრდას 2 წლით პატიმრობა მიუსაჯა.**

მან (რომლის სახელს არ ასაჯაროებენ), ქალაქ ოფენბახის ფიტნესკლუბში გაიცნო ისლამისტი, რომელმაც იგი პროპაგანდისტული ლიტერატურით მოამარაგა. ამანაც წაიკითხა ეს ლიტერატურა და გადაწყვიტა, დახმარებოდა „კარგ ხალხს“, გაემგზავრა კიდეც სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს საბრძოლველად. უფრო მეტიც, ისე გაერთო ამ „დახმარებით“, რომ „ღირსად ჰყვეს“, მოხვედრილიყო ვიდეორგოლში, რომელიც ასახავდა ჯიჰადისტების მიერ მოწინააღმდეგეთა საჯაროდ მოკვდინების აქტს. ამ ახალგაზრდა გერმანელის ფოტო, რომელზეც იგი მომღიმარია აღბეჭდილი მოჭრილი თავების ფონზე, სასამართლო სხდომაზე იყო წარდგენილი.

მხოლოდ ორი წელიწადი მიუსაჯეს ამ სადისტურ აქტში მონაწილეობისთვის(!). საზოგადოება გაოგნებულია ასეთი ლმობიერი სასჯელით.

გერმანიაში 240-მდე მეჩეთია, მაგრამ არ არსებობს ისლამის ღვთისმსახურთა მომზადების პროგრამა და იშვიათი არ არის, როცა სალოცავ სახლებში იწვევენ ნებისმიერ მქადაგებელს, მათ შორის, ვაჰაბიტებს. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, გერმანიიდან ახლო აღმოსავლეთში ოფიციალური მონაცემებით 3 ათასამდე მოხალისე რომ გაემგზავრა. ამჟამად ისინი მასობრივად უკან ბრუნდებიან... და ევროპაში აღარ უკვირთ ტერაქტები. ამ ახალგაზრდას ბრალი წაუყენეს არა იმიტომ, რომ ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობდა, არამედ იმიტომ, რომ გადაიღო ფოტოსურათი მოჭრილი თავების ფონზე.

ასეთია სანაქებო გერმანული სამართალი, რომლის ძირითადი პრინციპები უკრიტიკოდ გადმოიღეს ქართველმა სამართალმცოდნეებმა.

KP.ru

# ამერიკაში კრიმინალურ სტატისტიკას ასაიდუმლოებენ






**„ჩემი პრეზიდენტობის ბოლო ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში ძალადობრივი დანაშაულის ტემპი უმდაბლეს ნიშნულამდე დაეცა, რომელიც 1960 წლის შემდეგ იყო... ნიუ იორკში, ლოს ანჯელესსა და დალასში მკვლელობათა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა“, — განაცხადა ობამამ 9 ივნისს ვარშავაში გამართულ პრესკონფერენციაზე.**

სინამდვილეში კი მკვლელობების რაოდენობა მატულობს დალასშიც, ლოს ანჯელესშიც და ბევრ სხვა დიდ ქალაქში. 2016 წლის პირველ 5 თვეში მკვლელობების რაოდენობა დალასში თითქმის 90 პროცენტით გაიზარდა, ლოს ანჯელესში — 27 პროცენტით.

ობამას მიერ დასახელებული ქალაქებიდან მხოლოდ ნიუ იორკში იკლო დანაშაულთა რაოდენობამ. სამაგიეროდ იმატა ბალტიმორში, ჩიკაგოსა და ბევრ სხვა ქალაქში, იქ, სადაც ბევრი აფროამერიკელი ცხოვრობს.

ადმინისტრაციის პოლიტიკური ზემოქმედების მიუხედავად, **გამოძიების ფედერალურმა ბიურომ აღიარა, რომ 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, იმატა ძალადობრივმა დანაშაულმა: გაუპატიურების რაოდენობამ — 9 პროცენტით, მკვლელობებმა — 6,2 პროცენტით, თავდასხმებმა დამამძიმებელ გარემოებებში — 2,3 პროცენტით. ამერიკის 25 დიდ ქალაქში მკვლელობების რაოდენობამ 11 პროცენტს გადააჭარბა.**

გელაპის ინსტიტუტის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რომელიც 2015 წელს ჩატარდა, პოლიციისადმი ამერიკელების ნდობის 22-წლიანი რეკორდული მინიმუმი აღირიცხა. 2016 წლის აპრილში გამოკითხული ამერიკელების 53 პროცენტმა გამოთქვა სერიოზული შეშფოთება ქვეყანაში ძალადობისა და დანაშაულის ზრდის გამო. 2014 წელს უკმაყოფილოთა რაოდენობა გამოკითხულთა 39 პროცენტს არ აჭარბებდა.

Breitbart London

# ლუიზიანაში სამი პოლიციელი მოკლეს




**ლუიზიანის შტატში, ქალაქ ბატონ-რუჟში, უცნობმა პირმა ცეცხლი გახსნა და პოლიციის სამი თანამშრომელი მოკლა, რამდენიმე კი დაჭრა, — იუწყება „ბი-ბი-სი“.**

თვითმხილველთა თქმით, თავდამსხმელი, რომელმაც პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა, შავებში იყო ჩაცმული და სახე დაფარული ჰქონდა. შემთხვევის ადგილას პოლიციის 7 თანამშრომელი იყო.

ბატონ-რუჟში, უკვე ორი კვირაა, დაძაბული ვითარებაა, რომელიც მას შემდეგ შეიქმნა, რაც პოლიციელმა შეუიარაღებელი აფროამერიკელი ალტონ სტრელინგი სასიკვდილოდ დაჭრა.

# უსამა ბენ ლადენის ვაჟი აშშ-ს შურისძიებით დაემუქრა

**„ალ ქაიდას“ ლიდერი უსამა ბენ ლადენი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ამერიკელების სპეცრაზმელებმა 2011 წლის 2 მაისს „გაასაღეს“. მისი ვაჟი 23 წლის ჰამზა ბენ ლადენი ენთუზიაზმით განაგრძობს მამის საქმეს. ამასწინათ მან ჩაწერა 21-წუთიანი მიმართვა, რომლითაც განაცხადა, რომ მამის მკვლელობისთვის შურს იძიებს.**

**„ჩვენ ყველანი ვართ უსამა“, — ასე ჰქვია ამ ჩანაწერს, რომლითაც იგი დაემუქრა ამერიკელებს ტერორისტული აქტებით ყველგან, სადაც კი იქნებიან.**

— ჩვენ თავს დაგესხმებით თქვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს მიღმა იმ ჩაგვრის საპასუხოდ, რომელსაც თქვენი მხრიდან განიცდიან პალესტინის, ავღანეთის, სირიის, ერაყის, იემენის, სომალისა და სხვა ქვეყნების ხალხები. რაც შეეხება შურისძიებას შეიხ უსამას მკვლელობის გამო, ალაჰმა შეიწყალოს იგი, ეს არ იქნება შურისძიება პირადად მის გამო, პასუხს მოგთხოვთ მათი სახელით, ვინც იცავს ისლამს, — იმუქრება ჰამზა.

უსამას ნაშიერმა მიმდინარე წლის მაისშიც მოუწოდა ყველა ჯურის მოთარეშეებს, გაერთიანებულიყვნენ სირიაში ჯიჰადის ჩასატარებლად.



KP.ru

ქვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894